პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

შაბათი, 14 აგვისტო 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 184 (1729)

დ ღ ი უ რ ი

- პარიზში მიმდინარეობს საფრანგეთის, გერმანიის და ბელგიის ფოლადის მრეწველთა კონფერენცია.
- მექსიკაში განზრახულია ყველა საეკლესიო მიწების ჩამორთმევა.
- საფრანგეთის პარლამენტის სესია შეწყდა.
- სარკინიგზო ტარიფი საფრანგეთში 50%-ით გაადიდეს.
- ჟილავის ციხეში (რუმინეთი) შიმშილობა გამოაცხადა 112 პოლიტიკურმა პატიმარმა.
- 15 აგვისტოდან ნორვეგიაში იწყება გაფიცვა ქაღალდის მრეწველობაში.
- მაროკოში ბრძოლა გრძელდება.
- უნგრეთში აფეთქდა სამხედრო მასალების ქარხანა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციული მუშაობა

ჩვენი ძირითადი სამომხმარებლო კოოპერაცია დღითი-დღე გაუმჯობესების გზით მიდის. აღსანიშნავია ამ გაუმჯობესების ერთი დამახასიათებელი გარემოება. საერთო რიცხვი ძირითად კოოპერატივების ერთი და იგივე რჩება, მაშინ როდესაც შესამჩნევად იზრდება ერთი მხრივ წევრთა რიცხვი და მეორე მხრივ საპაიო გადასახადის საერთო თანხა.

ეს გარემოება უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციული ზრდა საღი გზით მიმდინარეობს. არა რიცხვობრივი, არამედ თვისობრივი გაუმჯობესება, ასე შეიძლება დავახასიათოთ საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის დღევანდელი ვითარება.

აი ზოგადი ცნობები, რომელნიც ამ აზრს ადასტურებენ: მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში, თბილისისა და აფხაზეთის გამოკლებით, ირიცხებოდა 136 კოოპერატივი. ამავე წლის 1 აპრილისათვის ირიცხებოდა 135 კოოპერატივი. ამავე დროს, ამ ექვსი თვის განმავლობაში კოოპერატივის წევრთა საერთო რიცხვი 111.400 კაცისაგან გაიზარდა 140 ათას კაცამდე, ე. ი. მოიმატა 25 პროცენტით.

კიდევ უფრო საგულისხმოა საპაიო გადასახადებისაგან შემოსულ თანხის ზრდა. როგორც ვიცით საპაიო გადასახადს აქვს არა მარტო მატერიალური საფუძვლის განმტკიცების მნიშვნელობა კოოპერატივისათვის, რომლის ძირითადი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობაც დღემდი მხოლოდ ცენტრის შემყურე იყვნენ ამ მხრივ, არამედ საპაიო გადასახადს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა კოოპერაციის საზოგადოებრივ მუშაობის გაცხოველებისათვისაც. აქ კი ასეთი სურათია იმავე ექვსი თვის განმავლობაში, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

საპაიო გადასახადის საერთო თანხა 250 ათასი მანეთიდან გაიზარდა თითქმის 360.000 მანეთამდე, ე. ი. 38,5 პროცენტით. წევრთა რიცხვმა კი, როგორც აღვნიშნეთ, 25 პროც. მოიმატა. ამრიგად, საპაიო თანხის ზრდა წინ უსწრებს წევრთა საერთო რიცხვის ზრდას ერთ და იმავე ხნის განმავლობაში 13,5 პროცენტით. ცხადია, ეს გარემოება მანუგეშებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციულ მშენებლობისათვის.

მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო და თან უარყოფითი ხასიათის ფაქტი, რომელსაც ადგილი აქვს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში. ესაა ქალთა უმნიშვნელო რაოდენობა კოოპერაციის წევრთა საერთო რიცხვთან შედარებით. ამავე ხნის განმავლობაში, რომელსაც ეკუთვნის ზემოთმოყვანილი სხვა ციფრები, ქალთა რიცხვი სამომხმარებლო კოოპერაციაში უდრიდა 4 პროცენტს.

აქ იგივე სურათი მეორდება, რომელიც ჩვენ გვაქვს ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობაში სოფლად, და კერძოდ საბჭოთა ძირითად ორგანოების არჩევნების დროს. საზოგადო კრებებზე, სადაც ირჩევა სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხი, ან ხდება ადგილობრივ ხელისუფლების არჩევნები, „ქუდზე-კაცი", რასაკვირველია, არასოდეს არ გამოდის. თითო ოჯახიდან—თითო კაცი ცხადდება უმეტესად და, რაც უმთავრესია, უსათუოდ მამაკაცი.

აშკარაა, ასეთ პირობებში დედაკაცის საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიურად ჩაბმის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია და ამ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ დღეს სწორედ საქმე სამომხმარებლო კოოპერაციაშიაც. ამიტომ ეს კოოპერაციის სპეციფიურ ნაკლათ, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება. მაგრამ, როგორც არ უნდა იყვეს, ფაქტი-ფაქტად რჩება და მას უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს. კოოპერაცია ისეთი დარგის, სადაც ქალის სამოქმედო ასპარეზი გაცილებით ფართოა, ვიდრე სხვა რომელიმე დარგში. აქ სამომხმარებლო კოოპერატივებს დახმარება უნდა გაუწიონ ჩვენმა ძირითადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ქალთა სადელეგატო კრებებმა, კომკავშირმა და სხვებმა.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ ნაკლს, ქალთა რიცხვის სიმცირეს, რომელიც საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს და გამოწვეულია სხვადასხვა ისტორიულ და სოციალურ პირობებით, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციული ზრდა 1925-26 წლის პირველ ნახევარში შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მაგრამ საკითხი მხოლოდ ამით არ ამოიწურება.

კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის ერთ მთავარ მოთხოვნილებას წარმოადგენს ადმინისტრატიულ-სავაჭრო აპარატის რაციონალიზაცია. მისი იმდენად გამარტივება-გაუმჯობესება, რომ ამან გავლენა მოახდინოს საქონლის ბრუნვის გაჯანსაღებაზე, ფასების დაკლებაზე, რასაც ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობისათვის. ეს უნდა შეიქნეს კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის მორიგ ამოცანად.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი და სამთა-მადნო მუშების ბრძოლა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

დღეს ჩვენ ვათავსებთ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის რეზოლიუციას*), რომელიც მიღებულია ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომაზე წარგზავნილ საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის მოხსენების გამო. ეს სხდომა მოწვეული იყო საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ინიციატივით. გენერალური საბჭო ძალიან აჭიანურებდა მის მოწვევას. ამ სხდომის მიზანს შეადგენდა გადაეჭრა საკითხი ინგლისის ბურჟუაზიის შემოტევის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ მემაღაროებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. გენერალურ საბჭოს დელეგაციამ უარი განაცხადა არა მარტო ინგლისის, არამედ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ამ წვავე საკითხის განხილვაზე. ამის ნაცვლად ინგლისის დელეგაციამ მოითხოვა ჩვენი დელეგაციისაგან უკან წაეღო მას საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დეკლარაცია, რომელშიაც გაშუქებული იყო მუშათა ორგანიზაციების ერთად-ერთი სწორი ტაქტიკის საფუძვლები ინგლისის მუშათა გაფიცვის საკითხში და შეფასებული გენერალურ საბჭოს და ამსტერდამის მოღალატური და კაპიტულიაციის ტაქტიკა.

ასე დამთავრდა ეს სხდომა, რომელზედაც ინგლისის გაფიცული მილიონიანი პროლეტარიატი დიდ იმედებს ამყარებდა.

ინგლისის და საბჭოთა კავშირის თვითეულმა მუშამ იცის, რომ ინგლისის შეკავშირებული მუშათა მასების ზეგავლენით დაარსებულ ინგლის-რუსეთის კომიტეტის პროგრამის უმთავრეს მუხლებს შეადგენდა: ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროფესიონალურად დარაზმულ მუშების გაერთიანებული ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, ბრძოლა იმპერიალისტურ ომების და ინტერვენციის წინააღმდეგ.

ინგლისის და საბჭოთა კავშირის თვითეულმა მუშამ იცის, რომ ინგლისში მომხდარი დიდი ამბები გადაჭრით მოითხოვდა და მოითხოვს ენერგიულ ზომების მიღებას ინგლის-რუსეთის კომიტეტის მხრივ აღნიშნულ მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომები იმართებოდა იმ მომენტში, როცა სამთა-მადნო მუშათა გაფიცვას კრიტიკული დღეები დაუდგა, როცა გენერალურ საბჭოს, ამსტერდამის და II ინტერნაციონალის მიერ ბედის ანაბარად მიტოვებული სამთა-მადნო მუშებზე, რომლებსაც დახმარებას უწევენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი და დასავლეთ ევროპის კომუნისტური ორგანიზაციები,—ახალი იერიშები მიაქვთ და სცდილობენ გათიშონ და მორალურად დაქსაქსონ გაფიცულთა შეკავშირებული რიგები სამღვდელოების პროვოკაციის საშუალებით. ისეთ მომენტში, როცა პროლეტარულ სოლიდარობის ელემენტარულ ამოცანას შეადგენს ყოველგვარ ძალების დაჭიმვა და რესურსების გამონახვა გაფიცულთა დასახმარებლად, ინგლისის დელეგაცია ინგლის-რუსეთის კომიტეტში უარს აცხადებს ლაპარაკზედაც კი კლასიურ სოლიდარობის ამ მინიმუმის შესახებ, უარს ამბობს განიხილოს საკითხი კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ დღის წესრიგი (სამთა-მადნო მუშების დახმარება) გენერალურ საბჭოს მიერ არ ყოფილა უარყოფილი.

გენერალური საბჭო, რომელიც ინგლისის მუშათა გაფიცვის დროს აწარმოებდა გამცემლობის და კაპიტულიაციის პოლიტიკას, ერთხელ კიდევ მთელი მსოფლიოს მუშების წინაშე აშკარავებს თავის შტრეიკბრეხერულ საქციელს.

ის ხელს უშლის გაფიცულ მემაღაროების დახმარებას საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ, ხელს უშლის შტრეიკბრეხერული გზით ინგლისში ნახშირის გაგზავნის წინააღმდეგ ბრძოლას. ის უარს ამბობს იმ თამასუქის განაღდებაზე, რომელსაც ზეიმით ხელი მოაწერა მთლიანობის კომიტეტის დაარსების დროს.

ამით გენერალურმა საბჭომ გადასდგა უდიდესი ნაბიჯი ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩასაშლელად; ამით გენერალურ საბჭოს აწევება უდიდესი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის და ინგლისის პროლეტარიატის ერთიანობის ჩაშლის ცდისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ იგი სცდილობს ლიკვიდაცია უყოს სერიოზულ ეტაპს, რომელიც განვლილია საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის დამყარების გზაზე.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა საქმით დაამტკიცა, თუ რამდენად სერიოზულად აფასებს ის საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის საქმეს.

ის არ შესწყვეტს ბრძოლას მთლიანობისათვის ბურჟუაზიის შემოტევის წინააღმდეგ, მიუხედავათ რეფორმისტების და გენერალურ საბჭოს ცდისა ჩაშალონ ეს საქმე, წინააღმდეგ ინგლისის მუშათა მასების პირდაპირი ზეგავლენისა. პირიქით, ის ამას კიდევ უფრო მეტის სიმტკიცით გააგრძელებს. ის იბრძოლებს ენერგიულ დახმარების გასაწევად მემაღაროებისათვის, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი, რომელთაც კიდევ შეუძლიათ გამარჯვება.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი არასოდეს არ სთვლიდა და არ სთვლის ინგლის-რუსეთის კომიტეტს ბლოკათ გენერალურ საბჭოს ხელმძღვანელებთან. პირიქით, ის გააკრიტიკებს და გამოამჟღავნებს ამ ხელმძღვანელების შტრეიკბრეხერობას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა საქმით დაიმსახურა და მოიპოვა კრიტიკის ეს უფლება.

ინგლის-რუსეთის კომიტეტს ის სთვლიდა და სთვლის მთლიანობისაკენ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა მასების საერთო ლტოლვის გამოხატულებათ. მუშათა მასების მთლიანობის ინტერესებისათვის ის საჭიროთ სთვლის მთლიანობის კომიტეტის არსებობას და განმტკიცებას და მის მოქმედების წარმართვას საერთაშორისო პროლეტარიატის ნამდვილი დახმარების გზით. ის შეეცდება, რათა ინგლის-რუსეთის კომიტეტი მტკიცეთ იცავდეს თავისი დეკლარაციას, რომელზედაც ხელი უწერია გენერალურ საბჭოს დელეგაციას.

ვიბრძოლოთ საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობისათვის!

მემაღაროეთა დახმარებისათვის!

სამთა-მადნო მუშების გამარჯვებისათვის!

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 13 აგვისტო.

---

*) იხ. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, პირველ გვერდზე. რედ.

ახალი მოვლენები საერთაშორისო ურთიერთობაში

მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი ხდება ზოგიერთი ცვლილებები. საერთაშორისო მდგომარეობაში უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა ზოგიერთმა ახალმა მოვლენებმა, ერთგვარმა გადაჯგუფებამ ძალთა ურთიერთობაში.

ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენაა—შეერთებულ შტატებისა და ინგლისის ურთიერთობის ერთგვარი გამწვავება.

ამ ფაქტმა ნათელი გამოსახულება ჰპოვა ჩერჩილის გამოსვლის დროს ინგლისისადმი საფრანგეთის სესხის მოწესრიგების საკითხის შესახებ. მოკავშირეთაშორისო სამხედრო სესხის გადახდით გამოწვეულ შედეგების მთელი პასუხისმგებლობა ჩერჩილმა შეერთებულ შტატებს დააკისრა. ჩერჩილის განცხადება გახდა შეერთებულ შტატებისა და დიდ ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროებს შორის გამწვავებულ პოლემიკის გამოსავალ წერტილად, რომლის დროს შეერთებულ შტატების ფინანსთა სამინისტრო სცდილობდა დაემტკიცებია, რომ ევროპის სახელმწიფოებმა არსებითად გადაიხადეს მხოლოდ ეგრედ წოდებული კომერციული სესხი, სამხედრო სესხი კი მათ „ეპატიათ".

ინგლისის ხაზინა წინააღმდეგის დამტკიცებას სცდილობდა, იგი მიუთითებდა იმაზე, რომ არსებითად ყველა საკონტრიბუციო გადასახადები სამხედრო სესხის სახით, მიდის შეერთებულ შტატებში. შეერთებულ შტატების ჰეგემონიამ მსოფლიო საფინანსო ბაზარზე, ამერიკის კონკურენციამ გასაღების ყველა ბაზარზე, შეერთებულ შტატების ამკრძალავმა ბაჟებმა, რომლებიც ხელს უშლიან ინგლისის ექსპორტს, ბრძოლამ თუთიის და სხვა იმ სამრეწველო ნედლეულის ფასებისათვის, რომლებიც ინგლისის ხელშია, ბრძოლამ სამხრეთ-ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში გავლენის მოპოებისათვის საგრძნობლად შეასუსტა ინგლის-ამერიკის ბლოკი, რომელიც არსებობდა ზოგიერთ საკითხებში. ინგლისის პრესის მკაცრი კილო შეერთებულ შტატების მიმართ და არა ნაკლებ მკაცრი პასუხი შეერთებულ შტატების პრესისა, აშკარად მოწმობს ორთავე სახელმწიფოს ურთიერთობის გამწვავებას.

შეერთებულ შტატებისა და საფრანგეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა, ვიდრე ინგლისისა და შეერთებულ შტატების. ამერიკელი ტურისტების ცემა-ტყეპა, ამერიკა-საფრანგეთის მეგობრობის გამომხატველ ძეგლების დანგრევა, საფრანგეთის პრესის სასტიკი გალაშქრება შეერთებულ შტატების წინააღმდეგ—მხოლოდ შესავალი იყო ბრიან-კაიოს კაბინეტის ჩამოგდებისა, რომელიც სცდილობდა საფრანგეთ-ამერიკის ვალების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის მოხდენას. საფრანგეთს არ სურს დაემორჩილოს ამერიკის საფინანსო კაპიტალის დიქტატურას, საფრანგეთის ბურჟუაზიას არ სურს დაკარგოს თავისი დამოუკიდებლობა და ყოველგვარი საშუალებით სცდილობს, რომ ამერიკის დაუხმარებლად მოაწესრიგოს თავისი დაშლილი ფინანსების საქმე.

ჩერჩილის გამოსვლა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ, სენატორ ბორას მკაცრი პასუხი, რომელიც ბრალს სდებდა ჩერჩილს ახალ „გალიპოლის ომის" მოწყობაში შეერთებულ შტატების წინააღმდეგ, მოწოდება ამერიკელ ტურისტებისადმი, რომ არ იმოგზაურონ ევროპიულ ქვეყნებში, ინგლისისა და საფრანგეთისათვის ბრალის დადება ამერიკის პრესის მიერ მტაცებლურ, დამპყრობ პოლიტიკაში, მითითება იმაზე, რომ მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა ძალით შეიერთა 3 მილ. 600 ათას კვ. კილომეტრის ტერიტორია, მაშინ როცა შეერთებულ შტატებს არც ერთი მტკაველი მიწა არ მიუღიათ და სხვადასხვა, ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ევროპის სახელმწიფოთა და შეერთებულ შტატების ურთიერთობა საკმაოდ გამწვავებულია. აქ უადგილოა ამ გამწვავების მიზეზების გამოკვლევა, მაგრამ ცხადია, რომ ევროპის ბურჟუაზია, ანუ უფრო სწორედ, ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზია ამხედრდა შეერთებულ შტატების წინააღმდეგ.

უეჭველია, ახალი მომენტია აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში გერმანია-ინგლისის დამოკიდებულების გაუარესება. ფაქტების მთელი რიგი გვიჩვენებენ, რომ ინგლისი უკვე ერთგვარის ეჭვით უყურებს გერმანიას. გერმანიის პაციფისტურ საზოგადოებათა წარმომადგენელი გრაფი ბერნსდორფი მეტად არამეგობრულად მიიღო ინგლისმა. ინგლისმა უარი განაცხადა იგივე გრაფ ბერნსდორფის ინგლისში ელჩად დანიშვნის თანხმობაზე, ჩემბერლენი ლაპარაკობს, რომ გერმანიის განიარაღების საქმე ვერ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, ბოლდუინი კი იმის შესახებ, რომ ერთა ლიგა ამჟამად ვერ მისცემს გერმანიას მანდატს კოლონიებზე. ჩემბერლენი აცხადებს, რომ საოკუპაციო ჯარების რიცხვის შემცირება რურის ოლქში არ გამომდინარეობს ლოკარნოს ხელშეკრულებიდან, ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი ჟურნალის „ფორტ ნაიტლი რევიუს" წერილი ბრალსა სდებს გერმანიას კონტინენტზე ჰეგემონიისაკენ მისწრაფებაში.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ გერმანიის კონკურენციის გაძლიერება შიშს გვრის ინგლისის მთავრობის წრეებს. ინგლის-გერმანიის ურთიერთობის გაუარესებაში უეჭველია დიდ როლს თამაშობს გერმანია - საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესებაც, გერმანიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ და გერმანიის პოლიტიკის ნათლად გამოსახული ორიენტაცია შეერთებულ შტატებზე ინგლისის ორიენტაციის მაგივრად.

ინგლისისა და გერმანიის დაახლოება საერთაშორისო მდგომარეობის მეოთხე ახალი, მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. ეს დაახლოება მოხდა ბრიანის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს და ზოგიერთი პოლიტიკური მომენტების გარდა, მეტად მნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხებში გამოიხატა. საფრანგეთისა და ბელგიის მეტალურგიის დაახლოება მახლობელ ხანისათვის მომხდარ ფაქტად რჩება, სწორედ ასევე თანამშრომლობის გაგრძელება კალიუმის მრეწველობაშიაც. რასაკვირველია, არსებობს ინტერესთა დიდი წინააღმდეგობაც; რასაკვირველია, საფრანგეთი უწევს და ყოველთვის გაუწევს წინააღმდეგობას გერმანიის მისწრაფებას დაუესის გეგმის გადასინჯვისაკენ; რასაკვირველია, გერმანია არ დაუჭერს მხარს საფრანგეთს ფრანკის სტაბილიზაციის საქმეში, თუ გადასინჯულ არ იქნება დაუესის გეგმა და სხვა მსხვილმანი ხასიათის ეკონომიური და პოლიტიკური დათმობები. მაგრამ საფრანგეთ - გერმანიის დაახლოება ფაქტია, და პუანკარეს მთავრობის სათავეში ჩადგომამ დღემდე ვერ შესცვალა ეს მდგომარეობა. გერმანიის პრესა მეტად თავდაჭერილად შეხვდა პუანკარეს ახალ გამოსვლას პოლიტიკურ ასპარეზზე და იმ გარემოებას, რომ პუანკარეს კაბინეთში ბრიანი კვლავ რჩება გარეშე საქმეთა მინისტრად; როგორც გერმანიის, ისე ინგლისის პოლიტიკური წრეები განმარტავენ როგორც ნიშანს იმისა, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს განაგრძოს დაახლოების ძველი კურსი.

ამ ახალ მომენტებს საერთაშორისო მდგომარეობაში სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინაიდან ისინი გავლენას იქონიებენ ყველა საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაზე.

ა. ტეილორ.

ლონდონი, 2 აგვისტო.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

რატომ ვაჭრობს ძვირად კოოპერატივები?

თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის სამომხმარებლო კოოპერაციას მშრომელი მოსახლეობის წინაშე ამას თვით ეს მოსახლეობა კარგად გრძნობს და შესაფერისადაც აფასებს. მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენი კოოპერატივების მუშაობა არ საჭიროებდეს მნიშვნელოვან შესწორებებს და გაჯანსაღებას. მართალია, უმეტეს შემთხვევაში კოოპერაცია ასრულებს თავის უმთავრეს დანიშნულებას იმით, რომ კერძო ვაჭარზე იაფად აწვდის მომხმარებელს საქონელს. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ჩვენს კოოპერატივებს შეუძლიათ უფრო იაფად ვაჭრობა. ამას მოითხოვს მისგან მომხმარებელი და სამართლიანადაც მოითხოვს.

„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა"-ში ამხ. კანტაროვიჩი არჩევს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ ვაჭრობს ძვირად ჩვენი კოოპერატივები. ავტორი არკვევს ამ მოვლენის მიზეზებს და სწერს:

> „პირველ რიგში (ამ მიზეზთა შორის) სდგას სავაჭრო და ადმინისტრატიული შტატის შენახვით გამოწვეული გადაჭარბებული ხარჯები... მეორე ადგილი უჭირავს მივლინებათა უფლების ბოროტად გამოყენებას, რომლის დროსაც ხშირად შეხვდებით მუდმივ და ხანგრძლივ მივლინებებს ცენტრში. ეს მივლინებები მთელ საბრუნავ თანხასთან შედარებით 0,3—0,7 პროცენტამდე აღწევს. ამასთან ერთად იანგარიშეთ 1—2 კაცის მოცდენა, რომლებიც მივლინებაში არიან და არ იღებენ მონაწილეობას „ემოსის" ყოველდღიურ მუშაობაში...
>
> დიდი ადგილი უჭირავს კოოპერაციის ხარჯებს შორის ავალებულ ფულის საპროცენტო ანარიცხებსაც, რომელიც ხშირად საბრუნავ თანხის 1,5—2,5 პროცენტამდე აღწევს".

აქ უკანასკნელ შემთხვევაში ამხ. კანტაროვიჩის სიტყვით, ობიექტიურ პირობების გარდა (საკუთარი თანხის სიმცირე), თვით კოოპერატივებსაც დიდი ბრალი მიუძღვით. კოოპერატივები ბოროტად იყენებენ ვალების გაგრძელების უფლებას, რაშიაც მათ ხშირად დახმარებას უწევს ცენტრი. თამასუქების გადაწერა არა თუ ზრდის გასავალის საერთო თანხას, არამედ კოოპერატივს ყოველთვის უღირს 0,5 პროცენტი.

> „დაბოლოს, ამბობს ამხ. კანტაროვიჩი, მეტად ახასიათებს „ემოს"-ებსა მიდრეკილება ფართე მუშაობისაკენ, იმისდა მიუხედავად, აქვთ თუ არა მათ საამისო მატერიალური საშუალება... ერთ ადგილას ჩვენ შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით ასეთ გასაოცარ ფაქტს. კოოპერატივმა, რომელმაც შარშან დიდი ზარალი ნახა და თითქმის ყველაფერი დაჰკარგა, დაიწყო სოფელში საკუთარი სახლის შენება".

ამ მთავარ ხარჯების გარდა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება კოოპერატივების ბალანსს, ავტორს მოჰყავს კიდევ სხვა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობიდან, როგორც მაგალითად: გაფლანგვა, საქონლის გახმობა (როცა ის ხანგრძლივი შენახვის დროს იკლებს წონაში) და დაღვრა (როგორც მაგალითად, ნავთი, ზეთი, სასმელები და სხვა). აღსანიშნავია აგრეთვე ამხ. კანტაროვიჩის სიტყვით ის გარემოება, რომ:

> „მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია „ემოს"-ს თითქმის არ შეხებია, მიუხედავათ იმისა, რომ სწორედ აქ უნდა მომხდარიყო ამ კამპანიის ჩატარება. სარევიზიო კომისიებს, თითქოს კანონად აქვთ დადებული სუსტად მუშაობა".

მართალია, ამხ. კანტაროვიჩის მიერ მოყვანილი ფაქტები ამოკრეფილია რუსეთის ზოგიერთ სამომხმარებლო კოოპერატივების ცხოვრებიდან, მაგრამ ვერავინ იტყვის იმას, რომ ამ ზედმეტ ხარჯებს სხვაზე ნაკლებად იცნობს ჩვენი კოოპერატივები. სამწუხაროდ ეს საბჭოთა კოოპერატივების თითქმის საყოველთაო სენს წარმოადგენს. ამ სენთან ბრძოლა ერთნაირი საჭირ-ბოროტო საკითხია რუსეთის და ჩვენი კოოპერატორებისათვის.

საქართველოს
ერო[illegible]
ბიბ[illegible]თეკა

სამთა-მადნო მუშების ბელადები დაემორჩილენ მასების გადაწყვეტილებას

„ბრძოლა გათავდება მაშინ, როცა დაკმაყოფილებული იქნება მემაღაროეთა ყველა მოთხოვნილებები"

„შეთანხმება მაღაროს პატრონებთან მოხდება სრულიად ინგლისის მასშტაბით ან სულ არ მოხდება"

საბჭოთა კავშირის მუშათა მასები და მთელი ქვეყნის რევოლიუციონური ორგანიზაციები ესალმებიან სამთა-მადნო მუშების გადაწყვეტილებას და დახმარებას აღუთქვამენ მათ

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოქმედების შესახებ

მოსკოვი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს გაიმართა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა საბჭოთა დელეგაციის ანგარიში პარიზში გამართულ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომის შესახებ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა დელეგაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ანდრეევმა. ანდრეევის მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება პარიზში გამართულ ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომის და ამ სხდომაზე საკ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დელეგაციის მუშაობის შესახებ, საკავშ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმი სავსებით იწონებს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს დელეგაციის მოქმედების ხაზს.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ინგლისის დელეგაციამ პარიზში გამართულ თათბირზე დაიჭირა ისეთი პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება ინგლისის სამთა-მადნო მუშათა ფართო მასების ინტერესებს. მიმდინარე მომენტის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ინგლისის სამთა-მადნო მუშათა გმირულ ბრძოლისათვის დახმარების გაწევის საკითხი. გაფიცული სამთა-მადნო მუშები, მათი ცოლები და შვილები საშინელ გაჭირვებას განიცდიან. ბურჟუაზიის ყველა ძალები—მთავრობა, მაღაროების მეპატრონეები, პოლიცია, შტრეიკბრეხერთა და ჯაშუშთა ორგანიზაციები გარს ერტყმიან და ახრჩობენ სამთა-მადნო მუშებს. თვალთმაქცი „მეგობრები" სცდილობენ დაითანხმონ სამთა-მადნო მუშები კაპიტულიაციაზე. მშრომელთა გაჭირვება დიდია. მუშათა საქმის ყოველი სინდისიერი მომხრე თავის უმთავრეს მზრუნველობის საგნად უნდა სთვლიდეს სამთა-მადნო მუშების დახმარებას.

სწორედ ამიტომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ თავის ხელში აიღო ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოწვევის ინიციატივა და თათბირის ერთად-ერთ საკითხად გამოაცხადა ინგლისის მემაღაროების დახმარება.

საბჭოთა პროფკავშირები ყოველ ძალ ღონეს მიმართავდენ ინგლისის მემაღაროების დასახმარებლად. ისინი საჭიროთ სთვლიდენ ამ დახმარების გაფართოებას და ამ დახმარების ისე დაყენებას, რომ მას მისცემოდა საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარების ხასიათი. „მეგობრებს გაჭირვებაში იცნობო"—ნათქვამია. აი, როდესაც სამთა-მადნო მუშათა გაჭირვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ბურჟუაზიის იერიშები ძალიან გაძლიერდა, ინგლისის დელეგაციამ უარი განაცხადა სამთა-მადნო მუშების საკითხის განხილვაზე.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ფიქრობს, რომ ასეთი მოქმედება ფორმალურად და არსებითად არ არის სწორი, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი დღის წესრიგი, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ერთი საკითხისაგან—სამთა-მადნო მუშათა დახმარების შესახებ, არ ყოფილა უარყოფილი გენერალურ საბჭოს საპასუხო დეპეშაში. არსებითად ინგლისის დელეგაციის მოქმედების ხაზი წარმოადგენს იმ ხაზის გაგრძელებას, რომლითაც გენერალურ საბჭოს ხელმძღვანელებმა მახვილი ჩასცეს მუშათა მოძრაობას საყოველთაო გაფიცვის დროს: ეს არის კაპიტულიაციის და მუშათა მასების და უწინარეს ყოვლისა ინგლისის სამთა-მადნო მუშების ბრძოლის საბოტაჟის ხაზი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ასეთი საქციელით ინგლისის დელეგაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა სამთა-მადნო მუშების ისეთი დახმარების მოუწყობლობისათვის, როგორიც აუცილებლათ საჭიროა.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმი ფიქრობს, რომ საბჭოთა დელეგაციისათვის საკ. პროფკავშ. ცენტრალურ საბჭოს დეკლარაციის უკან წაღების მოთხოვნა, სრულიად დაუსაბუთებელია. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პლენუმი ვერ ხედავს ვერავითარ საფუძველს შესცვალოს თავისი შეხედულება ინგლისის ამბების და მასში გენერალურ საბჭოს და მის დღევანდელ ხელმძღვანელთა როლის შესახებ.

ეს მით უფრო, რომ არა მარტო გაფიცვის შემდგომმა ისტორიამ, არამედ ინგლისის დელეგაციის მოქმედებამ პარიზის თათბირზე სავსებით დაადასტურა დეკლარაციის მთავარი დებულებები. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ინგლისის სამთა-მადნო მუშათა დახმარების საკითხის განხილვაზე უარის თქმა და მოთხოვნილების წაყენება საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სამართლიან დეკლარაციის უკან წაღების შესახებ, წარმოადგენს ფაქტიურად ისეთ ნაბიჯს, რომელიც მიმართულია ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლისაკენ და ცდას ჩაშლილ იქნას საერთაშორისო დახმარება გაფიცულ სამთა-მადნო მუშებისათვის.

იმ დროს, როდესაც ინგლისის და სხვა ქვეყნების მუშათა მასები თანდათან თავს იყრიან მთლიანობის დროშის ქვეშ, იმ დროს, როდესაც მუშათა მასები თანდათან იმსჭვალებიან სიმპატიებით ინგლის-რუსეთის კომიტეტისადმი, ინგლისის ტრედიუნიონების ხელმძღვანელები სდგამენ ნაბიჯს ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოქმედების ჩასაშლელად.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა ასეთი ნაბიჯებისათვის კისერზე აწვებათ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ინგლისელ დელეგაციას. პლენუმი ფიქრობს, რომ მიუხედავად ინგლისის დელეგაციის ხაზისა, საბჭოთა პროფკავშირები ვალდებული არიან ყოველმხრივ დაიცვან პროფკავშირთა მოძრაობის მთლიანობის იდეა.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ინგლის-რუსეთის კომიტეტში, არასოდეს არ ხედავდა ხელმძღვანელთა ბლოკს. პლენუმი ფიქრობს, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი წარმოადგენს ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა მასების მეგობრობისა და სოლიდარობის გამოხატულებას. ამიტომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს დელეგაციამ, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებისათვის საჭიროთ სთვლის ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობას,—მომავალშიაც უნდა მოითხოვოს მისაგან მუშების აქტიური დაცვა კაპიტალისტებისაგან და არა სიტყვით, არამედ საქმით. მხოლოდ ასეთი პოლიტიკა არის სინდისიერი მუშური პოლიტიკა. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ფიქრობს, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი ვალდებულია მიიღოს ყოველგვარი ზომები სამთა-მადნო მუშების დასახმარებლად. ასეთ დახმარებაზე უარის თქმას საკავშ. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო სთვლის კაპიტალისტების და პროლეტარიატის ყველა კლასიურ მტრების არაპირდაპირ დახმარებათ. პლენუმი ხაზგასმით აღიარებს, რომ საჭიროა ინგლის-რუსეთის კომიტეტში არსებობდეს ურთიერთ კრიტიკის თავისუფლება.

საკავშ. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო, როგორც საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი პროლეტარიატის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს უდიდესი გამოცდილება კლასთა ბრძოლაში და რომელსაც არა ერთხელ უხელმძღვანელებია საყოველთაო გაფიცვებისათვის მტრის წინააღმდეგ უღირს საქციელათ სთვლის გაჩუმებას, როცა გენერალურ საბჭოს ხელმძღვანელების არა სწორი პოლიტიკა ზიანს აყენებს მემაღაროების გაფიცვას და საერთოდ კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ მუშათა ბრძოლის საქმეს.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო სრულიადაც არ ფიქრობს „შინაურ საქმეებში ჩარევას". მას მხედველობაში აქვს ინგლისის პროლეტარიატისათვის, როგორც მატერიალური, ისე იდეური დახმარების გაწევა. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო აღშფოთებით აღნიშნავს ამსტერდამის და „საწარმოო" (სამთო მუშების და სხვათა) „ინტერნაციონალების" საზიზღარ შტრეიკბრეხერულ პოზიციას; უკანასკნელნი ბურჟუაზიის გულის მოსაგებათ უარს ამბობენ ინგლისის მებრძოლ პროლეტარიატისათვის დახმარების გაწევაზე. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საჭიროთ სთვლის განაგრძოს ენერგიული დახმარება ინგლისის სამთა-მადნო მუშებისათვის".

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ავალებს პრეზიდიუმს გამოაქვეყნოს მოხსენების, კამათის სტენოგრამა და ზემოდ მოყვანილი რეზოლიუცია.

პლენუმმა ერთხმად მიიღო ეს რეზოლიუცია. პრეზიდიუმი იძლევა წინადადებას მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ინგლისის სამთა-მადნო მუშებს. პრეზიდიუმის წინადადება პლენუმმა ერთხმად მიიღო.

კენჭის ყრის შედეგების გამოქვეყნება მქუხარე ტაშმა დაფარა.

მისალმება ინგლისელ მემაღაროებს

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ინგლისის მემაღაროებს:

მისალმება ინგლისელ მემაღაროებს

„საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის ინგლისის მემაღაროებს მათ გმირულ ბრძოლაში თავიანთ კლასობრივ მტრის წინააღმდეგ. პლენუმი განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდა ცნობას მემაღაროების მიერ სამღვდელოების წინადადების უარყოფის შესახებ. უკანასკნელის წინადადება წარმოადგენს ცდას ჩაშლილ იქნას ინგლისის მემაღაროების გმირული ბრძოლა მთელი მუშათა საარსებო ინტერესებისათვის.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პლენუმი შეკავშირებულ მუშათა მასების სახელით აცხადებს რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებში გაერთიანებული პროლეტარიატი მომავალშიაც აღმოუჩენს დახმარებას მებრძოლ მემაღაროელებს და ყოველ ძალღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს მათ გამარჯვებას".

დაეხმარეთ გაფიცულებს

მოსკოვი, 13 აგვისტო. რევოლიუციონურ სამთამადნო მუშების პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა რევოლიუციონურ სამთამადნო მუშების ყველა ორგანიზაციებს: მიუხედავათ ინგლისის კაპიტალის ყურმოჭრილი ყმების რეპრესიებისა და მუშათა წარმომადგენლების მერყეობისა, ინგლისის სამთამადნო მუშები მტკიცედ განაგრძობენ თავის ბრძოლას. რევოლიუციონურმა სამთამადნო მუშებმა უნდა გააძლიერონ თავის მხრით ინგლისელ ამხანაგებისადმი დახმარება. საფრანგეთის ამხანაგებმა უშესანიშნავესი სოლიდარობის მაგალითი მისცეს ყველას, როგორც ფულის შეგროვებით, ისე ბოიკოტისა და სოლიდარული გაფიცვის მოწყობით.

მემაღაროები განაგრძობენ ბრძოლას

მთავრობის ახალი ცდა

ლონდონი, 12 აგვისტო. როგორც იტყობინებიან, შესაძლებელია უახლოეს დროში მთავრობამ მოიწვიოს სამთამადნო მუშებისა და მაღაროს პატრონთა წარმომადგენლები მოლაპარაკების განახლების საკითხის განსახილველად.

კუკის განცხადება

ლონდონი, 12 აგვისტო. 16 აგვისტოს მოსალოდნელ სადელეგატო კონფერენციის გამო კუკმა განაცხადა: კონფერენციას მოუხდება არა მარტო ჩვენი საკუთარი ძალების შემოწმება, არამედ მტრის ძალებისაც, რომელიც არაფრით არ ინდობს თავის მოწინააღმდეგეს. ვინაიდან სამღვდელოების მემორანდუმისათვის კენჭის ყრამ გამოაშკარავა, რომ სამთამადნო მუშების ფართო მასებს არ სურთ წავიდენ დათმობაზე, ამიტომ ბელადები იძულებული არიან საჭიროთ სცნონ უდიდესი ამოცანის შესრულების აუცილებლობა და მიაღწიონ სამთამადნო მუშების მიერ თავდაპირველად წამოყენებულ პირობების შესრულებას. მთავრობამ შექმნა სამთამადნო მუშებისათვის ნაციონალური ბლოკადა და მას განზრახვა აქვს მიიყვანოს სამთამადნო მუშები იმ მდგომარეობამდე, რომ ბოლოს თავს მოახვიოს მემაღაროებს ისეთი პირობები, რაც ხელსაყრელია მთავრობისა და მაღაროს პატრონებისათვის. აი სწორედ ამას გაურბივარ, როგორც მე, ისე ჩემი ამხანაგები.

ნოტინგამშირის და დერბიშირის მაღაროს მეპატრონეთა წინადადების გამო—მოიწვიონ თათბირი სამთამადნო მუშათა ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად, კუკმა განაცხადა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ასოციაციის ბელადები არ დათანხმდებიან მაღაროს მეპატრონეთა წარმომადგენლებთან თათბირზე. **თუ შეთანხმება უნდა მოხდეს, ეს უნდა მოხდეს სრულიად ინგლისის მასშტაბით, ან და სავსებით არ უნდა მოხდეს.** მაღაროს პატრონებს და მთავრობას სურს მიაღწიონ სრულ გამარჯვებას,—რომ სამთამადნო მუშებს მოუსპონ, როგორც თავდაცვის, ისე მომავალში სამართლიანობის დასაცავათ ბრძოლის განახლების საშუალება".

ხუცები არ ცხრებიან

ლონდონი, 12 აგვისტო. სამღვდელოებამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ის განაგრძობს თავის მოქმედებას ნახშირის მრეწველობაში კონფლიქტის მოსაგვარებლად. სამღვდელოება აცხადებს, რომ მათი დამოკიდებულება სამთამადნო მუშების ფედერაციის მიმართ შემდეგშიაც მეგობრული იქნებაო.

ახალი საფაბრიკო კანონი

ლონდონი, 12 აგვისტო. გამოაქვეყნეს მთავრობის პროექტი ახალი საფაბრიკო კანონის შესახებ. მთავრობამ შესაძლოთ დაინახა გამოეყენებინა გენდერსონის მიერ, მისი მაკდონალდის მთავრობაში მინისტრად ყოფნის დროს შემუშავებული პროექტი. პროექტში შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები და ზოგი მუხლი კი სავსებით ამოღებულია. მაგალითად, გენდერსონის პროექტის მიხედვით სამუშაო სივრცის მოცულობა 400 კვად. ფუტით იყო განსაზღვრული თვითეულ კაცზე. ხიქსის პროექტი ამცირებს მას 250 კუბ. ფუტამდე. გენდერსონის პროექტის მიხედვით სამუშაო შენობის ტემპერატურა უნდა უდრიდეს 15 გრადუს ცელსიუსით. ახალმა პროექტმა შეიტანა ამ მუხლში ცვლილება; **იქ დამატებულია ფრაზა: „სამუშაო საათების შემდეგ". ამნაირად მუშაობა იწყება სიცივეში.** პროექტიდან სავსებით ამოღებულია ის მუხლი, რომ მუშებს უნდა ექნეს ყოველ კვირაში 24 საათის დასვენება. **რაც შეეხება ქალებისა და ბავშების მუშაობას, პროექტი, მათთვის აწესებს 10 საათის სამუშაო დღეს.** გენდერსონის პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო 9 საათის სამუშაო დღე. გენდერსონის პროექტი ითვალისწინებდა ღამის მუშაობის შემოღებას, ქალებისა და ბავშებისათვის, როგორც დროებით ზომას. **ხიქსის პროექტი-კი დროებით ზომას სამუდამო ხასიათს აძლევს.**

მწარმოებლები ლოკაუტით იმუქრებიან

ლონდონი, 13 აგვისტო. ტროიზენში აგურის ქარხნის მუშათა გაფიცვის გამო საამშენებლო მრეწველობის მწარმოებლები დაემუქრენ მუშებს, რომ **ეროვნული მასშტაბით გამოუცხადებენ ლოკაუტს აგურის ქარხნის ყველა მუშებს, რომლებიც აღმშენებელთა პროფკავშირში შედიან. ამ პროფკავშირში შედის 60.000-ზე მეტი მუშა.**

გუშინ შესდგა აღმშენებელ მუშათა სადელეგატო კონფერენცია 400 დელეგატის მონაწილეობით. **კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ტროიზენის აღმშენებელ მუშათა მოქმედებას და აცხადებს, რომ კონფერენცია მზადაა თავის თავზე მიიღოს ასეთი ნაბიჯის შედეგები.**

კუკის განცხადების გარშემო

ლონდონი, 13 აგვისტო. კუკმა განცხადებით მიმართა მთავრობას. თავის ინტერვიუში კუკმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია სამუშაო დღის გადიდებისა, მაგრამ პრინციპში იღებს სახელმწიფო მინიმუმს და მოუწოდებს მემაღაროეთა ბელადებს, რომ გამართონ მთავრობასთან მოლაპარაკება ეროვნულ შეთანხმების გამოსამუშავებლად და სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის საკითხის განსახილველად.

იტყობინებიან, რომ მთავრობის წრეებში არსებობს შეხედულება, რომ კაბინეტმა არ უნდა შესცვალოს თავისი პოზიცია სანახშირო მრეწველობისათვის სუბსიდიის მიცემის საკითხში. მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ აღმოუჩენს ხელახალ დახმარებას სანახშირო მრეწველობას და იმ შემთხვევაშიაც კი, თუ სადელეგატო კონფერენცია, რომელიც მოწვეულია ორშაბათისთვის, საფუძვლად მიიღებს მთავრობის მიერ სუბსიდიის გაგრძელების გეგმას, მაშინაც კი მთავრობისათვის იგი მიუღებელი იქნება.

ტრედიუნიონების კონგრესის გენერალური საბჭო დღეს განიხილავს გაფიცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ლონდონის ბირჟაზე დღეს უფრო გარკვეული მდგომარეობაა, რომელსაც მიაწერენ იმას, რომ სანახშირო მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელიან.

სალამი ინგლისელ მემაღაროებს

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ინგლისის სამთამადნო მუშათა კავშირს:

„ჩვენ აღფრთოვანებით ვხვდებით თქვენს მტკიცე გადაწყვეტილებას ბრძოლის გაგრძელებისა და სამღვდელოების მიერ წამოყენებულ ყოველგვარ კომპრომისების უარყოფის შესახებ. **400.000 სამთამადნო მუშების სახელით მხურვალე ძმურ სალამს უძღვნით მილიონიან არმიას—ინგლისის მემაღაროებს და ვუსურვებთ გამარჯვებას გმირულ ბრძოლაში.**

ინგლისის რემედასის მოწოდება

მოსკოვი, 13 აგვისტო. ინგლისის რემედასის ორგანიზაციამ, გაფიცულ სამთამადნო მუშათა დაპატიმრების შემთხვევების გახშირების გამო, გამოუშვა მოწოდება დაპატიმრებულთა ოჯახების დახმარების შესახებ. მოწოდებას ხელს აწერენ: გერბერტ სმიტი, რიჩარდსონი, კუკი და ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწენი სამთამადნო მუშების კავშირისა.

მოლაპარაკების დაწყების მოლოდინში

ლონდონი, 13 აგვისტო. ვინაიდან სანახშირო კონფლიქტში ახალ გართულებას ადგილი არ ჰქონია, ბალდუინი ლონდონში რამოდენიმე საათით შეჩერების შემდეგ, გაბრუნდა უკანვე პროვინციაში.

მუშათა გაზეთები იუწყებიან, თითქოს მთავრობას განზრახული ჰქონდეს მემაღაროელ მუშების და მაღაროების მეპატრონეების გაერთიანებული კონფერენციის მოწვევა მოლაპარაკების დაწყების საკითხის განსახილველად. მაგრამ მთავრობის წრეებში ამის შესახებ არაფერს არ ამბობენ. მიუხედავათ ამისა მაინც მნიშვნელობას აძლევენ გაზეთებში და, მათ შორის, „დეილი ჰერალდ"-ში მოთავსებულ წერილებს, სადაც ნათქვამია, რომ მაღაროების მეპატრონეთა მეთაურნი უფრო და უფრო მოწადინებულნი ხდებიან განაახლონ მოლაპარაკება. მაგრამ მოლაპარაკების განახლების ინიციატივა უნდა იკისროს ერთმა რომელიმე მხარეთაგანმა.

მოსალოდნელია, რომ მოლაპარაკებას კეთილი შედეგები მოჰყვეს, მაგრამ შეუძლებლად სთვლიან მთავრობის მხრივ რაიმე ნაბიჯის გადადგმას ამ მიმართულებით.

კუკის განცხადება

ლონდონი, 13 აგვისტო. კუკი, მემაღაროეთა ფედერაციის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებულ წერილში აღიარებს თავისი პოლიტიკის მარცხს: „არასოდეს, არასოდეს" და მოუწოდებს მემაღაროებს „დაიწყონ ახალი მოძრაობა, გაფიცვის დამთავრებისათვის". კუკი აცხადებს, რომ სადელეგატო კონფერენციას ორშაბათს მიეცემა წინადადება, რომ გამოიმუშაონ ის საბოლოო პირობები, რომლის მიხედვითაც სურთ მემაღაროებს კონფლიქტის გადაწყვეტა.

მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 13 აგვისტო. ვინაიდან სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციის შედეგები გამოქვეყნებული იქნება მომავალ კვირაში, ბოლდუინი ამ დროისათვის კვლავ ჩამოვა ლონდონში.

„იბრძოლეთ ბოლომდის"

რევოლიუციონური სამთამადნო მუშების პროპაგანდისა და მოქმედების კომიტეტის მიმართვა ინგლისელ მემაღაროებისადმი

მოსკოვი, 13 აგვისტო. რევოლიუციონური სამთამადნო მუშების საერთაშორისო პროპაგანდისა და მოქმედების კომიტეტმა მიმართა ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციას და სამთამადნო მუშათა უმცირესობის მოძრაობას შემდეგი ტელეგრამით: „ყველა ქვეყნების ერთ მილიონზე მეტ რევოლიუციონურ მუშათა მასის სახელით მხურვალეთ გესალმებით თქვენ, ინგლისის მემაღაროეთ, რომლებმაც მტკიცეთ გადასწყვიტეთ განაგრძოთ ბრძოლა და არ წახვიდეთ დათმობაზე მიუხედავათ კაპიტალისტების რეპრესიებისა და მათ მიერ მოსყიდული ლაქიების მელა-კუდობისა და გაიძვერობისა. **იყავით მედგრათ, როგორც დღემდის. ჩვენ მთელ ჩვენს ძალასა და ღონეს ვკრებთ თქვენ დასახმარებლად.**

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ-საბჭოთა შეთანხმება

ვარშავა, 13 აგვისტო. ხუთშაბათს პოზნანში დაიდო სარკინიგზო შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის შორის, რომლის მიხედვით საქონელი პოლონეთიდან საბჭოთა კავშირში და საბჭოთა კავშირიდან პოლონეთში შეტანილ იქნება საზღვარზე გადაუტვირთავად. შეთანხმება ითვალისწინებს პირდაპირ მიმოსვლას ორთავე სახელმწიფოს შორის.

უცხოეთის პალატების დახურვა სტამბოლში

ბერლინი, 13 აგვისტო. ოსმალეთის მთავრობის ბრძანებით სტამბოლში დახურულია უცხოეთის ყველა სავაჭრო პალატები.

რეინლანდის ოკუპაცია

ბერლინი, 13 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ ცნობები იმის შესახებ, თითქოს ინგლისს განზრახვა აქვს დასტოვოს საოკუპაციო ჯარები რეინზე, არაა მართალი, მაგრამ დასძენს, რომ საფრანგეთი დიდათ ამცირებს თავის საოკუპაციო ძალებს.

„დეილი ქრონიკლი“ და „დეილი ნიუზი“ ფიქრობენ, რომ დაუესის გეგმის და ლოკარნოს პაქტის არსებობის გამო საოკუპაციო ჯარი ზედმეტია. ამიტომ ყოველი ჯარისკაცი, რომელიც ფერადი ჯარის ორი ათასიან რაზმში შედის, ეხლავე უნდა იქნას გაყვანილი რეინლანდიდან.

იტალია „აშვიდებს“ აბისინიას

პარიზი, 13 აგვისტო. რომიდან მიღებული ცნობით, იტალიამ გამოაქვეყნა პასუხი აბისინიის ნოტაზე, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ აბისინიის შიში უსაფუძვლოა. იტალია-ბრიტანეთის შეთანხმება წმინდა ეკონომიური ხასიათისაა და არაა მიმართული აბისინიის თავისუფლების წინააღმდეგ; ამ შეთანხმების მიზანია ამ კონკურენციის აცილება, რომელმაც შეიძლება ავნოს ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას.

ინგლისის მემაღაროეთა მადლობა საბჭოთა კავშირის მუშებისადმი

მოსკოვი, 13 აგვისტო. მუშა ქალთა დამხმარე კომიტეტის მიერ ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ გადაგზავნილ 470.000 მანეთის საპასუხოდ, საბჭ. კავ. პროფკავ. ცენტ. საბჭომ ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ფული მიღებულია დაუბრკოლებლად. გთხოვთ გადასცეთ უღრმესი მადლობა მუშებს, ქალთა კომიტეტს და ყველა საბჭოელ ამხანაგებს. ინგლისის მაღაროელნი არ დაივიწყებენ მათ გულუხვობას. დახმარების საჭიროება კიდევ დიდია. სმიტი, კუკი, რიჩარდსონი.

ეპისკოპოსთა სოლიდარობა

ბერლინი, 13 აგვსტო. გერმანელ ეპისკოპოსთა კრებამ ფულდში მექსიკის არხიეპისკოპის მორას გაუგზავნა დეპეშა, სადაც იგი გერმანელ კათოლიკების სახელით თანაგრძნობას უცხადებს მექსიკის სამღვდელოების მიერ მთავრობასთან წარმოებულ ბრძოლის გამო.

კომუნისტების გაზეთის დახურვა

ბერლინი, 12 აგვისტო. მიუნხენის კომუნისტური გაზეთი „ნეიე ცეიტუნგი“ აკრძალულია 2 კვირით ბავარიის იუსტიციის მინისტრის შეურაცყოფისათვის.

მიტინგის აკრძალვა

ბერლინი, 12 აგვისტო. ბერლინის პოლიცეი-პრეზიდიუმმა აკრძალა კომუნისტების მიერ მოწვეული საპროტესტო მიტინგი გერმანიის პოლიციის ტერორის წინააღმდეგ.

საეკლესიო მამულების კონფისკაცია ჩატარდება

ბერლინი, 13 აგვისტო. პრეზიდენტი კალიერი აცხადებს, რომ ყველა იმ მამულების კონფისკაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკლესიას ეკუთვნის, ამ მოკლე ხანში ჩატარდება.

აფეთქების შედეგები

ბერლინი, 13 აგვისტო. ჩეპელს (უნგრეთი) თოფის წამლის ქარხნის აფეთქებამ იმსხვერპლა 40 კაცი და სერიოზულად დააშავა 400 კაცი. არის მოსაზრება, რომ კიდევ მრავალია ნანგრევების ქვეშ მოყოლილი მსხვერპლი. პოლიციამ და ჯარის ნაწილებმა გამოაცალკევეს აფეთქების ადგილი. ხელისუფლების ორგანოები აფეთქების შესახებ ხდუმან. აფეთქების მიზეზი გამოურკვეველია.

საფრანგეთ-რუმინეთის შეთანხმება

პარიზი, 12 აგვისტო. პარიზში ხელმოწერილი საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება ითვალისწინებს მხოლოდ ამ ჟამად არსებულ ტერიტორიალურ მდგომარეობის დაცვას. ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან რუმინეთის დღევანდელ ევროპიულ საზღვრებში ხელშეკრულების მიხედვით შედის ბესარაბიაც.

ემიგრანტების შევიწროება ბულგარეთში

ოდესა, 13 აგვისტო. ბულგარეთიდან ჩამოსული ვრანგელის ყოფილი ჯარის-კაცები გადმოგვცემენ დაწვრილებით ცნობებს იმის შესახებ თუ როგორ ძალადობას ხმარობს ბულგარეთის ხელისუფლება რუსი ემიგრანტების წინააღმდეგ. ბულგარეთში ცნობილი „საქმის კაცი“ შიროკოვი, ვრანგელის პოლკოვნიკ იკაევთან ერთად, რომელსაც ხელს უწყობდა ბულგარეთის ხელისუფლება, თავისი მრავალრიცხოვანი კონტორების საშუალებით აგროვებდა იმ ემიგრანტებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში დაბრუნება სურდათ. ბულგარეთის მთავრობა ემიგრანტებს არწმუნებდა, რომ საბჭოთა მთავრობამ ნება დართო მათ რუსეთში დაბრუნებისა. ემიგრანტების პირველ ჯგუფი ისეთ საშინელ პირობებში გაიგზავნა, რომ ძლივს გადარჩა დალუპვას. შემდეგ ამ ოპერაციის მოწყობა მიანდვეს იკაევს და ჰოლანდიის კონსულს პასნაიტისს. გემ „ტრიტონში“ ძალით ჩასვეს 100 ემიგრანტი, და როცა მათ პროტესტი განაცხადეს, ჯარის რაზმი გამოიწვიეს. როცა გემი შეცურდა წყალში, გამოირკვა, რომ იგი დაზიანებულია. გემის კაპიტანს უნდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ ზღვის ნაპირიდან დაიწყეს სროლა. გემმა „ტრიტონმა“ ზღვაში დარჩა 21 დღე. შიმშილისაგან ღონემიხდილმა ემიგრანტებმა ბოლოს მიაღწიეს ოსმალეთის ნაპირამდე.

მდგომარეობა საფრანგეთში

„დაილალე“

პარიზი, 12 აგვისტო. გამოქვეყნებულია დეკრეტი საფრანგეთის პარლამენტის 1926 წლის ჩვეულებრივი სესიის შეწყვეტის შესახებ.

სარკინიგზო ტარიფის გადიდება

პარიზი, 12 აგვისტო. რკინის გზის სამმართველოს უმაღლესმა საბჭომ დაადგინა: გაადიდონ სარკინიგზო ტარიფი მგზავრებზე 30 პროცენტით, ხოლო ბარგზე 24—28 პროცენტით.

„იმპერო“ საფრანგეთის წინააღმდეგ

ოსლო, 12 აგვისტო. უკიდურესი ფაშისტების ორგანო „იმპერო“, ეხება საფრანგეთ-ბელგია-გერმანიის შორის მძიმე მრეწველობის გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ. გაზეთი ამბობს: ასეთ გაერთიანებულ ორგანიზაციას სრულებით არ აქვს მშვიდობიანი მისწრაფება, არამედ მისი განსაკუთრებული მიზანი არის საბოლოოდ დაამარცხოს გერმანია. „იმპერო“ მიუთითებს, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების შესახებ ეს მხოლოდ თავის მოტყუილებაა, რადგან გერმანიისა და საფრანგეთის სამრეწველო განვითარების ტენდენცია ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. როდესაც გერმანიამ სცნო საერთაშორისო მნიშვნელობა იტალიის, რომელიც არ არის კმაყოფილი ვერსალის ხელშეკრულებით, ეხლა მან ჩვენ მხარესაც უნდა მიაქციოს ყურადღება და არ იცქიროს რეინის გაღმა მხარეს.

პილსუდსკის სამფლობელოში

გაზეთებმა კილო იცვალეს

ვარშავა, 12 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელის მიერ იმ ცნობების გამოქვეყნების შემდეგ, რომლებიც აქარწყლებენ საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებულ ჭორებს, პოლონეთის გაზეთებმა საგრძნობლად შესცვალეს კილო. თუმცა საბჭოთა კავშირის შესახებ, სხვადასხვა სენსაციური ცნობები კიდევ ვრცელდება, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით.

ამერიკის წარმომადგენელი „მუშაობს“

ვარშავა, 12 აგვისტო. შეერთებულ შტატების წარმომადგენელი ვარშავაში სტედსონი გაემგზავრა პოლონეთის აღმოსავლეთით ოლქების გამოსაკვლევათ.

პილსუდსკის ზრუნვის საგანი

ვარშავა, 12 აგვისტო. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დიდ აზრთა შეხლა-შემოხლას ქონდა ადგილი პილსუდსკის ბრძანების თანახმად პოლონეთის არმიის ოფიცრებისათვის ჯამაგირის მომატების შესახებ, რომელიც ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის. მინისტრთა საბჭომ დაადგინა—დაიფაროს ოფიცრებისათვის განცემული თანხა რკინისგზის ტარიფის გადიდებით.

იტალია ბალკანეთზე

რომი, 12 აგვისტო. საფრანგეთის პრესის საპასუხოდ, რომელიც ბრალს სდებს იტალიის მთავრობას ბალკანეთზე ინტრიგების მოწყობაში, გაზ. „პოპოლო დ,იტალია“-მ მოათავსა წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოები კეთილ მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან იტალიასთან; ეს დამოკიდებულება არ ეწინააღმდეგება ევროპის მსოფლიო პოლიტიკას.

გაზეთი განაგრძობს: თუ რუმინიამ მიიღო სესხი იტალიისაგან, ეს იმას არ ნიშნავს—იტალია სამხედრო მიზნებს ისახავს. თუ მხედველობაში მივიღებთ იტალიის დამოკიდებულებას რუსეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან, მაშინ ნათელი გახდება, რომ იტალიისათვის ეკონომიური განვითარება და მშვიდობიანობა უფრო ძვირფასია, ვიდრე ომი.

რეიტერი ამტკიცებს, რომ ინგლისი ბალკანეთზე განსაკუთრებით მშვიდობიანობის მიზნებს ისახავს. იტალიას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის უფრო გულ მოდგინეთ იცავს ამ მიზნებს. ვინემ ინგლისი და ამიტომაც მხარს უჭერს ინგლისის პოლიტიკას ბალკანეთზე“.

შვეიცარიის ბოიკოტი გრძელდება

საკავშირო დეპეშათა სააგენტომ უარი სთქვა თავისი წარმომადგენელის გაგზავნაზე ჟენევაში

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ მიიღო ერთა ლიგისაგან წინადადება წარმომადგენელის გამოგზავნის შესახებ ჟენევაში დეპეშათა სააგენტოების წარმომადგენელთა იმ კომიტეტში მონაწილეობის მისაღებათ, რომელსაც იწვევს ერთა ლიგა მუშაობის პროგრამის გამოსამუშავებლად ბეჭდვითი სიტყვის ექსპერტთა კომიტეტისათვის. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა აცნობა ერთა ლიგას, რომ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო შეუძლებლად სთვლის თავის წარმომადგენელი გაგზავნოს, ვინაიდან თათბირი მოწვეულია შვეიცარიის ტერიტორიაზე, რომელსაც ბოიკოტს უცხადებს საბჭოთა კავშირის ყველა დაწესებულებები და ორგანიზაციები.

საკოსა და ვინცეტის საქმე

ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნილება

მოსკოვი, 13 აგვისტო. ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომთან ერთად მიმართა იუსტიციის დეპარტამენტს წინადადებით,—განთავისუფლონ საკკო და ვანცეტი, ვინაიდან მოწმეებმა მათ წინააღმდეგ მიცემულ წინანდელ ჩვენებაზე უარი განაცხადეს. წერილში ხაზგასმულია—თვით ის ფაქტი, რომ განაჩენი სისრულეში არ იყო მოყვანილი, რაც მოწმობს იმას, რომ მთავრობაც ეჭვის თვალით უყურებდა ბრალდებულთა დანაშაულობის საკითხს.

ფოლადის მრეწველთა „მთლიანი ფრონტი“

პარიზი, 12 აგვისტო. გერმანიის, საფრანგეთის და ბელგიის ფოლადის მეფეთა კონფერენციაზე, რომელიც ამჟამად პარიზში მიმდინარეობს, ირჩევა ხელშეკრულების დადების საკითხი ფოლადის წარმოების გადიდების, ფასების ერთიანი მოწესრიგების და ლითონის ბაზრის დაპყრობის შესახებ.

არის მოსაზრება, რომ შეიქმნება ევროპის ერთი კონტინენტალური ფოლადის ტრესტი, რომელიც მოაწესრიგებს ამ ტრესტში შემავალ თვითეული წევრის წარმოების რაოდენობას, იმ მიზნით, რომ ევროპიული კონტინენტი ფოლადის მიწოდების დარგში გახდეს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებელი. შეთანხმების პროექტი ითვალისწინებს, საარის და ლოტარინგიის (საფრანგეთი) ოლქებიდან რკინის მადანის გადასადნობად გადაგზავნას გერმანიაში. თავის მხრივ გერმანიის ქვანახშირის მრეწველნი საფრანგეთში გაგზავნიან იქაური მრეწველობისათვის საჭირო ქვანახშირს იმ მიზნით, რომ საფრანგეთი დამოუკიდებელი გახადონ ინგლისის ქვანახშირიდგან.

ბერლინი, 13 აგვ. გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და ლიუქსემბურგის მრეწველობის წარმომადგენელნი თათბირზე არჩევდენ საკითხს რკინის ტრესტის მოწყობის შესახებ.

პარიზის პრესის ცნობით, ხელშეკრულება მალე იქნება დადებული.

ჩინეთში

საკუთარ ტყავისთვის ზრუნავენ

პეკინი, 12 აგვისტო. მოლაპარაკების შემდეგ შანხაის საკონსულო კორპუსსა და ჩინეთის ხელისუფლებას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება შერეული სასამართლოს ჩინეთის სასამართლო დაწესებულებებზე გადაცემის შესახებ. ამ შეთანხმებამ სასტიკი პროტესტი გამოიწვია შანხაიში მყოფ უცხოელი იურისტების მხრივ, რომელნიც აღნიშნავენ, რომ შერეული სასამართლოს გადაცემა ჩინეთის ხელისუფლებისათვის უცხოელ იურისტებს მოუსპობს პრაქტიკას, „რომელიც მათ მიერ შექმნილია მრავალი წლის განმავლობაში და რომელიც მათ განუყრელ უფლებას შეადგენს“.

შანხაის უცხოელ იურისტების ასოციაციამ პეკინში გაგზავნა დელეგაცია იმ მიზნით, რომ დიპლომატიურ კორპუსს გააუქმებინონ შანხაიში მიღებული შეთანხმება.

მდგომარეობა ფრონტებზე

პეკინი, 12 აგვისტო. პეკინში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობებში ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულია ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს საკავშირო ჯარების უმნიშვნელო წინსვლა. მაგრამ საერთო მდგომარეობა ჩრდილოეთ ფრონტზე უცვლელია. პეკინში კვლავ ისმის ზარბაზნების ხმა. ქალაქში მრავალი დაჭრილი მოიყვანეს.

პოლიციისა და ჟანდარმერიის ხარჯებისათვის

პეკინი, 12 აგვისტო. დიპლომატიური კორპუსი პეკინში დასთანხმდა, რომ საბაჟო შემოსავლიდან ნახევარი მილიონი დოლარი გატანილ იქნეს ყოველთვიურად პოლიციის და ჟანდარმერიის შესანახად, მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო იკისრებს პასუხისმგებლობას იმისა, რომ ეს ფული სხვა მიზნებს არ მოხმარდება.

ესპანია და ერთა ლიგა

პარიზი, 12 აგვისტო. ესპანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის რეორგანიზაციის კომისია შეიკრიბება 24 აგვისტოს ისპანიის ინიციატივით. ისპანიას სურს ერთა ლიგის სესიის მოწვევამდე მიიღოს პასუხი თავის მოთხოვნილებაზე ერთა ლიგაში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ.

ბულგარეთში

შეთანხმებელთა მუშაობის შედეგები

ვენა, 12 აგვისტო. ბულგარეთში პროფმოძრაობის გაერთიანების შესახებ შეთანხმების გამოქვეყნების შემდეგ 8 აგვისტოს შესდგა ბულგარეთის პროფმოძრაობის ორთავე მიმდინარეობის კონფერენცია. კონფერენციის დაწყებამდე სოციალ-დემოკრატების ბელადებმა აწარმოეს გაძლიერებული კამპანია გაერთიანების პლატფორმის წინააღმდეგ. გაერთიანების მოწინააღმდეგეთა რეფორმისტულ პროფკავშირთა ბელადმა დანოვმა მოითხოვა გაერთიანების შეთანხმების გაუქმება. დანოვისა და სოციალ-დემოკრატების ბელადების დაჟინებითი მოთხოვნით რეფორმისტულმა კონფერენციამ, მიუხედავად შეთანხმების დადებისა, გაერთიანების პირობების საკითხი კვლავ დასვა გადასაწყვეტად, რის შემდეგაც გაერთიანების პლატფორმა უარყოფილ იქნა კონფერენციის მიერ.

ვერ შეთანხმდენ

12.500 მუშის გაფიცვა

ოსლო, 12 აგვისტო. მოლაპარაკება ნორვეგიის ქაღალდის წარმოების მუშებსა და მწარმოებლებს შორის კონფლიქტის მოგვარების შესახებ, რომელიც მთავრობის შუამავლობით სწარმოებდა, საბოლოო განხეთქილებით დათავდა. 15 აგვისტოდან ღამით დაიწყება მუშების გაფიცვა, რომელშიც 12.500 მუშა მიიღებს მონაწილეობას.

ბრძოლა მაროკოში

პარიზი, 12 აგვისტო. მიუხედავად აბდ-ელ-ქერიმის დანებებისა, მაროკოში ბრძოლა გრძელდება. მადრიდიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ესპანეთის ჯარებმა აიღეს შუშანი.

შუშანის დაკავება აიხსნება კანდ-აბდელ-სიდის დანებებით. კანდ-აბდელ-სიდი აჯანყებულების მოძრაობას მეთაურობდა ჯებალის აღმოსავლეთ ნაწილში.

ბელგიაში

სამუშაო ხელფასის მომატება

პარიზი, 12 აგვისტო. შერეულმა ნაციონალურმა კომისიამ დაადგინა გაადიდოს 15 აგვისტოდან სამთამადნო მუშების ხელფასი 50 პროცენტით.

სიმართლის თქმისათვის

მოსამსახურეთა შემცირება

ბერლინი, 13 აგვისტო. ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა შეამციროს სამოქალაქო დაწესებულებათა მოსამსახურენი 1913 წლის ნორმამდე.

პატიმრების შიმშილობა

ვენა, 12 აგვისტო. რუმინიის გაზეთების ცნობით, ჟილავის ციხეში (რუმინია) 112 პოლიტიკური ტუსაღი შიმშილობას განაგრძობს. შიმშილობა გამოაცხადეს 28 ივლისს პროტესტის ნიშნათ ციხის ადმინისტრაციის მხეცური მოქცევის გამო.

სიმართლის თქმისათვის

სტოკჰოლმი, 12 აგვისტო. სოც.-დემოკ. ახალგაზრდობის სტოკჰოლმის კლუბმა გამორიცხა თავის წრიდან ვარლო ლუნდბერგი, რადგან ის მოხსენებას აკეთებდა კრებებზე საბჭოთა კავშირში დელეგაციის მოგზაურობის შესახებ, რომელშიაც თითონ იღებდა მონაწილეობას. დადგენილება გამოიტანეს ლუნდბერგის დაუსწრებლად.

სხვადასხვა

აფეთქება თოფის წამლის ქარხანაში. ბუქარესტიდან (უნგრეთი) მიღებული ცნობით, გუშინ მოხდა თოფის-წამლის ქარხნის აფეთქება. დღემდე მიღებული ცნობებით მოკვდა 12 მუშა, დაიჭრა 28.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მუშა-ესპერანტისტების დელეგაცია

მოსკოვი 13 აგვისტო. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა მუშა-ესპერანტისტების დელეგაცია 70 კაცის შემადგენლობით, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ლენინგრადში საერთაშორისო მუშა-ესპერანტისტთა კონგრესზე.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული

მოსკოვი, 13 აგვისტო. ბავშვთა საერთაშორისო კვირა 1926 წელში დანიშნულია 30 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე.

ქვანახშირის მარაგი

ლენინგრადი, 13 აგვისტო. გეოლოგიური კომიტეტი შეუდგა დონის ოლქში ქვანახშირის მარაგის გამორკვევას, რომლის დროს მხედველობაში იღებენ ქვანახშირის ფენებს, რომელნიც 700 საჟენის სიღრმემდე მდებარეობენ. მუშაობაში მონაწილეობას იღებს 20 გეოლოგი.

მასალები ჟელიაბოვის და სოფიო პეროვსკაიას საქმეზე

ნოვგოროდი, 13 აგვისტო. ყოფილ იუსტიციის მინისტრის მურავიოვის კუთვნილ მამულში, ნახულ იქნა მურავიოვის მიერ ალექსანდრე მეორეს მკვლელობასთან დაკავშირებით ჟელიაბოვის, სოფიო პეროვსკაიას და სხვა რევოლიუციონერების დაკითხვის ოქმები.

ოქროს პირველი სესხის გათამაშება

მოსკოვი, 13 აგვისტო. ლენინგრადში მონაწილეობას იღებს 20 გეოლოგი. ხის მე-6 გათამაშება. 25.000 მანეთიანი მოგება შეხვდა მოსკოვში მცხოვრებ უმუშევარ—ციბულსკის.

10.000 მან. მოგება შეხვდა ნიჟნი-ნოვგოროდის საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კლუბის ბიბლიოთეკის გამგეს კურმინსკის ქალს.

გერმანიის მუშათა დელეგაცია

დელეგაცია ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 13 აგვისტო. 11 აგვისტოს გერმანიის მუშათა დელეგაცია მიიღო ამხ. რიკოვმა.

ამხ. რიკოვმა თავისი საუბარი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალისტურ და პოლიტიკურ პროგრამის შესახებ დაიწყო საბჭოთა კავშირის სამეურნეო პროცესის აღდგენიდან და სოციალისტური მრეწველობის განმტკიცებიდან.

რიკოვმა სთქვა: მიმდინარე წელში მრეწველობაში დაბანდებულია 800 მილიონი მანეთი, ეს თანხა შინაური დაგროვების შედეგია. მომავალ წელს ტრანსპორტზე, წვრილ ადგილობრივ და კომუნალურ მრეწველობაში დაბანდებული იქნება 1 მეოთხედი მილიარდ მანეთზე მეტი; ეს თანხა მოხმარდება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

დელეგაციის შეკითხვაზე: „რა თანხა გადასდო სახელმწიფომ მრეწველობის საჭიროებისათვის“. რიკოვმა უპასუხა: მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიხედვით სამრეწველო საქმეზედ გადადებული იყო 150 მილ. მანეთი, ელექტროფიკაციის საქმეზედ 100 მილიონი მან., 70 მილიონი მანეთი (გამოტოვებულია) და 6 მილიონი მრეწველობის წვრილმან ხარჯებზე.

ამჟამად მუშავდება მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით მრეწველობისთვის გადადებული იქნება 300 მილ. მანეთი და ელექტროფიკაციის საქმისათვის—100 მილ. მან. ამნაირად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის საქმეზე მნიშვნელოვანი თანხა იქნება დახარჯული

დელეგაციის შეკითხვის გამო სამრეწველო პროლეტარიატის სამუშაო ხელფასის შესახებ რიკოვმა უპასუხა, რომ სამუშაო ხელფასი ამჟამად უახლოვდება ომის წინ დროინდელი ხელფასის დონეს. „ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს მიღწევა საკმაო არ არის. მაგრამ მომავალ წელში ჩვენ იმედი გვაქვს ამ დარგშიაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნება მიღწეული. მიმდინარე წელში საბჭოთა კავშირის მუშათა რიცხვი გაიზარდა 400.000 კაცით. მომავალ წელში ჩვენ განზრახვა გვაქვს მრეწველობაში ჩავაბათ 200,000 ახალი მუშა.

გერმანიის დელეგაციის მიერ წამოყენებული მესამე საკითხი შეეხება ქვეყნის სამეურნეო განვითარების პერსპექტივებს.

ამ საკითხზე ამხ. რიკოვმა შემდეგი უპასუხა: ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით კაპიტალის დაგროვების ტემპზე და აგრეთვე გარეშე ვაჭრობის განვითარებასა და ჩვენი ფაბრიკა ქარხნებისათვის საჭირო მანქანების შეძენაზე.

საქონლის შიმშილი არის იმ სიძნელეთა მიზეზი, რომელნიც ჩვენ მიმდინარე წელში განვიცადეთ და ამ სიძნელეებთან ალბათ, მომავალ წელშიაც გვექნება საქმე. მრეწველობის სუსტი განვითარება სამრეწველო პროლეტარიატის სამუშაო ხელფასის აწევის დაჩქარების ერთი დამაბრკოლებელი მიზეზთაგანი.

ჩვენი მუშათა დიქტატურის პირობებში სამუშაო ხელფასის მომატების საკითხი არ არის კლასობრივი ბრძოლის საკითხი, არამედ ეს სავსებით დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის მეურნეობის ზრდაზე.

„როგორ ვითარდება სოფელში დიფერენციაცია?

რიკოვმა უპასუხა: ამჟამად ჩვენი სტატისტიკოსების გამოანგარიშება ჩვენი სოფლების სოციალური ეკონომიური ფენების დიფერენციაციის შესახებ შემდეგ პროცენტულ შეთანაფარდებას იძლევა: კულაკური ელემენტები 4 პროც. აღწევს. საშუალო გლეხობა—65 პროც., დანარჩენი ნაწილი 30 პროც. კი ღარიბებია. ამ ჯგუფს ვაკუთვნებთ იმ გლეხებს ვისაც ცხენები არა ჰყავს.

განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა დელეგაციამ რიკოვის პასუხი საბჭოთა კავშირის სოც.-დემოკრატ. პატიმრების შესახებ. რიკოვმა ამომწურავი ცნობები მისცა დელეგაციას დატყვევებულ მენშევიკებისა და ესერების რაოდენობის შესახებ და მთელი რიგი მაგალითებით დაუხატა დელეგაციას მათი კონტრრევოლიუციონური მოქმედების სურათი.

„როცა საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალისტური სახელმწიფოებით გარსშემორტყმულია, როცა ჯერ კიდევ კლასთა ბრძოლა გრძელდება,—ამ პირობებში საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაუშვებს ვერც ერთი ისეთი პოლიტიკური პარტიისა და ჯგუფის ლეგალურ არსებობას ქვეყნის შიგნით, რომლებიც აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ აღმშენებლობის საქმეს“,—სთქვა რიკოვმა.

შემდეგ რიკოვს მოყავს მენშევიკების კონტრრევოლიუციონური ბრძოლის მაგალითები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რიკოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სანამ ეს პარტიები არ შესცვლიან თავის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მანამ საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს რეპრესიულ ზომებს, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო სოციალისტური აღმშენებლობის განვითარებაში.

დასასრულ ამხ. რიკოვმა თხოვნით მიმართა დელეგაციას, რომ საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გაცნობის დროს, ყურადღება მიაქციონ არა მარტო ნაკლულევანებებს, არამედ ჩვენ მიღწევებსაც.

„საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი თავის აღმშენებლობაში ანხორციელებს არა მარტო ნაციონალურ ამოცანას. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება და კომუნისტური პარტია თავის თავს უცქერის, როგორც მუშათა კლასის ერთ-ერთ რაზმს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

დელეგატები პროფკავშირთა გამგეობებში

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოგზაურობის წინ მუშათა დელეგაციის სხვადასხვა პროფესიის პატარ-პატარა ჯგუფებმა ინახულეს პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობები და ის დაწესებულებები, რომლებიც პროფკავშირთა გამგებლობაში იმყოფება.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის მიმართვა მოსკოვის მუშებისადმი

მოსკოვი, 13 აგვისტო. გამგზავრების ხანს გერმანიის მუშ. მეორე დელეგაციამ მიმართა მოსკოვის მუშებს დეკლარაციით, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: საბჭოთა კავშირში მოგზაურობით ჩვენ დავრწმუნდით, რომ მუშებს, რომელთაც დაუმხიათ კაპიტალისტური ბატონობა, შესწევთ უნარი აწარმოონ სამეურნეო მშენებლობა და შექმნან კაცობრიობის უმრავლესობისათვის (ცხოვრების საუკეთესო პირობები. სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ გერმანიის მუშათა კლასმაც მიჰბაძოს თქვენს მაგალითს!

ბალტიის ფლოტი

ლენინგრადი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს ბალტიის ფლოტი დაბრუნდა სასწავლო ცურვიდან. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ბალტიის ზღვის სამხედრო ძალების უფროსმა ამხ. **ვიქტოროვმა** სთქვა, რომ სამოსწავლო მოგზაურობის შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაისთვალოთ, რადგან მან დიდი მომზადება მისცა ფლოტის მთელ პირად შემადგენლობას.

მოგზაურობის დროს ფლოტის პირადი შემადგენლობა ენერგიითა და სიცოცხლით იყო აღსავსე. ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ფლოტის აღსადგენად წარმოებულმა მუშაობამ საგრძნობი შედეგები გამოიღო. ეხლა ბალტიის ზღვას კარგათ მოწყობილი საზღვაო ძალები ჰყავს.

12 აგვისტოს ფლოტის მეთაურთა და პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შემადგენლობისა და „მარატი“-ს მეზღვაურთა კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაზე, საზღვაო ძალების მთავარმა ინსპექტორმა და სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს წევრმა **კამენევმა**, სამოსწავლო მოგზაურობის შესახებ სთქვა: „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი ფლოტის სამხედრო მომზადების საქმეს მნიშვნელოვანი წინსვლა ემჩნევა. თუ შევადარებთ ეხლანდელ მოგზაურობას წინანდელთან, ჩვენთვის თვალსაჩინო გახდება ცალკე ერთეულების უფრო მეტი შეთანხმებული მოქმედება. თუ ასეთმა მოკლე მოგზაურობამ ამდენი მიღწევები გამოაშკარავა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ფლოტს სხვა პოტენციალური შესაძლებლობებიც აქვს, რომლის გამომჟღავნებას და გაშლას ის შესძლებს ახალ უფრო მნიშვნელოვან მოგზაურობის დროს.

ხელფასი არ უნდა დაგვიანდეს

ამხ. კუიბიშევის ბრძანება

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კუიბიშევმა გასცა ბრძანება სამუშაო ხელფასის თავის დროზე გასასტუმრებლად ზომების მიღების შესახებ.

ყველა სამეურნეო ორგანიზაციებს, ბრძანების თანახმად, ევალებათ გაისტუმრონ სამუშაო ხელფასი მთლიანად იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში. სამუშაო ხელფასის გადახდის ვალდებულება უნდა ჩაითვალოს პირველ რიგში შესასრულებელ ვალდებულებად. სარევიზიო კომისიებს და მათ პასუხისმგებელ თავმჯდომარეებს ევალებათ ბრძანების მიხედვით სასტიკად ადევნონ თვალყური ამ დირექტივების შესრულებას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბარგის გადამტანთა გამორიცხვა კავშირიდან

ბაქო, 13 აგვისტო. რადგან რკინისგზის სადგურებისა და ნავთსადგურის ტვირთმზიდავი მუშები უმთავრესად საფუძვლებზე მუშაობენ და მათში ფართეთაა გავრცელებული საჩუქრების მიღება, ამიტომ ადგ. პროფ. კავშირთა საბჭომ წინადადება მისცა ადგილობრივ ტრანსპორტის მუშათა კავშირს გამორიცხოს ბარგის გადამტანი მუშები კავშირიდან.

კომკავშირი ინგლისის მუშებს ეხმარება

გეოკჩაი, 13 აგვისტო. გეოკჩაის კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა მოაწყო კვირეული ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშების დასახმარებლად. ორი კვირის განმავლობაში ტარდება ახსნა-განმარტებითი კამპანია კომკავშირის ყველა უჯრედებში. ეწყობა წარმოდგენები ნებაყოფლობითი შეწირულების შეგროვება ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

კოლექტიური ხელშეკრულების კამპანია

ბაქო, 13 აგვისტო. აზერ. პროფ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა კოლექტიური ხელშეკრულებები, ხელახალი დადების კამპანია დამთავრდეს 1-ლი ოქტომბრისათვის. 1-ლ სექტემბრისათვის უნდა დაათავდეს მოსამზადებელი მუშაობა; 15 სექტემბრისათვის-კი ხელშეკრულების პროექტები, დამტკიცებული კავშირის გამგეობების მიერ, უნდა წარუდგეს სამეურნეო ორგანიზაციებს და დამქირავებლებს.

ჯიშიანი ცხვრების მოშენება

განჯა, 13 აგვისტო. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიძინა თურქმენის ტანში 33 ჯიშიანი ცხვარი. ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძინეს 150 სული გრძელ ბეწვიანი ცხვარი.

პარტიული ცხოვრება

150 კომუნისტის მობილიზაცია

მოსკოვი, 13 აგვისტო. ს. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მიერ 150 კომუნისტის გამოცხადებული მობილიზაცია პროვინციაში სამუშაოთ გაგზავნისათვის, დიდის აღფრთოვანებით ტარდება. განაწილება სწარმოებს პარტიულების შერჩევით ს. კ. პ. (ბ) პროვინციალურ ორგანიზაციებში, ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობის სახელმძღვანელოდ.

10 აგვისტოდან მოსკოვის კომიტეტთან სპეციალურ შექმნილ გადამრჩევ კომისიაში გაიარა 245 კომუნისტმა, ამათში მიიღეს მხოლოდ 66 ამხანაგი. კომისიაში გატარებულების დიდი პროცენტი მოხალისეებისაგან შესდგება და 40 პროცენტზე მეტი მუშებია.

საბჭოთა პარტუჯრედების მუშაობის შესახებ

პარტუჯრედების მუშაობა საბჭოთა დაწესებულებებში უმთავრესად უნდა მიმდინარეობდეს აპარატის გაუმჯობესების გზით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენად მოიკოჭლებს დღეს ჩვენი სახელმწიფო აპარატი და რამდენად აფერხებს ეს საბჭოთა აღმშენებლობის და საზოგადოებრივობის წინსვლის საქმეს.

ორი უმთავრესი გზით უნდა სწარმოებდეს საბჭოთა უჯრედების ეს მუშაობა. ერთი მხრივ ბრძოლა იმ სნეულებათა წინააღმდეგ, რომელნიც მემკვიდრეობით დარჩა ჩვენს დაწესებულებებს ძველი აპარატისაგან, როგორც მაგალითად ბიუროკრატიზმი, „ჩინოვნიკური მედიდურობა“ და სხვა, მეორე მხრივ კი ყოველდღიური, შეუნელებელი მუშაობა სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია — გაუმჯობესების მიზნით.

უშუალოთ უჯრედი, რა თქმა უნდა, ამ საქმეებს ვერ გაუძლებს. ამისათვის არსებობს პროფესიული ორგანიზაცია, კერძოდ ადგილკომი თითეულ ცალკე დაწესებულებაში, რომელიც მუშაობს პარტუჯრედების პირდაპირი ხელმძღვანელობის ქვეშ. ამიტომ ადგილკომის საშუალებით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ძველი აპარატის სნეულებათა წინააღმდეგ და საბჭოთა აპარატის გამარტივება-გაუმჯობესებისათვის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საბჭოთა პარტუჯრედებში, თითოზე ჩამოსათვლელია ისეთები, რომელნიც ამ მუშაობას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. ამავე დროს აპარატის გაუმჯობესების უახლოესი გამტარებელი სწორედ საბჭოთა პარტუჯრედები არიან და მხოლოდ მათი საშუალებით უნდა ხდებოდეს ამ უაღრესი მნიშვნელობის მუშაობის წარმოება.

ბევრგან ჩვენს დაწესებულებებში არც კი არსებობენ ეკონომიური კომისიები და თუ არსებობენ მხოლოდ სახელად. საქმით ამ კომისიებში ბევრი, ან უკეთ რომ ვთქვათ, თითქმის არაფერი არ კეთდება.

საჭიროა საბჭოთა უჯრედებმა აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ ყურადღების საგნად გაიხადონ. უნდა გამოცოცხლდეს ეკონომიურ კომისიათა მუშაობა იქ, სადაც ასეთები არსებობენ, სადაც არ არიან, დაუყონებლივ უნდა შესდგეს ამგვარი კომისიები.

ერთი საშიშროება იბადება, უსათუოდ, ამ მუშაობაში. ესაა სხვისი ფუნქციების მითვისება, ადმინისტრატიულ უფლებებში შეჭრა, რაც ადვილი შესაძლებელია აპარატის რაციონალიზაციის საქმეში. აქ პარტუჯრედებმა უნდა შესძლოს სწორი და ურყევი ხაზის აღება. აპარატის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მთელი მისი მუშაობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ ადგილკომის უჯრედის საშუალებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში ავიცდენთ ჩვენ იმ საშიშროებას, რომელიც საბჭოთა უჯრედების ამ მუშაობაში იმალება.

ნ. ბლიაძე.

ხელახალი არჩევნები დამთავრდა

(სიღნაღის მაზრა)

სიღნაღის მაზრკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომუჯრედების ბიუროების გადარჩევას, რათა ახალ ბიუროებში შერჩეულნი ყოფილიყვნენ ენერგიული და მომზადებული პარტმუშაკები.

ამ მიზნით მაზრკომმა მოაწყო უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგების და აქტიური პარტმუშაკების თათბირი, რომელსაც განემარტა, თუ როგორი წესით უნდა ყოფილიყო ჩატარებული ბიუროების გადარჩევა მაზრაში. მიეცა მათ დავალება აგრეთვე თემკომების სათანადო ცირკულიარები და ინსტრუქციები.

მიმაგრებული პარტამხანაგები სოფლად აწყობენ უჯრედების სხდომებს სადაც კეთდება მოხსენებები ბიუროს მუშაობის შესახებ.

მოხსენებას აკეთებენ უჯრედის მდივნები, რამოდენიმე ადგილას მდივნებმა წერილობითი მოხსენებებიც წარმოადგინეს.

საერთოდ მოხსენებები დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ზოგიერთ უჯრედებში მდივნებმა ვერ ახერხებდენ უჯრედის მუშაობის მთლიანი სურათის დახატვას. ეს ხდებოდა იქ, სადაც უჯრედი და ბიურო სუსტი და მდივნები მოუმზადებელნი იყვნენ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ბევრი უჯრედი მუშაობას აწარმოებდა უგეგმოდ. მართალია, აქა იქ აღმოჩნდა გეგმა, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარებაზე არავის უფიქრია.

ბიუროების მუშაობის ერთ-ერთ მიზნად უნდა ჩაითვალოს გლეხთა მასებში პარტიის ავტორიტეტის ამაღლება, და მათი დაახლოება პარტიასთან.

უჯრედებმა თავის დროზე ბევრ ალაგ ამ მოვლენის და საუკეთესო გლეხთა აქტივი ჩააბა საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სამუშაოდ. ღარიბ გლეხთა ჯგუფები სულ ახლა ხან ჩამოყალიბდა ყველ სოფელში. მათში მუშაობა ჯერ ახალ დაწყებულია და ამჟამად შედეგებზე ლაპარაკი ნაადრევია. მომავალი გვაჩვენებს ამ ჯგუფებში, თუ რა შედეგს მოგვცემენ ღარიბების გლეხთა ორგანიზაციები. შემდეგ, აქ დაზუსტების მიხედვით, ჩამოყალიბდება მუშაობა დანარჩენ სოფლებშიც და თემებშიც.

უპარტიო მასები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სოფლის უჯრედის მუშაობას. ესწრებიან უჯრედების ღია კრებებს, ღებულობენ მონაწილეობას ამა თუ იმ საკითხის (უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საკითხების) გარჩევაში და სხვა.

უჯრედების ხელმძღვანელობაც გაუმჯობესდა ამ ბოლო დროს. ხშირად ისმება საკითხები კოოპერატივის, გლეხკომის, საბჭოსა და სხვა, ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, ეძლევა მათ სათანადო დირექტივები, რომელიც ცხოვრებაში კომფრაქციების საშუალებით ტარდება. თუმცა აქა იქ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი კომფრაქციის უჯრედის ურთიერთობაში, მაგრამ სამაზრო კომიტეტის საშუალებით საკითხი თავის დროზე იქნა მოგვარებული.

წარსულთან შედარებით პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური მომზადება გაუმჯობესებულია. ამას ხელი შეუწყო მოძრავი პოლიტსკოლების მუშაობამ ზამთრის განმავლობაში. მაზრაში ბევრ ალაგას კიდევ დარჩა პარტიის ისეთი წევრები და კანდიდატები, რომელთაც არ გაუვლიათ პოლიტსკოლა, ვინაიდან, მოძრავ პოლიტსკოლებმა ვეღარ მოასწრეს ზამთრის პეროდში ყველგან ჩამოვლა, ამის გამო პოლიტსკოლების მუშაობა უნდა გაგრძელდეს წელსაც.

უნდა აღინიშნოს ნაკლიც; უმთავრესად ღია კრებებზე არ ირჩეოდა ისეთი საჭირბოროტო საკითხები, რაც მეტად დააინტერესებდა გლეხებს; ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში ზოგ ალაგას კომუჯრედის კრებაზე ღებულობდა მონაწილეობას უპარტიო გლეხობაც, გარდა ამისა უჯრედებში სუსტად სწარმოებდა მე-14 პარტყრილობის დადგენილებების შესწავლა.

ურთიერთი წარმომადგენლობა კომკავშირს და პარტორგანიზაციებს შორის ფორმალურია, შემაგრებული ამხანაგები არ ესწრებიან უჯრედების სხდომებს. სუსტია აგრეთვე ხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე, ბავშვთა ორგანიზაციებზე; სოფლის ინტელიგენცია არ არის გამოყენებული სათანადოთ სოფლად საზოგადოებრივი მუშაობაში, მუშაობა სწარმოებს უგეგმოთ და სხვა.

ახალ ბიუროებში გაყვანილია ნაწილობრივ ახალი ძალები. ბიუროებში ჩამხულია უმთავრესად უჯრედის მდივნების კურსდამთავრებულები, პარტსკოლისა და პოლიტკოლების კურსგავლილი ამხანაგები.

ი—ლი.

კანდიდატებო, გამოფხიზლდით

(ს. ალავერდი, შორაპ. მ.)

ჩვენი კომუჯრედი 1921 წელს დაარსდა. უჯრედში ირიცხება 25 წევრი და 15 კანდიდატი. წევრები და კანდიდატები სულ გლეხები არიან. უჯრედი აქტიურად მუშაობს, მაგრამ უფრო კარგად იმუშავებდა, რომ ამავე უჯრედის კანდიდატი მასწავლებლები პარტმუშაობაში გულგრილობას არ იჩენდენ. ამაზე ბიურომ უნდა იმსჯელოს.

გვაქვს სამკითხველო, რომელზედაც შეფობა აქვს აღებული ზესტაფონის რკინისგზის უჯრედს. შეფი გვიგზავნის გაზეთებს და ჟურნალებს. მხოლოდ ჩვენი სამკითხველო ცოტა მოუხერხებელ ადგილას არის. ამიტომ უჯრედის დადგენილებით სამკითხველო გადატანილი უნდა იქნეს კოოპერატივთან, სადაც გლეხობა უფრო ბევრი ეტანება.

უჯრედს კარგი დამოკიდებულება აქვს ა. ლ. კ. კ. უჯრედთან. ეწყობა გაერთიანებული კრებები. წარმომადგენლობითი სისტემა დაცულია. კომუჯრედის ყურადღება არ არის მიქცეული ბავშვთა კოლექტივზე, რასაც ბიურომ უნდა მიაქციოს ყურადღება.

ხლი.

პარტქრონიკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება სამშაბათს, 17 აგვისტოს, დილის 8 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბ. კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში — ამხ. კვირიკაძესთან: ტერუნოვი, დანილეიანი, ჩერნიავსკი. ვიწაძე, ელბაქიანი, დიმიძე.

მუშათა მოძრაობა

ქ. ხამამაცუს მუშების გამარჯვება

ტელეგრამამ მოიტანა ცნობა, რომ ხამამაცუს მუსიკალურ ხელსაწყოების და ჰაეროპლანების პროპელერების (საჰაერო ხრახნილების) მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.

ინტერეს მოკლებული არ იქნება გაცნობა იმ გმირული ბრძოლის, რომელსაც ქ. ხამამაცუს პროლეტარიატი აწარმოებდა 3½ თვის განმავლობაში.

ქ. ხამამაცუ მდებარეობს ქ. ნაგოიას—იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ახლო. გაფიცვამ ამ ქალაქში თავიდანვე მიიპყრო აღმოსავლეთ და დასავლეთ იაპონიის მუშათა ორგანიზაციების ყურადღება და მყის დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება გაფიცულთა დასახმარებლად. ხამამაცუ მდებარეობს იმ რაიონის ცენტრში, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარია მუშათა ორგანიზაციებით, რომლებიც პროფკავშირების მემარცხენე გაერთიანებაში— ხიოგიკაიში შედიან. ამიტომ ხამამაცუს მუშებზე შეტევა მიიტანა მთელმა შეკავშირებულმა რეაქციამ, პოლიცია შეეცადა მათზე ამოეყარა მთელი ბრაზი, გამოწვეული მუშათა მემარცხენე მიმდინარეობის არსებობით. ამან ეკონომიური მოთხოვნილებებით დაწყებულ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი მისცა, გადააქცია იგი მწვავე ბრძოლათ შეგნებულ მუშათა ორგანიზაციებსა და იაპონიის რეაქციის შორის.

დაიწყო ეს გაფიცვა 26 აპრილს. მუშებმა მოითხოვეს ხელფასის გადიდება და შრომის პირობების გაუმჯობესება. ქარხნების ადმინისტრაციამ განუცხადა მუშებს, რომ იგი დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, თუ ისინი გამოვლენ ხიოგიკაიდან. მუშებმა უარი განაცხადეს ამ მოთხოვნილების შესრულებაზე. მაშინ ქარხნების ადმინისტრაციამ სხვა საშუალებებს მიმართა:

9 მაისს ადგილობრივმა ფაშისტურმა ორგანიზაციამ („დომიკაი“) გაავრცელა ქალაქში ფურცლები, რომ „გაფიცულები ძირს უთხრიან ქვეყნის სოციალური შენობის საძირკვლებს“. ამის საპასუხოდ ხიოგიკაიმ მოიწვია ხამამაცუს ყველა მუშების წარმომადგენლების კონფერენცია. აქ იყვნენ მექუდეები, მღებავები, მელითონეები და სხვ. კონფერენციაზე შექმნილი იქნა ორგანო, რომელიც აკავშირებდა ყველა ამ ქარხნების მუშებს. ნაგოს ქარხნის მუშები დაუყონებლივ შეუდგენ დახმარების შეგროვებას გაფიცულებისათვის. მიეს პრეფექტურის გლეხებმა, რომლებიც იაპონიის გლეხთა კავშირში შედიან, ბრინჯის მოგროვება დაიწყეს გაფიცულთა ოჯახებისათვის.

მაშინ დაიწყო ახალი შეტევა ადმინისტრაციის მხრივ. 17 მაისს 300 პოლიციელი თავს დაესხა მუშების მშვიდობიან დემონსტრაციას. დემონსტრანტებს ისე მხეცურად სცემეს, რომ ბევრი მათგანი გარდაიცვალა. გაფიცულებმა მეორე დღეს გამოუშვეს მიმართვა იაპონიის ყველა მუშებისადმი, რომელშიც ითხოვენ დახმარებას პოლიციის საშინელი რეპრესიების წინააღმდეგ.

20 მაისს „სოაიაკაი“, კორეელების ფაშისტური ორგანიზაცია თავს დაესხა საგაფიცვო კომიტეტის ბინას და საგაფიცვო კომიტეტის მრავალი წევრებს საშინლათ სცემეს. ხიოგიკაის ორი ლიდერი—მიტამურა და მიტობავა სერიოზულად დასჭრეს.

24 მაისს 300 პოლიციელი სიდზუოკას რაიონის სასამართლოს ორი წარმომადგენლის თანდასწრებით თავს დაესხა გაფიცულების მთავარ ბინას და დააპატიმრა გაფიცვის 100 ხელმძღვანელი. პოლიცია ამით არ დაკმაყოფილდა და სასამართლოს წარმომადგენლების თანდასწრებით თავს დაესხა 6 კერძო ბინას, სადაც გაფიცულები ცხოვრობდენ. ქალების და ბავშვების წივილ-კივილმა გააღვიძა დაძინებული ქალაქი. მშვიდობიანი ქუჩები გადაიქცა ბრძოლის ასპარეზათ ერთის მხრივ უიარაღო მუშებსა და მათი ოჯახის წევრებსა და მეორე მხრივ—პოლიციელებს შორის

29 მაისის თავდასხმით და მოსახლეობის დაშინებით, პოლიციამ დროებითი გამარჯვებას მიაღწია. გაფიცულებს წაართვეს ლიდერები, რომლებიც ციხეში ჩაჰყარეს, მაგრამ გამარჯვება მხოლოდ დროებითი იყო. შესდგა ახალი საგაფიცვო კომიტეტი, რომლებიც შეუდგა გაფიცული მუშების დარაზმვას.

პოლიციის დევნამ გამოიწვია ის, რომ შეიქმნა მთლიანი ფრონტი—გაფიცულების, ხიოგიკაის, მიეს პრეფექტურის გლეხთა ორგანიზაციების. ამ ერთიან ფრონტს მიემხრნენ ზოგიერთი ლიბერალური ელემენტებიც.

4 ივნისს ხამამაცუს სხვადასხვა ქარხნების 4000 მუშამ მოაწყო მიტინგი და გადასწყვიტეს უფრო მტკიცე ენერგიით განაგრძონ გაფიცულთა დახმარება. მიტინგზე ზოგიერთები წინადადებას იძლეოდენ, რომ გაფიცულები წასულიყვნენ დათმობაზე, მაგრამ შეკრებილი მუშების დიდმა უმრავლესობამ კატეგორიულად უარყო ეს წინადადება და დაადგინა, რომ გაფიცულებმა ბოლომდი განაგრძონ ბრძოლა.

11 ივნისს ოსაკის გონებრივ მუშაკთა კავშირმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა იმ ქარხნების მოსამსახურეებს, სადაც გაფიცვა იყო გამოცხადებული, იმის გამო, რომ ისინი განაგრძობენ მუშაობას ქარხნებში იმ დროს, როცა იმ ქარხნების მუშები ორი თვის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ადმინისტრაციასთან.

ბრძოლა ქარხნების ადმინისტრაციასთან, რომელსაც ეხმარება პოლიცია, გაგრძელდა აგვისტოს ათ რიცხვებამდე და გათავდა მუშების სრული გამარჯვებით: ქარხნების ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა გაფიცულთა ყველა მოთხოვნილებები.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მიმართვა № 2509

ჩვენს დაწესებულებებში ქაღალდების უთავ-ბოლო მოგზაურობას, ტყუილა-უბრალოთ საქმის გაჭიანურებას, მთხოვნელებისადმი უყურადღებო მოპყრობას და სხვა ამგვარ მოვლენებს კვლავ ხშირად აქვს ადგილი მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ორგანოები ამის წინააღმდეგ შესაფერ ბრძოლას აწარმოებენ. თუ როგორ მოქმედობს ეს ის გლეხზე და მუშაზე, რომელსაც ასეთ დაწესებულებასთან უხდება საქმის დაჭერა,—ამაზე აქ არაფერს ვიტყვი იმიტომ, რომ ეს დღეს ყველამ კარგად იცის.

ჩვენ აქ პირდაპირ იმ ფაქტს მოვიყვანთ, რომელიც ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს, როგორც ზემოთქმულის დამადასტურებელი:

— ზაჰესში მუშაობდა ათის-თავის თანამდებობაზე სოფ. კურსების (ქუთაისის მაზრა) მცხოვრები, სერგო ბრეგაძე, მოხუცებული დედ-მამის და წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცი. გასული წლის სექტემბერში ხსენებული ბრეგაძე გარდაიცვალა და მისი ოჯახი უპატრონოდ დარჩა. ოჯახის წევრებმა თხოვნით მიმართეს ქუთაისის დამზღვევ სალაროს—გამოენახათ მათთვის საარსებო წყარო და არსებული წესების მიხედვით—დაენიშნათ თვიური ფულადი დახმარება.

ქუთაისის დამზღვევი სალარო, ა.-წ. 4 ივნისს, ზაჰესის სამმართველოს (თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 3) უგზავნის შეკითხვას № 2.509, რომლითაც თხოვს შემდეგ ცნობების მიწოდებას: —ირიცხებოდა თუ არა ხსენებული ბრეგაძე ზაჰესის სამუშაოებზე, თუ ირიცხებოდა და რა ხნის განმავლობაში, რა თანამდებობა ეკავა და რას უდრიდა მისი თვიური ხელფასი. ზაჰესკომის საქმეთა მმართველობა (საერთო კანცელარია) ამ მიმართვას 10 ივნისს ღებულობს და გაწყობილი აქვს შემოსული ქაღალდების წიგნში № 16.359-ით. საქმეთა მმართველობას აქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ბრეგაძე ზაჰესის სამუშაოებზე იყო, მაგრამ შეკითხვის საპასუხოთ მას ესაჭიროება აგრეთვე მისი თვიური ხელფასის რაოდენობაც, ეს ცნობა კი იქვე გვერდით—მეორე ოთახში, ბუჰგალტერიას აქვს.

იმის ნაცვლად, რომ ის თანამშრომელი, რომელსაც შეკითხვის პასუხის დაწერა ევალებოდა,—გასულიყო მეორე ოთახში (ბუჰგალტერიაში) და მიეღო საჭირო ცნობა,—14 ივნისს აგზავნის ბუჰგალტერიის სახელზე ოფიციალურ მიმართვას № 8.377.

ბუჰგალტერიამ მიიღო ეს ქაღალდი, გასწერა სათანადო წიგნებში, მაგრამ პასუხისათვის არავინ ზრუნავს. ჩვენ არ ვიცით—შეეცადა თუ არა ვინმე ცნობის მონახვას და ეს რაიმე მიზეზით ვერ შესძლო, მხოლოდ ფაქტია, რომ იყო ეს ქაღალდი ბუჰგალტერიაში, ივნისში, ივლისში, იწყება აგვისტოც და პასუხი არ არის. ტყუილათ ელოდება პასუხს დაღუპული ბრეგაძის ოჯახი,—პასუხს, რომელზედაც დამოკიდებულია მათთვის თვიური დახმარების დანიშვნა და ამით არსებობის შენარჩუნება. როგორ მოაწევდა მასთან პასუხი, როდესაც ჯერ კიდევ თბილისში მან ერთი ოთახიდან მეორე ოთახში გასვლა ვერ შესძლო. ბუჰგალტერიის თანამშრომელი, რომლის მაგიდაზედაც საერთო კანცელარიის შეკითხვა № 8.377—აგდია არავითარ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს და პასუხისათვის თავს არ იწუხებს.

აგვისტოს პირველ რიცხვებში მომიხდა სოფ. კურსებში ყოფნა. ბრეგაძის ოჯახიდან მითხრეს, როგორ იყო საქმე და მითხრეს საკითხის მოგვარება.

5 აგვისტოს მივაკითხე ზაჰესკომის სამმართველოს. სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში ვონახე ყველა საჭირო ცნობები და ქუთაისის დამზღვევ სალაროს 4 ივნისის № 2509 შეკითხვასაც ეღირსა, როგორც იქნა, პასუხი... ორი თვის შემდეგ.

მაგრამ დაუშვათ,—რომ არ მივეკითხა და არ მივეკლია საქმისათვის—მაშინ რა ბედი ეწეოდა მიმართვას №2.509? ამაზე პასუხის გაცემა მხოლოდ იმ მოხელეებს შეუძლია, რომელთა წინ მთელი ორი თვე ქაღალდი უყურადღებოთ ეგდო.

ვ. ტყაბლაძე.

ჯერ კეთილსინდისიერება, მერე სტაჟი

მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოდან ა.-კ. რკინისგზების გამგეობის ბრძანება № 2556-ს თანახმად შემოღებულია ხელფასის და ჯამაგირების დარიგების ახალი წესი. ამ წესის მიხედვით გაუქმებულია რკინისგზებზედ 22 ფულის დამრიგებელი მეარტელის თანამდებობა. მაშასადამე რკინისგზას თვიურათ რჩება 2.600 მანეთის ეკონომია. ამას გარდა განთავისუფლებულია 15-დღ რონოდა, რომელიც ამ მეარტელეების განკარგულებაში იყო. თავისუფლდება აგრეთვე რამდენიმე ათეული რკინისგზის მცველები, რომლებიც ფულის დამრიგებელ მეარტელეებს ახლდენ. ასე რომ ამ ახალი წესით ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საფინანსო განყოფილების მიერ რკინისგზებზედ მომჭირნეობის საკითხში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მინდა მიუთითო შემდეგ გარემოებაზე, არტელის წევრთა მიღება-დათხოვნის საკითხს აწესრიგებს თვით არტელის გამგეობა ისე, რომ ამ საქმეში არ ერევა არც რკინისგზა, არც კავშირი და არც სხვა ვინმე. ეს მათი შინაურული საკითხია. მაგრამ რამდენათაც არტელის წევრები ემსახურებიან რკინისგზებს, იმდენად რკინისგზა დაინტერესებულია არტელის ღირსეულ წევრთა სამსახურში დატოვებით. რომ არტელის წევრთა შემადგენლობაში იყვნენ და დღესაც მოიპოვებიან უღირსი წევრები,, ეს უდავოა. მათ გაცხრილვაზე და გაწმენდაზე ბევრი თქმულა, ბევრიც დაწერილა, მაგრამ საქმით კი არაფერი გაკეთებულა.

არტელის ასეთი უღირსი წევრთა წყალობით არის, რომ არტელს რკინისგზების მართებს დღეს ასი ათას მანეთზე მეტი. რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირებმა გაფლანგეს თუ გაიტაცეს რკინისგზების სალაროებიდან და ეს მნიშვნელოვანი თანხა დღესაც ჰაერშია გამოკიდებული და ვინ იცის როდის გაუნაღდდება რკინისგზას.

როცა საქმე მიდგება გაწმენდაზე, მაშინვე თავს იჩენს ნათლიმამობა, მეგობრობა და არტელი ისევ გაუჯანსაღებელი რჩება. ჩვენ გვეგონა, რომ არტელის გამგეობა შემცირებულ 22 კაცის რიცხვში მოაყოლებდა ისეთებს, ვინც რაიმე შეუფერებელ მოქმედებაში იყო შენიშნული. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. არტელის გამგეობას შემოუღია ნამსახურეობის სტაჟის პრინციპი, რაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. თუ ასე ვიმსჯელებთ არტელის შემადგენლობას ვეროს დროს ვერ გავაჯანსაღებთ. განა არტელის დამაარსებელთაგანი არ იყვნენ ის მეარტელეები, რომლებმაც 40.000 მან. გაფლანგეს და ღირსეული სასჯელიც მიიღეს?! ამ მხრივ ძალიან სალი მიდგომა მართებს გამგეობას ყოველი წევრის მიმართ და ეს კი სამწუხაროდ ასე არ ხდება: უკუგდებულ უნდა იქნას მორიდება, ხათრი, ნათლი-მამობა და შემცირების დროს პირველ რიგში უნდა მოხდენ ისინი, ვინც შენიშნულნი არიან რაიმე შეუფერებელ საქციელში, მიუხედავად იმისა, ძველი წევრია არტელის იგი, თუ ახალი.

მზისუმზირა.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მუშა-ხელის ხშირი ცვალებადობის წინააღმდეგ

ბრძოლა სიმულიაციასთან და უსაფუძვლოდ სამუშაო დროის გაცდენასთან კარგა ხანია დღის წესრიგში დგას. მაგრამ ამასთან ერთად შრომის ნაყოფიერების აწევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კადრების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სტაბილიზაციას. ე. ი. იმას, რომ ადგილი აღარ ექნეს ჩვენს წარმოებაში მუშების შემადგენლობის ხშირ ცვალებადობას, რაც თითქმის საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს დღეს „ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“ ამის შესახებ თავის მოწინავე წერილში შემდეგს სწერს:

„სხვადასხვა რაიონებიდან მოდის ცნობები მუშა ხელის არაჩვეულებრივ, ყოვლად დაუშვებელ მოძრაობის და ცვალებადობის შესახებ. ასე, მაგალითად, ლენინგრადის საფეიქრო წარმოებებში 1926 წ. დასაწყისში ყოველთვიურად შედიოდა 1.300 კაცზე მეტი ახალი მუშა-ხელი და გამოდიოდა 700—900 კაცი. ასეთივე მოვლენებს ჰქონდა ადგილი, ლენინგრადის მანქანათა წარმოების და გემების მკეთებელ ტრესტებში.

გაზეთს მოჰყავს ამის დამახასიათებელი სხვა მაგალითიც და განაგრძობს:

„ზედმეტია იმაზე ლაპარაკი თუ რამდენად ვნებს წარმოებას მუშების ეს ხიზნობა ერთი წარმოებიდან მეორეში... რამდენადაც მუშა არაა დაკავშირებული წარმოებასთან და თავის მუშაობას უყურებს, როგორც დროებითს, მას, ცხადია, გაცილებით ნაკლებათ შეტკივებული წარმოების ინტერესებზე, ვიდრე იმ მუშას, რომელიც დაკავშირებულია ამავე წარმოებასთან მუდმივი და ხანგრძლივი მუშაობით.

„ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა“-ს ნათქვამს ჩვენ შეგვიძლია დაუმატოთ, რომ მუშახელის ხშირი ცვალებადობა წარმოებისათვის საზარალოა იმ მხრივაც, რომ ასეთი პირობებში შეუძლებელი ხდება შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე ლაპარაკი და გარდა ამისა მატულობს მანკიან (брак) პროდუქციის რაოდენობაც. გარდა ამისა ასეთი მოვლენა ხელს უშლის კვალიფიციურ მუშა-ხელის კადრის შექმნასაც.

ამასთან ერთად მუშა-ხელის ხშირი ცვალებადობა აფერხებს პროფკავშირების მუშაობას, შეუძლებელს ხდის მუშათა შორის კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას და სხვა. ამ რიგად ცხადია რა მავნებლობა მოაქვს ამ სენს და რამდენად გადამჭრელი ზომები უნდა იქნას მიღებული მის აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში

ქუთაისი, 13 აგვისტო. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოში 6 სექტემბერს გაირჩევა სად. სამტრედიის რკინის გზის არტელჩიკის პროკოფი სერგის საქმე, რომელსაც ბრალად ედება 4.475 მანეთის მითვისება და გაფლანგვა.

დასავლეთ საქ. საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მოლარისა და საქმის მწარმოებლის ირაკლი ავალიანის, რომელსაც ბრალი ედებოდა 2.000 მანეთის გაფლანგვაში და ყალბი საბუთების დამზადებაში. სასამართლოს პროცესამდე გაფლანგული ფული ახვლედიანმა გადაიხადა, გარდა 200 მანეთისა.

საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები

ფოთი, 11 აგვისტო. სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტის" ფოთის განყოფილებამ თბილისსა და ერევანში გაგზავნა 24 ვაგონი კაკლისა და ლიფნის მორები; ჭიათურაში გასაგზავნად დამზადებულია კიდევ 10 ვაგონი.

ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის მიღებულია 4 ვაგონი თეთრი ფქვილი. დამზადებულია ამერიკაში გასატარებლად 2.500 ტონა ძარტბილა.

საზოგადოების იალქან-მოტორიანმა გემმა დაიწყო 60.000 ფუთი მარილის შემოტანა ყირიმიდან.

სამხრეთ-ოსეთი

გზატკეცილი ცხინვალი—ონი

ცხინვალი, 13 აგვისტო. 18 აგვისტოს ფაცის ხეობაში დაიწყება გამოკვლევითი მუშაობა ცხინვალი—ონის გზატკეცილის გასაყვანათ.

საკრედიტო თათბირი

თელავი, 13 აგვისტო. 10 აგვისტოს თელავში გაიხსნა საკრედიტო ამხანაგობათა მუშაკების სამაზრო თათბირი. თათბირის მიზანია მუშაობის საერთო გეგმის გამომუშავება. თათბირზე განიხილავენ სამაზრო ცენტრის შექმნის საკითხს, თელავის ამხანაგობის ხელმძღვანელ ორგანოთ გადაკეთებას და მაზრის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხს.

მიწათმოწყობა

თელავი, 13 აგვისტო. თელავის მაზრაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა მიწადმოწყობისათვის. ამ დღეებში დაიწყება თამორა ხევსურების, რომლებიც გაფანტული არიან თეთრი წყლების მიდამოებში დღეს ცივგომბორის მთის ქედებზე.

გადასახადების სამართველო აწარმოებს გადასახლებულთა საჭიროების გამორკვევას.

ფასების დაკლება სიმინდზე

ქუთაისი, 13 აგვისტო. სამხრეთ კავკასიასთან მამისონის უღელტეხილის გადავლით მისვლა-მოსვლის აღდგენის შემდეგ—ონში სიმინდის ფასი ძლიერ დაეცა.—3 მანეთიდან ჩამოვიდა 1 მ. 80 კ. ერთ ფუთზე.

აბრეშუმის თესლი

თელავი, 13 აგვისტო. სამივე აბრეშუმის სათესლე ფაბრიკაში დასრულდა პეპლების მიერ კვერცხების დაყრა. ერთი თვის შემდეგ განახლდება მუშაობა, როცა დაიწყება თესლის გამოკვლევა.

ფიქრობენ თელავში დაამზადონ 50.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

წერილები

სოფლის ახალგ. სკოლების თანამშრომელთა კონფერენცია

რამოდენიმე ათეული ათასი 7-წლედ და 9 წლედ შრომის სკოლის კურს დამთავრებული ახალგაზრდობა, რჩებოდენ და ეხლაც რჩებიან სრულიად უსაქმოდ, რადგანაც მათ მიერ მიღებული ცოდნა „შრომის სკოლებიდან" სრულებით გამოუსადეგარი დარჩა, როგორც ქალაქის, აგრეთვე სოფლის ცხოვრების სინამდვილეში.

ასეთი მდგომარეობის ატანა შეუძლებელი შეიქნებოდა, რომ მისთვის ყურადღება არ მიექცია განათლ. სახალხო კომისარიატს.

1924 წელში გაიხსნა სოფლ. ახალ. რამოდენიმე სანიმუშო სკოლა.

1925 წლის ზაფხულში მოწვეული იქნა სოფ. ახალგ. სკოლების თანამშრომელთა პირველი კონფერენცია, სადაც გამომუშავდა სკოლის ორგანიზაციის თეზისები, მეთოდიური მიდგომები და I-ლი და II-რე ჯგუფებისათვის სათანადო პროგრამები.

განათლების კომისარიატის მიერ ა.-წ. 15 ივლ. ქ. თელავში გაიხსნა სოფ. ახალ. სკოლები თანამშრომელთა მეორე კონფერენცია, სადაც გამოცხადდა 70 წევრი, მათ შორის აგრონომი—26, საზოგადოებათ-მეცნიერი—25, ფიზიკო-მათემატიკი—18 და ბუნების მეტყველი—1.

უკვე 21 დღეზე მეტია, რაც ეს კონფერენცია მუშაობს; მოსმენილ იქმნა ამხ. ჩოჩიას მოხსენებები: ქ. ლანჩხუთის სოფ. ახალ. სკოლიდან; ამხ. კაკუშაძის, სოფ. რონის (ქუთაისის მ.) სკოლიდან; ამხ. შატბერაშვილის, სოფ. უდე (ახალციხის მ.), ამხ. ნოზაძის, სოფ. მეჯვრის-ხევი (გორის მ.), ამხ. ქურიძის, სოფ. ოყურეში (ლეჩხუმის მ.), ამხ. მახარაძის, სოფ. ბეჩო (სვანეთი), ამხ. მახარაძის, სოფ. დილომი (თბილისის მ.), ლურ საცდელ სოფ. ახლ. სკოლიდან სოფ. ამხ. მელიქიშვილის, ქ. დუშეთიდან და ცენტრაქვემო-ჭალა (გორის მ.), ამხ. ციხისთავისაგან.

მოხსენებიდან ნათლათ გამოირკვა, რომ სკოლებს დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოწაფეობა მთელი ზაფხულის განმავლობაში არ სწყვეტს კავშირს სკოლასთან და განაგრძობს, როგორც საცდელ ნაკვეთზე დაყენებულ ბიოლოგიურ და სხვა ცდების დაკვირვებას, ისე პროექტების დამუშავებას. ამით იხსნება ის აზრი და შიში ზოგიერთებისა, რომლებიც წინდაწინვე უარყოფდენ ზაფხულზე მუშაობას.

სკოლამ წინააღმდეგ შრომის სკოლებისა, ფართოთ გაუღო სკოლის კარები გლეხობას, მისცა მას სასკოლო საბჭოში გადამწყვეტი ხმის უფლება. სკოლა ახლავე უწევს გლეხობას დახმარებას თავისი შეძლებით და ცოდნით; ეს ბადებს გლეხობაში დიდ სიყვარულს სკოლისადმი.

კონფერენციამ გადადგა შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯები. ჩამოაყალიბა სკოლის მთლიანი მუშაობის ორგანიზაცია, გამონახა და მიიღო სწავლების მეთოდები, რომლის ძირითად საფუძვლად დადებულია „პროექტთა მეთოდი"; გადასწყვიტა მრავალგვარი საკითხები, როგორიც არის, საზაფხულო მუშაობის სახე, სკოლის საზოგადოებრივი პოლიტიკური მუშაობა, შვიდწლიანი შრომის სკოლების რეორგანიზაცია და სოფ. ახ. სკოლების გახსნისათვის საჭირო პირობები, მოწაფეთა მიღების პირობები, თემის სკოლებთან დამოკიდებულება და მრავალი სხვა საკითხები: გადათვალიერებულ და საფუძვლიანად შესწორებულ იქმნა პირველი და მეორე ჯგუფის პროგრამები.

კონფერენცია დაახლოვებით დამთავრდება 15 აგვისტოსათვის, რის შემდეგ სოფ. ახ. სკოლის მასწავლებელთა კადრი გაემგზავრება სოფლებისაკენ იმ დიადი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც პრინციპათ ედება სოფ. ახ. სკოლებს.

ს. ჟღენტი.

„ექიმი" სალომე თერჯოლაში

(შორაპნის მ.)

არ მოსწონთ სოფლად უშვილო ოჯახი. ძალიანაც, რომ არ უნდოდეს ცოლ-ქმარს ბავში, ნათესავები და კეთილები არ მოასვენებენ. „ერთი შენს გვრიტს მომასწრო, შვილო, ღმერთმა და მერე თუნდაც მოკვდე აღარ ეჩივი". „ისე როგორ უნდა გადაშენდე, შვილო, რომ შენს მიწა-წყალზე. მამა-პაპეულზე კანონიერი პატრონი არ დასტოვო"? ასე შესჩივიან უშვილო ცოლ-ქმარს აქეთ-იქიდან სიდედრ-სიმამრ-დედამთილ-მამამთილები და ბევრი კიდევ სხვა.

იმდენს გილიტინებენ. ისე შეგიწუხებენ სულს, რომ [illegible] რაღაცას გაფიქრებინებენ. ბოლოს მართლა თავმოყვარეობასაც გაგიღვიძებენ: „რა გახდა ეს შვილი, როცა სხვას გოჭებივით ესევა და მე ერთიც არ გამიჩნია. კაცი ვარ ქვეყანაზე თუ არაო"? ხოდა, ადგები ასეთ პირობებში და რამე სისულელეს უსათუოდ ჩაიდენ. ხან ათასი ბებიას მიმართავენ წამლისათვის, ხან პალასი ბებიას, ხან მაჭრინეს და ხან ფატინეს. თუ „სწავლული" ექიმი აღმოაჩინე სადმე მახლობლად, ამას რაღა სჯობია? მით უფრო თუ ეს ექიმი შორეულ კუთხიდანაა ჩამოსული. ხომ მოგეხსენებათ, „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს"-ო.

თერჯოლის თემსაც გადმოხედა ბედმა მოწყალების თვალით, შეიწყნარა უშვილოების და მათ კეთილების ხვეწნა-მუდარა და მოავლინა ამ თემს უცხო და „სწავლული" ექიმი სალომე ჩხაიძისა ლანჩხუთიდან. სალომე „ექიმზე" დიდი ხმა გავარდა მთელ თემში. „ქალო, რას ამბობ, ისეთი თილისმა ხელი ქონია მაგ ოჯახაკურთხეულს შვილს, რომ თურმე 60 წლის დედაბერს მალხაზივით ბიჭუნას გამოაგორებინებსო„ —ჩურჩულობდენ დედაკაცები ორღობეებში.

აფუსფუსდენ უშვილო შვილების პატრონი დედაბრები: „შვილო, ვინ ოჩრობისათვის და ვინ ძაღლსკდავებისთვის იკლავ თავს და იტანჯები, ვის უნდა დარჩეს ეს შენი ნაოფლარი და ნაწვავ-ნადაგარი, მიდი სალომესთან, ხედავ მთელი ქვეყანა მას ესევაო".

და მართლაც საბრალო ექიმს მოსვენება აღარ აქვს. მოდიან და მოდიან ძღვნითა და ხაჭაპურებით სალომესთან უშვილოები. დღე და ღამე გასწორებული აქვს ექიმს მუშაობით.

თერჯოლის აღმასკომისა და ექიმის მიერ მიღებულია ასეთი მატყუარობის წინააღმდეგ „ზომები", მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით „ზომავენ" და ლანჩხუთელი სალომემდი მაინც ვერ „მიზომეს".

ფელ ია.

მუშაობა გაცხოველდა

(ზემოთავსურები, გურია)

ზემოთასურების თემს, რომელიც აღმოსავლეთ გურიაში მდებარეობს (რკინისგზიდან არის დაშორებული 40 ვერსზე). ამ ახლო წარსულში ერთგვარი ჩამორჩენილობა ემჩნეოდა და ეს, მიუხედავათ იმისა, რომ ის ერთად-ერთ კულტურულ თემად ითვლებოდა მახლობელ თემებში.

დღეს კი, ამ უკანასკნელ ხანებში, თემი და მისი აღმშენებლობა სულ სხვა სახის ღებულობს. ამ თემს აქვს ერთი 7-წლედი, ფოსტა-ტელეგრაფი, სახალხო სახლი, სამკითხველო, საფერშლო პუნქტი, აფთიაქი და სხვა. ყოველივე ამ კულტურულ დაწესებულებებს დაემატა ეხლა მთლიანი კოოპერატივი, რომელიც ოთხ-ხუთ თემში ყველაზედ მძლავრ კოოპერატივად ითვლება თავისი საქონლის ბრუნვისა და წევრების რიცხვის ზრდით.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი. ზემოთავსურებში იყო და არის ზედმეტი სოფლის მაშვრებელი. მაგალითად, მაკარი კუკაძე, კაპიტო სანიკიძე და სხვა. პირველი მათგანი აღმასკომის თავმჯდომარეა, მეორე—კი კოოპერატივის გამგეობის უაქტივესი მოღვაწე. ხსენებული ამხანაგები და სხვები წარსულ წლებში რაღაც უკმაყოფილონი იყვნენ; თითქოს იბუტებოდენ რაღაცაზე. დღეს კი, როდესაც ამუშავდა ხსენებული პიროვნებები და სხვები, ზემოთავსურების თემში ეხლა უკვე ყოველდღიური წინსვლა ემჩნევათ. გაგეხარდებათ ამ თემის ნახვა, ყველაფერი კეთდება. საზოგადოების ყველა ცოცხალი ძალები ამოძრავდა. კულტურულ და საზოგადო წამოწყებებს ჭირისუფლნი აღმოუჩნდნენ.

ასეთი ენერგიული და თავდადებული მუშაობით, რომელსაც ეწევა ამხ. ამხ. კიკვაძე, სანიკიძე და სხვები—თემს დიდი მომავალი აქვს. აქ მეტად მომხიბლავი ბუნება და იშვიათი სიმდიდრეებია. ყოველივე ეს დამუშავებას მოითხოვს.

ყოველ შემძლე მუშები და გლეხები, რომლებსაც მხოლოდ სურვილი და მუყაითობა საქმისადმი დასჭირდებათ—ყველაფერს შესძლებენ თუ კი ამას მოისურვებენ და თავის ქვეყანას შეხედვენ ისე, როგორც თავის საკუთრებას.

ეხლა საჭიროა ამ სოფლის ადგილობრივ მუშაკებს დაეხმაროს ქალაქში მყოფი თავისურებელი ამხანაგები. დაწყებული საქმე ამით კიდევ უფრო წინ წაიწევს და ზემოთავსურები ეკონომიურად და კულტურულად კიდევ უფრო მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს წინ.

შ. ზარამიძე.

დაუმსახურებელი ბრალდება

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 55 მოთავსებულია წერილი: „სასწავლებელია თუ…", სადაც ავტორი, ვინმე „იქაური" სრულიათ უდანაშაულოთ ბრალს მდებს, ვითომ მე დიდი ხანია სკოლა კარტის სათამაშო კლუბათ გამეხადოს...

საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ ეს სრულ სიყალბეა, აგებული მტრობაზე ჩემისა და სკოლის წინააღმდეგ. კარტის თამაშს აქ ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ნარდის თამაშს—ეს მართალია, მაგრამ არა იმ სახით, როგორც იქაა მოყვანილი: „მთელი ღამეობით", „თავს იყრიან მასწავლებლები და გარეშე პირები", „მიკიტანი" და სხვა.

საქმე შემდეგშია: მე ვცხოვრობ, როგორც სკოლის გამგე, მუდამ სკოლის შენობის ერთ ოთახში, ვარ მარტოთ-მარტო, მთელი ღამეების განმავლობაში ვარ გამომწყვდეული ოთხ კედელ შუა—საკანში—წიგნებზე, რვეულებზე, ანგარიშებზე და აუარებელი ცნობების შეკრებაზე თავჩაქინდრული. სიჩუმე და ჯოჯოხეთური მოწყენილებაა ჩემი მეგობარი.

დილით ერთი წყების მეცადინეობა, ნაშუადღევის მეორესი, საღამოთი ლიკსკოლა, 507 მოწაფის მოვლა, პედაგოგიური საბჭოს კრებები. თემსაბჭოში მუშაობა, მგზავრობა აქეთ-იქეთ სამსახურისა გამო—ეს შეადგენს მხოლოდ ჩემთვის სულიერ დაკმაყოფილებას.

იშვიათად შემოდიან ამხანაგები და მეზობლები, ხშირი იყო შემთხვევა, მეც მათ ვეპატიჟებოდი და მაშინ გაიმართებოდა კამათი და მსჯელობა თემის სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე. ხუმრობაც და ხანდისხან ნარდის თამაშიც. ესაა და ეს. მაგრამ მტერი რისი მტერია, თუ მახვილი არ მოიმარჯვა ვინმეზე და აბა რა ჩაილაპარაკებოდა შეეცაცყო სკოლა და ჩემი პიროვნება[1].

ლანირ-ჰვაბის 7-წლედის გამგე ვ. შენგელია.

---

[1] ვ. შენგელიას საპასუხო წერილის შინაარსის სიმართლეს ადასტურებს განათლ. მუშ. კავშირის ქუთ. განყოფილება.

რედ.

ბაზარს ადგილი მიუჩინეთ

(დ. ხრესილი, ქუთ. მ.)

საკმაო ხანია მას შემდეგ, რაც დაბა ხრესილში დაარსდა ე. წ. ბაზრობა, მაგრამ დაუდევრობის წყალობით ამ ბაზრობისათვის დღემდე არ არის მიჩნეული შესაფერისი ადგილი. ხალხი კი, მყიდველ-გამყიდველნი ბლომად იყრის თავს ყოველ კვირაობით.

აქით სარგებლობენ ადგილობრივი მიკიტნები და სთხოვენ საქონლის ჩარჩებს, რომ მათ დუქნებთან იქნეს დაბმული ოთხფეხი. თუ გაიყიდა, ჩარჩთან ერთად იმართება დაუსრულებელი ქეიფი. საქმე იმაშია რომ კვირადღეობით მშრომელ გლეხობას და ადგილობრივ მცხოვრებთ, კარდაკარ არ გაეგლებათ ბაზრის წინ. საქონლის განავლით და სიბინძურით მთელი ქუჩა აყროლებულია.

საჭიროა მილიციამ მიაქციოს ამ მდგომარეობას ყურადღება და შესაფერისი ადგილი მიუჩინოს ბაზრობას.

გამვლელი.

რკინის გზის სადგური აქაც გაიხსნა

ორი თვის წინად ქ. ხონში დაარსდა ა.-კ. რკინის გზის ქალაქის სად. მიუხედავად სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებისა სადგურის მოწყობილობა დროებით დამაკმაყოფილებელია.

ქალაქის სადგურში იყიდება სამგზავრო ბილეთები ქუთაის-სამტრედიის მიმართულებით და აგრეთვე მიიღება და იგზავნება ყოველგვარი საქონელი დიდი სისწრაფით.

სანამ ქ. ხონში სადგური გაიხსნებოდა, მგზავრებს სამგზავრო ბილეთები უნდა შეეძინათ სამტრედიაში და ქუთაისში, სადაც უხდებოდათ რიგში დგომა, ხშირი იყო ასეთი შემთხვევა: ბილეთის აღებას ვერ მოასწრებდა შორეული მგზავრი და მთელი დღეობით რჩებოდა სადგურში. ასეთ მოვლენას დღეს ადგილი არა აქვს. შორეული მგზავრი ქ. ხონის ქალაქის სადგურში შეძენილ სამგზავრო ბილეთით არხეინათ გრძნობს თავს, კმაყოფილია.

ქ. ხონში, ა.-კ. რკინის გზის ქალაქის სადგურის დაარსება, იმის მომასწავებელია, რომ ახლო მომავალში, საბჭოთა ხელისუფლება გაიყვანს რკინის გზის ხაზს. ხელისუფლების დახმარებით სულ მალე ვნახავთ, რომ ხონი შეუერთდება საქართველოს სხვა ქალაქებს. ის დღემდე მივარდნილი პროვინცია იყო. უფრო სოფელს მოგაგონებდათ, დღეს კი კოხტა ქალაქია, „თეთრი ნახშირით" განათებული.

ხონის აღმასკომს უკვე აღძრული აქვს შუამდგომლობა ა.-კ. რკინის გზის სამმართველოში, რკინისგზის გამოყვანის შესახებ.

გზის გახაზვა დამთავრებულია, სადგურის აგების ადგილიც გამოძებნილია. მშრომელი გლეხობა მზად არის თუ როდის დაიწყება მუშაობა, რათა უსასყიდლოდ იმუშაონ.

ქარიშვილი.

წითელ ჯარში

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

სექტანტების გაწვევა

მოქალაქენი, რომლებიც დაბადებით და აღზრდით შედიან იმ ოჯახების შემადგენლობაში, რომლებიც ეკუთვნიან სექტებს, რომელთაც რელიგიური მოძღვრება უკრძალავს ამჟამად და უკრძალავდა 1917 წლამდე სამხედრო სამსახურის მოხდას იარაღით ხელში, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სასამართლოების დადგენილებით.

სასამართლოებს საქმის განხილვის დროს უფლება აქვთ მოიწვიონ, როგორც ექსპერტები, ისე მოითხოვონ საქმის გარემოების შესახებ კომპეტენტურ დაწესებულებათა და პირთა დასკვნა.

მოქალაქენი, რომლებიც განაცხადებენ, რომ მათ აქვთ ისეთი რელიგიური რწმენა, რომელიც უკრძალავს იარაღით ხელში სამხედრო სამსახურის მოხდას, მაგრამ დანიშნული დროისათვის არ წარმოადგენენ სათანადო საბუთებს (სასამართლოს დადგენილებას) სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნებიან საერთო წესით.

სასამართლოების დადგენილებანი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნეს დაინტერესებულ პირთა მიერ სათანადო გამწვევ კომისიებში წვევამდე მომზადებისათვის გაწვევამდე.

მოქალაქენი, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან რელიგიური რწმენის გამო და ცნობილნი არიან საექიმო შემოწმებით ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, იგზავნებიან სამუშაოდ ეპიდემიასთან ბრძოლაში ან სხვა სამუშაოზე (ბრძოლა ხანძრებთან, მიწის სამუშაოები და სხვა). სამუშაოებზე გასაგზავნ მოქალაქეთა გამოყენება ევალება მშვიდობიან დროს საკავშირო რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს, რომელთა განკარგულებაში იმყოფებიან ეს მოქალაქენი.

საექიმო დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ჯანმრთელობის განყოფილებებს გაუგზავნა ცირკულიარი სამხედრო მოსამსახურეებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ცირკულიარის ძალით სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახები სარგებლობენ უფასოთ შემდეგი დახმარებით: 1) ყოველგვარი ამბულატორიული მკურნალობით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ რაიონში არ არის სამხედრო ამბულატორია; 2) საექიმო დახმარებით სახლში იმ გარნიზონებში, სადაც არ არის სამხედრო ექიმი; 3) დიაგნოსტიური დაწესებულებების, ლაბორატორიების და რენტგენის კაბინეტების დახმარებით იმ ადგილებში, სადაც სამხედრო უწყებებს არ მოეპოვებათ ასეთები; 4) საკონსულტაციო დახმარებით და ჯანმრთელობის შემოწმებით სამოქალაქო დაწესებულებებში.

სამხედრო მოსამსახურენი და მათი ოჯახები სარგებლობენ უფასოთ ამბულატორიული ტალახით მკურნალობით. აგრეთვე სარგებლობენ უფასო ელექტრო-მკურნალობით ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტის კაბინეტებთან.

გასამხედროების საქმე კარგად მიდის

რკინისგზის მუშათა კლუბთან გორში მოწყობილია სამხედრო კუთხე № ქართულ ლეგიონის მიერ. კუთხეში ბლომად არის სამხედრო ხასიათის მასალა და ლიტერატურა. კუთხესთან ჩამოყალიბებულია სამხედრო საბჭოს შემსწავლი წრე, რომლის წევრებათ არიან მუშები და მათი ოჯახის წევრნი.

წევრთა რიცხვი წრეში უდრის 40 კაცს. მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად.

წრეში ასწავლიან სამხედრო საქმეს, წითელი ისტორიას და მის დღევანდელ მდგომარეობას. სწარმოებს აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობა. დიდი ხალისით და წარმატებით ჩატარებულ იქნა სროლა.

მუშები დაინტერესებულნი არიან სამხედრო საქმის შესწავლით და დიდი მიღწევებიც აქვთ.

ჩ.

266 წერა-კითხვის მცოდნე

(მე-4 ლეგიონი)

ცვალებად წითელარმიელთა მოსვლისთანავე მოხდა წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა და დაყოფა ჯგუფებად. მათთან სამეცადინოთ ადგილობრივი განათლების განყოფილების და პოლიტგანის მიერ მოვლენილ იყვნენ მასწავლებლები.

მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ მიმდინარეობდა შეუფერხებლივ. სალიკვიდაციო სკოლები უზრუნველყოფილ იყვნენ სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებით და ფანქრებით.

წითელარმიელნი ხალისიანად მეცადინეობდნენ, თავისუფალ დროს ანდომებდენ წიგნის კითხვას ასოების შესასწავლად.

მათი სახლში გაშვების წინ ლეგიონის ფარგლებით ჩატარებულ იქნა გამოცდა, რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა. წერა-კითხვის საუკეთესოდ შეუთვისებია 266 ცვალებადელს. ბევრი მათგანი დაჯილდოვებულ იქნა ლიტერატურით.

ამ რიგათ, 2½ თვეში წითელმა ყაზარმამ წერა-კითხვა შეასწავლა 266 არმიელს და მომზადებული დაუბრუნა ისინი სოფელს.

ჯ.

ცვალებადელთა საერთო შეკრებისათვის

ა.-წ. 31 აგვისტოდან იწყება 1900, 1901 და 1902 წელში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის წითელარმიელების შეკრება, ამიტომ ზემოაღნიშნულ წლებში დაბადებულნი წითელარმიელები, რომლებიც მიწერილნი არიან მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონზე (ქ. თბილისში მცხოვრებნი), ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ლეგიონის შტაბში (ავლაბარი, კახეთის ქუჩა № 16) ა. წ. 28 აგვისტოს, დილის 8 საათზე. ის ცვალებად შემადგენლობის წითელარმიელები, რომლებიც მოერიდებიან შეკრებას და არ გამოცხადდებიან დროზე, ჩაითვლებიან დეზერტირებად და მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსისა.

ლეგთავი გრიგოლია.
სამხკომი ქადაგიშვილი.
სწორია შტაბის უფროსი მოხდოკელი.

ჩაის მრეწველობა

საზოგადოება „ქართული ჩაი"-ს ძირითადი თანხა უდრის 5.000.000 მან. აქედან 4.000.000 მან. წარმოადგენს ჩაქვის და სალიბაურის პლანტაციების ღირებულებას და 1.000.000 მან. კი ნაღდ ფულს. საზოგადოებამ შეიძინა მიწსახკომისაგან ჩაის ფაბრიკა და ააგო ოზურგეთში ორი ფაბრიკა. საზოგადოების მიზანს წარმოადგენს ჩაის კულტურის განვითარება საერთოდ, განსაკუთრებით კი აჭარისტანში, გურიაში და სამეგრელოში. ჩაის პლანტაციების სივრცე დაახლოებით უდრის 1.162 დესეტინას. აქედან გურიაში—250 დეს., სამეგრელოში—3 დეს. დანარჩენი პლანტაციები აჭარისტანშია.

ოზურგეთში არსებული ფაბრიკები ამუშავებდენ 12.000 გირ. ჩაის; ახლად აგებული ფაბრიკებს კი (აცანისა და მიქელ-გაბრიელის) შეუძლიათ დაამუშაონ 100.000 გირ. ჩაი. ჩაქვის და სალიბაურის პლანტაციებზე აკრეფილ ჩაის დამუშავებას ვერ სწვდებიან იქ არსებული ქარხნები და ამიტომ საზოგადოება მორიგ ამოცანად ისახავს ქარხნების ქსელის გაფართოებას. ნორმალურად ჩაქვის ფაბრიკა ამუშავებს 150.000 გირ. ჩაის. რადგან ქარხანაში მუშაობა სწარმოებს სამ წყებად, ფაქტიურად ქარხანა სეზონის განმავლობაში უშვებს 450.000 გირ. ჩაის. ასეთივე მდგომარეობაა სალიბაურის ფაბრიკაში, სადაც 25.000 გირ. მაგიერ მზადდება 78.000 გირ. ფაბრიკა ცოტაოდენი გაუმჯობესების შემდეგ დაამუშავებს 150.000 გირვანქა ჩაის.

საზოგადოებას მიზნათ აქვს დასახული პლანტაციების სივრცის გაფართოება გლეხების მეურნეობის საშუალებით. ამით აიხსნება ის, რომ ნაცვლად 12-13 კაპეიკისა წელს საზოგადოება აძლევს გლეხებს 18 კაპ. უმაღლეს ხარისხის ფოთოლში, ხოლო 13 კაპ. უმდაბლეს ხარ. ისე რომ გირვანქაზე საშუალოდ მოდის 17 კაპ. თვით გლეხს კი გირვანქა უჯდება 14,4 კაპ. ამგვარად საზოგადოება აძლევს საშუალებას გლეხობას მოიგოს გირვანქაზე 2,6 კაპ. რაც დესეტინაზე გადაყვანით უდრის 75 მან. (თუ ვიანგარიშებთ, რომ დესეტინაზე ჩაის საშუალო მოსავალი უდრის 3.000 გირ. მწვანე ფოთოლს).

წრევანდელი პირველი მოსავალით საზოგადოებას აქვს ჩაქვში 500.000 გირ. მწვანე ფოთოლი, სალიბაურის რაიონში—100.000 გირ. და ოზურგეთის მაზრაში—40.000 გირ. პერსპექტიულ გეგმის მიხედვით წელს უნდა იქნეს აკრეფილი 700.000—800.000 გირვანქამდე.

◆

ექსპორტი

1926-27 წელს განზრახულია 665.000 მანეთის ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის, 84.000 მანეთის გასანოყიერებელი მასალის და 1.620.000 მანეთის აბრეშუმის ხმელი პარკის გატანა უცხოეთში. სულ 1926-27 წლისათვის საქართველოდან გატანილ იქნება—2.169.000 მანეთის სხვადასხვა საქონელი.

საქ. მ. უ. ს. პრეზიდიუმს მიღებული აქვს ღონისძიებები ავტონომიურ რესპუბლიკებიდან და აგრეთვე ადგილობრივ წარმოებათა საიმპორტო-საექსპორტო შესაძლებლობის გამოსარკვევად.

გერმანიის მუშათა დელეგაციის მოლოდინში

გერმანიის მუშ დელ მოლოდ როგორც საბოლოოთ გამოირკვა, გერმანიის მუშათა დელეგაცია მთელი შემადგენლობით არ ჩამოვა საქართველოში. დელეგაცია მოსკოვში სამ ჯგუფათ გაიყო. ერთი ჯგუფი გაემგზავრა ურალისა და ციმბირის დასათვალიერებლად მეორე—დაათვალიერებს უკრაინას, ყირიმს და სხვა რაიონებს, მესამე კი—24 აგვისტოს კავკავის გზით ჩამოვა ა.-კავკასიაში და 4 სექტემბრამდი დაათვალიერებს ბაქოს, თბილისს, ერევანს. 5-დან 9 სექტემბრამდე დაათვალიერებს შავი ზღვის ნაპირებს და იქიდან როსტოვ-ტაგანროგით დაბრუნდება მოსკოვში.

მესამე ჯგუფის თავმჯდომარეა—დედელეგაციის თავმჯდომარე კერბერი.

◆

ადგილობრივი ფინანსები

(დებულების ახალი პროექტი)

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაამტკიცა დებულების პროექტი ადგილობრივ ფინანსების შესახებ.

დებულების თანახმად ადგილობრივ ბიუჯეტი წარმოადგენს კავშირის ფინანსების ერთიან სისტემას, რომელიც იქნება ადგილობრივ საბჭოების და აღმასკომების უშუალო გამგებლობაში.

ადგილობრივ ფინანსების შესახებ კანონმდებლობას ანხორციელებენ საბჭოთა კავშირის ცაკი და სახკომსაბჭო, ამიერ-კავკასიის ცაკი და ა.-კ. სახკომსაბჭო და რესპუბლიკების ცაკები და სახ. კომ. საბჭოები.

ერთიან სახ. ბიუჯეტიდან რაიმე ხარჯების გადატანა ადგილობრივზე, ან საერთოდ საერთო საკავშირო და გაერთიანებულ უწყებათა ახალი ხარჯების მიკუთვნება ადგილობრივ ბიუჯეტისათვის ან ადგილობრივ ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების სრული ან ნაწილობრივი გაუქმება, უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის ცაკის განსაკუთრებული დადგენილების საფუძველზე. გაერთიანებულ უწყებების ხარჯების ასეთი გადატანა შეიძლება მოხდეს აგრეთვე ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებით, მაგრამ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საბჭოთა კავშირის ცაკს.

დებულებაში დაწვრილებით აღნუსხულია იმ ხარჯების კატეგორიები, რომლებიც მიეკუთვნება ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ადგილობრივ გადასახადებისაგან განთავისუფლებულ არიან: დიპლომატიური წარმომადგენლობანი და საკონსულოები, სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის და სამხედრო-სასანიტარო სამმართველოს დაწესებულებები, წითელი ჯვარის საზ-ბის ინტერვენციისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზ-ბის დაწესებულებანი. ნაწილობრივ თავისუფლდებიან: საერთაშორისო სტადიონის მშენებელთა საზოგადოება და საპაიო ამხანაგობა „სახალხო კვება".

გლეხების თვითდაბეგვრა

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის უფლების შესახებ.

ამ დადგენილების ძალით ამა თუ იმ რაიონის მოქალაქეების საზოგადო ყრილობას—სოფლის, თემის დაირის მასშტაბით ეძლევა უფლება გამოიტანოს დადგენილება ადგილობრივ კეთილმოწყობის და სხვა კულტურულ სამეურნეო საჭიროებათა საკუთარი საშუალებებით დაკმაყოფილების შესახებ.

სასოფლო ან სათემო ყრილობებს ეძლევათ აგრეთვე უფლება განსაზღვრონ იმ თანხების რაოდენობა, რომელიც საჭიროა განზრახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, დააწესონ თვით დაბეგვრის ხასიათი (ფულადი ან ნატურალური), აგრეთვე ყოველ მოქალაქეზე ბეგარის ნორმა, და გაანთავისუფლონ ზოგიერთი მოქალაქენი ბეგარისაგან.

თვითდაბეგვრის მიზნით სასოფლო ყრილობის მოწვევის უფლება აქვს თვით ამ სოფლის მოქალაქეებს, სასოფლო საბჭოებს და აღმასკომებს. ყრილობა ჩაითვლება კანონიერად, თუ გამოცხადებულია ამომრჩეველთა ორი მესამედი.

შეკრეფილ თანხების მიზანშეწონილ და წესიერ ხარჯვაზე მეთვალყურეობა ევალება სარაიონო, სათემო და დაირის აღმასკომებს.

რესპუბლიკების ცაკებს წინადადება მიეცათ ამ დადგენილებასთან შეფარდებით გამოსცენ სათანადო დადგენილება.

◆

ძვირფასი კულტურები

სენაკის მაზრაში

უკანასკნელ ხანებში სენაკის მაზრაში გავრცელდა ბამბის და თამბაქოს კულტურა.

მაგ. 1925 წელს ბამბით დაითესა 225 დესეტინა, ხოლო მიმდინარე წელს სამჯერ მეტი, დახლოებით 675 დესეტინა. ასეთივე პროგრესით ფართოვდება სენაკის მაზრაში თამბაქოს კულტურა; თამბაქოს კულტურამ განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა ახალსენაკის რაიონში. ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობები განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ თამბაქოს კულტურას, რომელიც გასავრცელებლად ისინი გლეხებს აძლევენ კრედიტებს.

თუ საკრედიტო ამხანაგობებს საშუალება დაურჩათ კრედიტების საკმაო რაოდენობით გასაცემად, ძვირფასი კულტურის ორივე დარგი—ბამბამოსა და მეთამბაქოება გლეხობას დიდ შემოსავალს მისცემს და ფეხზე დააყენებს სასოფლო-მეურნეობას სენაკის მაზრაში.

ზემოხსენებულ კულტურებს გარდა უკანასკნელ ხანებში ყურადღებას იქცევს მანდარინების და ჩაის პლანტაციების გაშენება. მაგ. ჩაის პლანტაციები ზანის თემში გაშენებულია რამოდენიმე ათეულ დესეტინა სივრცეზე. ზანის პლანტაციებში მოწეული ჩაი კარგი ღირსების გამოდის.

ჩაის და მანდარინის კულტურა სენაკის მაზრაში ჯერ ახალი საქმეა და ცდების პერიოდში იმყოფება. ამიტომ საკრედიტო ამხანაგობები ჯერ-ჯერობით ამ კულტურას სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ.

მშენებლობა უსასყიდლოდ.

ხე-ტყის ახალი ქარხნები

მცხეთის ქარხანა

საქართველოს სატყეო ტრესტის ქარხანა მცხეთაში მუშაობას დაიწყებს მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან. ქარხნის შენობის კედლები უკვე აყვანილია. ეხლა სწარმოებს შენობის გადახურვა. ვიდრე შენობის აგება დამთავრდებოდეს შვეციიდან მიღებული იქნება ქარხნისათვის გამოწერილი დაზგები და სხვა მოწყობილობა.

ქარხანა ყოველწლიურად დაამზადებს 500 ათას კუბიკურ ფუტ ხე-ტყეს.

შამგონის ქარხანა

ნოემბრის ბოლოდან დაიწყებს მუშაობას შამგონის ხე-ტყის ქარხანა, რომელიც ყველაზე დიდი ქარხანა იქნება საქართველოში ხე-ტყის ქარხნებს შორის.

სახერხი განყოფილების გარდა ქარხანას ექნება ყუთების დასამზადებელი საამქრო. ქარხანა ყოველწლიურად დაამუშავებს 1.500.000 ფუტ ხე-ტყის ნედლ მასალას. ყოველდღიურად ქარხანაში იმუშავებს 100 მუშა-ხელი.

ახმეტის ქარხანა

ახლოეს თვეებში სოფელ ახმეტაში დაიწყება სახერხ ქარხნის აგება.

ახმეტის რაიონი მეტად მდიდარია წიფლის ხით. ქარხანაში წელიწად დამზადებული იქნება ერთი მილიონი კასრი ამავე რაიონში აგებული იქნება ხის მშრალად გამოსახდელი ქარხანა. ქარხანა ყოველდღიურად გამოხდის 10 ათას კვადრ. საჟ. წიფლის მორებს. ქარხანა იმუშავებს სამი შეცვლით.

◆

მანქანების ჩამოტანა

საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების მოსაწყობათ საჭირო მოწყობილობის შემოტანის გეგმა

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული გეგმით იმ ქარხნების და ფაბრიკების მოსაწყობათ, რომლებიც ამჟამად შენდება, 1926—27 საბიუჯეტო წლისათვის შემოტანილ იქნება 5.745.613 მანეთის იარაღები და სხვა მოწყობილობა, ხოლო უკვე არსებულ ფაბრიკა-ქარხნების შესავსებათ და გასაუმჯობესებლად — 423.425 მანეთის იარაღები. შემოტანის გეგმაში შედის აგრეთვე 52.000 მან. ნედლეულის და 434.245 მანეთის ნახევრად ფაბრიკატების და დამხმარე მასალების შემოტანა. სულ სახელმწიფო მრეწველობისათვის 1926—27 წელს შემოტანილ უნდა იქნეს 6.655.283 მანეთის საქონელი, ხოლო შინამრეწველებისათვის—304.850 მანეთის დამხმარე და ნედლი საქონელი.

ს. მ. უ. საბჭოში

ცელულოიდის ნაწარმოების დამზადება

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. მებუროშვილის მოხსენება ცელულოიდის ნაწარმოების დამამზადებელ სახელოსნოს გახსნის შესახებ.

პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო აღნიშნულ სახელოსნოს გახსნა და ნება დართო ამხ-ბა „ლებედს" გახსნას ცელულოიდის ნაწარმოების დასამზადებელი სახელოსნოები რესპუბლიკის ყველა ქალაქებში.

ვინაიდან ამ ნაწარმოებისათვის საჭიროა უცხოეთიდან ნედლი მასალის შემოტანა, ცელულოიდი შეიძლება მომარაგებულ იქნას მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობით.

პრეზიდიუმმა დაადგინა წინადადება მიეცეს ხსენებულ ამხ-ბას ეხლავე შეუდგეს ადგილობრივ მასალებზე ცდების მოხდენას.

თამბაქოს ტრესტის შესახებ

ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო თამბაქოს ტრესტის თამბაქოს მრეწველობის საკავშირო ბიუროში შესვლა.

პრეზიდიუმმა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაავალა თამბაქოს ტრესტს.

◆

საგზაო მშენებლობა

სვანეთის გზატკეცილი

უკვე მთელი გზის გასაყვანი სივრცის ორ-მესამედზე გაყვანილია საურმე გზა, რომლის სიგანე უდრის 2—2 ნახ. არშინს. გზაზე გაკეთებულია რამოდენიმე დროებითი ხიდი. შემდეგ ეს გზა გაკეთებული იქნება გზატკეცილად, ივლისის შუა რიცხვებიდან შეწყვეტილ მისის სამუშაოები ენკენისთვეში განახლდება.

სურამ - ძირულის გზატკეცილი

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა სურამ-ძირულის გზატკეცილის გასაყვანად. ივლისის დამლევისათვის სავსებით დამთავრდა გზის გაყვანა ერთ უბანში. დაიწყო მუშაობა გაყვანილ გზის გასაწმენდათ ჩამოშვავებული ზვავებისაგან ამაშუკეთ-შრომის რაიონში.

გზატკეცილი გურიაში

ამჟამად ინჟ. ყიზიმა აწარმოებს კვლევა-ძიებას სურების გზა-ტკეცილის გასაყვანად. კვლევა-ძიება წარმატებით მიმდინარეობს.

გზა-ტკეცილების სამმართველოს შენობათა განყოფილება ამჟამად ამუშავებს საკურის ხიდის პროექტს.

◆

საარქივო საქმე ჩვენში

საარქივო საქმე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიჩნეული არის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად.

საქართველოში საარქივო აღმშენებლობას საძირკველი ჩაეყარა 1921 წელს, როდესაც გამოცემულ იქმნა დეკრეტი „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ". ამ დეკრეტის მიხედვით, უწყებათა და დაწესებულებათა ცალკე არქივები გაუქმებულად გამოცხადდა და არქივების ცენტრალიზაცია დაკანონდა. ცენტრალიზაციის პრინციპზე არქივების კონცენტრაციისა და საარქივო საკითხების მოსაწესრიგებლად დაარსდა საგანგებო ორგანო—რესპუბლიკის ცენტრალური არქივი.

საქართველოს ცენტრალური არქივის დანიშნულება ორ უმთავრეს ამოცანის მოგვარებაში მდგომარეობდა: პირველი ამოცანა, რომელიც ცენტრალურ არქივს უნდა განეხორციელებია მდგომარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე გაბნეულ საარქივო ფონდების კონცენტრაციასა და შენახვაში, ხოლო მეორე—საარქივო მასალების მეცნიერულად შესწავლასა და გამოცემაში.

პირველ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო იყო ერთის მხრივ ძველი რეჟიმისაგან ნაანდერძევი სენის—ცალკე დაწესებულებათა და უწყებათა მიერ არქივების გაყიდვა-განადგურების—აღკვეთა, ხოლო მეორეს მხრივ ამ არქივების აღრიცხვა, აღება და თანდათანობით არქივთსაცავებში დაბინავება. განადგურებისაგან გადარჩენა და არქივთსაცავებში მოთავსება განსაკუთრებით ესჭიროებოდა რევოლუციის დროინდელ, ე. ი. 1921 წლის თებერვლის 25-მდე შემდგარ საარქივო ფონდებს, რომელთაც მეტ წილად პატრონი და მზრუნველი არ გააჩნდა. არქივების, მათ განადგურების მხრივ, იშვიათ გამონაკლისის გარდა, საერთოდ არ მოელოდა და ამიტომ ამ შემთხვევაში საზრუნავ საგანს ცენტრარქივისათვის შეადგენდა საბჭოთა დაწესებულებებისაგან არქივების წესების შემუშავება.

თავის პირველი ამოცანა ცენტრარქივმა 90% უკვე შეასრულა: 1) არქივების გაყიდვა-მოსპობა და გაფლანგვა, რომელსაც პირველ ხანებში ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა, ამჟამად საყოველთაოდ აღკვეთილია. 2) საარიცხვო მუშაობა დაწყებულია და თითქმის დამთავრებულია მთელს რესპუბლიკაში გარდა აფხაზეთისა. სულ აღრიცხულია აღებულია აფხაზეთის გამოკლებით 415 საარქივო ფონდი, აქედან: ა) თბილისში და თბილისის მაზრაში—206, ბ) ქუთაისში და ქუთაისის მაზრაში—42, გ) ბათომში—20, დ) ფოთში—33, ე) ახალ-ციხის მაზრაში—25, ვ) გორის მაზრაში—20, ზ) ზუგდიდის მაზრაში—9, თ) სენაკის მაზრაში—5, ი) რაჭის მაზრაში—6, კ) ოზურგეთის მაზრაში—4, ლ) ბორჩალოს მაზრაში—3, დანარჩენი ე. ი. 42 საარქივო ფონდი ხვდება სხვა მაზრებს.

3) საარქივო ფონდების კონცენტრაცია და სისტემაში მოყვანა სწარმოებს: თბილისის, გორის, ახალ-ციხის, ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ახალ-ქალაქის მაზრებში და აგრეთვე ქ. ბათომში და ფოთში. სხვა მაზრებში ასეთი მუშაობა ახლო მომავალში დაიწყება. 4) არქივთსაცავები მოწყობილია თბილისის გარდა: ბათომში, ქუთაისში, ფოთში, ახალ-ციხეში. არქივების კონცენტრაცია და არქივების მოწყობა მაზრებში გრძელდება.

პარალელურად ცენტრარქივი აწარმოებს არქივების სისტემაში მოყვანას და აღწერას. ამ დარგის მუშაობა სწარმოებს ჯერ-ჯერობით უმთავრესად თბილისში. თბილისის არქივთსაცავში თავმოყრილი ფონდების უმეტესობა უკვე აღწერილი და გარჩეულია. დანარჩენის გარჩევა განზრახულია მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ცენტრარქივის მეორე მიზნის განხორციელებისათვის საჭირო იყო ერთის მხრივ ცენტრარქივის არქივთსაცავებში თავმოყრილ საარქივო ფონდების სისტემაში მოყვანა იმდენად, რომ მათი მეცნიერულად დამუშავება შესაძლებელი ყოფილიყო, ხოლო მეორეს მხრივ საჭირო იყო ამ მასალების, ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ საჭიროებასთან შეფარდებით გამოქვეყნება. ამ მიზნით ცენტრარქივი 1924 წლიდან სცემდა სამეცნიერო ჟურნალს „საისტორიო მოამბე"-ს. ვინაიდან ეს ჟურნალი მასში მოთავსებულ წერილების ხასიათის მიხედვით ვერ შეესაბამებოდა თავის დანიშნულებას, მისი გამოცემა განათლების სახ. კომისარიატის განკარგულებით უკვე შეჩერებულია. და მის მაგიერ გამოვა ჟურნალი „საქართველოს არქივი"—4 წიგნი წლიურად. ჟურნალის პირველი № უკვე დაბეჭდილია და ამ დღეებში გამოვა.

ცენტრარქივის მუშაობას მთავარ დაბრკოლებად ეღობებოდა წინ. ამ დაბრკოლებებიდან უმთავრესად საყურადღებოა ორი: 1) საარქივო კანონების უქონლობა და მეორე საზოგადოებაში და ზოგიერთ საბჭოთა დაწესებულებებში გავრცელებული შეხედულება, რომ საარქივო აღმშენებლობა ზედმეტი და უსარგებლო საქმეა. ეს მიზეზები მუშაობას აფერხებდნენ განსაკუთრებით პროვინციაში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ცენტრარქივს მაზრებში არ ჰქონდა მოწყობილი კანონმდებლობითი აქტით უზრუნველყოფილი საარქივო ორგანოები. ამის გამო ცენტრარქივმა წამოაყენა საკითხი მაზრებში საარქივო აპარატების დაარსების შესახებ. მან უკვე შეიმუშავა და საქართველოს ცაკს დასამტკიცებლად წარუდგინა პროექტი სამაზრო საარქივო ბიუროების დებულებისა. ამ პროექტით თითოეულ მაზრაში აღმასრულებელ კომიტეტთან უნდა დაარსდეს სამაზრო საარქივო ბიურო, რომელიც ცენტრარქივის დირექტივების თანახმად ადგილობრივად გაუძღვება საარქივო საქმეს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ცენტრარქივის მუშაობა ინტენსიურად გაიზარდა და ნორმალურ ფორმებში ჩამოყალიბდა.

მუშათა ცხოვრება

მუშაობა ფერხდება, წარმოება ეცემა

ორ თვეზე მეტია მას შემდეგ, რაც რკ. გზის სამმართველოს ადმინისტრატიული განყოფილების განკარგულებით რ.-გ. საშემოსავლო ნაწილიდან მოხსნის პირადი მაგიდის შემადგენლობა და ცნობათა მიმწოდებელი მაგიდა და გადიტანეს რ.-გ. სამმართველოში. საშემოსავლო ნაწილი მოთავსებულია ყოფ. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, სამმართველო კი ვაგზლის ქუჩაზე. რამოდენიმე ათეულ მუშა-მოსამსახურეს ყოველ დღე უხდება სამმართველოში სიარული პირად საქმეზე. ასეთ „რეფორმის" წყალობით ყოველგვარი მიმოწერა, ბილეთების გამოწერა, სხვადასხვა საქმეების და ცნობების მიღება გვიანდება კვირაობით და ორ კვირაობით, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მუშკორი წყარო.

ასწავლეთ მგზავრებისადმი თავაზიანი მოპყრობა

25 ივლისს სადგ. რიონში სახალხო მატ. № 14-ის დგომის დროს აუარებელი მგზავრებით იყო სავსე სადგურის ბაქანი. ამ დროს ვიღაც გულგადაღეღილი თანამშრომელმა გამოიჭრა, დაავლო ხელი ერთ გლეხის შვილს მგზავრს ს. არაბიძეს, მიაბრუნა პირით და ფეხსაცმელით ერთი ბარაქიანი პანღური შეთავაზა. მგზავრები გაკვირვებამ მოიცვა, ხოლო ახალგაზრდა მგზავრს ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, თუ რა უბედურება დაატყდა თავზე, რომ „მკლავიანმა" ფრიად კმაყოფილი, გაჯავრებული, გაუდგა თავის გზას.

ეს მოქალაქე ძლიერ მოყვარული ყოფილა ასეთ ნავაჭრობისა. იგი გახლავთ სად. რიონის მორიგე აგენტი ბრეგვაძე (ე. ი. იგივე სადგურის უფროსის თანაშემწე);

რას უნდა მიეწეროს მორიგე აგენტის ასეთი მოქმედება იმ დროს, როდესაც ჩვენ ვცდილობთ, რომ სოფლის გლეხობას შევაყვაროთ რკინის გზა და პატივისცემით მოვეპყროთ.

საჭიროა პროფკავშირმა ასეთ რკინის-გზის შეაგნებინოს, რომ ასეთი მოპყრობა მგზავრებისადმი დაუშვებელია.

ზემოხსენებულ ფაქტის მოწმენი არიან 1) სამტრედიის [illegible] წვერავა, 2) ბათომის [illegible] ტალახაძე, 3) მე-4 [illegible], 4) სადგ. რიონის მატარებლის შემადგენელი ნანობაშვილი, 5) ა.-კ. რ. გ. ზ. სამმართველოს ეკონ. სამს. თანამშრომელი გიორგი ცინცაძე.

რკინის გზის ადმინისტრაციავ! მოსთხოვე პასუხი.

მუშკორი ი-ნ-ი.

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკებში

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ თავის სხდომაზე დაადგინა: [illegible] იქნას შრომის ბირჟის გადაწყვეტილება, რომ დაიშალოს შრომის კოლექტივი, რადგან იქ მუშაობს 50-დე უმუშევარი.

ხელი შეუწყოს კავშირმა კავშირის უმუშევრისაგან დაარსებული შემსრულებლობის არტელის მოწყობას, მხოლოდ არტელი არ უნდა ატარებდეს კავშირის სახელს და უნდა მუშაობდეს სრული თავისი პასუხისმგებლობით.

არტელის დროებითი ბიუროს ორგანიზაციულ ხარჯებისათვის მიეცეს კავშირის საშუალებებიდან 500 მანეთი იმ პირობით, რომ 6 თვის განმავლობაში დაუბრუნონ ვალი.

კავშირს მიეცა ერთი ადგილი ლენინგრადის პლეხანოვის სახელობის მუშფაკში უსტიპენდიოთ. ამის შესახებ ეცნობოს ყველა ადგილკომებს.

ქ. შ.

როდის დაგვაზღვევენ

ჩვენ, თბილისის სამაზრო გლეხკომის მუშა-მოსამსახურენი ვიმყოფებით დღემდი დაუზღვეველი. როგორც სიტყვიერი განცხადებით, ისე წერილობით მიმართეთ, როგორც მიწა-ტყის კავშირს, ისე გლეხკომს, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ამ ექვსი თვის წინად აქ იყო შრომის ინსპექტორი ამხ. მიროტაძე. მან დაგვკითხა ვინ რამდენი წელი ვმსახურობთ და მოითხოვა ჩვენი დაზღვევა, მაგრამ დღემდე ჩვენ ვერავითარ პასუხს ვერ ვღებულობთ.

ჩვენ მოვითხოვთ მიექცეს ყურადღება ჩვენს განცხადებას, ვისგანაც ჯერ არს, რათა ვიქნეთ დაზღვეული.

ხელს აწერს ექვსი მუშა.

როგორ არ უნდა სწარმოებდეს მასიური მუშაობა

(წერილი სად. გორიდან)

სადგ. გორის განცხადებების დაფაზე გაკრული იყო შემდეგ შინაარსის განცხადება: „დღეს 12 მაისს, საღამოს 6 საათზე, სადგ. გორის რკინისგზის კლუბში დუნდუას ხელმძღვანელობით შესდგება კითხვა-პასუხის საღამო. ყველა მუშა-მოსამსახურეების დასწრება სავალდებულოა. კლუბის გამგე (ხელმოწერილია)".

ასეთი განცხადების გამოშვება დიდ გაკვირვებას იწვევს ყოველ მუშა-მოსამსახურეში, რომელსაც ცოტა რამ ესმის კულტმუშაობაში. არც კლუბის გამგის თანამდებობა არის ამისათვის საჭირო. ეჭვს გარეშეა, რომ კითხვა-პასუხის საღამოები დიდ ინტერესს ჰპოვებენ ფართო მასებში და წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას მასიურ მუშაობისა. მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ასეთ კითხვა-პასუხის საღამოებზე დასწრება ჩვენ უნდა გავხადოთ სავალდებულოდ ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის. საკლუბო მუშაობა არ უნდა გადაიქცეს ერთგვარ ბეგარად მშრომელებისათვის და არც ერთ კლუბის უფროსს არ უნდა მიეცეს მუშაობა ასეთ მეთოდების ხმარებისათვის. მხოლოდ მასიურ მუშაობის, შინაარსის გამოცოცხლების და მშრომელების ინტერესისადმი [illegible] გზით. შეიძლება მუშა-მოსამსახურეების ჩაბმა აქტიურ საკლუბო მუშაობაში და არა „სავალდებულო წესით".

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე განცხადება ამავე დაფაზე:

„განცხადება.

გაცნობებთ, რომ 15 მაისს, ნაშუადღევის სათზე შესდგება რკინისგზის კლუბში გორის ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეთა კრება, სადაც ევალება (?) ყველა მუშა-ახალგაზრდობას და მოსამსახურეებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ზომები იქნება მიღებული.

სად. გორის მუშა-მოსამსახურეთა ახალგაზრდობის წარმომადგენელი (ხელმოწერილია)".

ჩვენ უნდა შევეკითხოთ ამ განცხადების ხელის მომწერს, რა ზომების მიღებას ფიქრობს ის თუ ახალგაზრდა მუშა ვერ დაესწრო კრებას და რამდენად აქვს კავშირი ასეთ ზომებს მუშა-ახალგაზრდათა შორის მუშაობასთან და საერთოდ იმ გეზთან, რომელიც არის აღებული?

ი. რუდოვსკი.

ჩვენი მუშათა კლუბის ირგვლივ

(სენაკიდან მუშკორისაგან)

კლუბის ირგვლივ მუშა-მოსამსახურეთა დასარაზმავათ და მათი საკლუბო მუშაობაში ჩასაბმელად, 6 აგვისტოს მოხდა წევრთა საზოგადო კრება.

კლუბის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ოჩიგავამ, რომელმაც მოუწოდა ყველა მუშა-მოსამსახურეებს ჩაებან საკლუბო მუშაობაში.

შემდეგ გამოითქვა სურვილი სეზონური ბილეთების შემოღების შესახებ.

აგრეთვე კრებამ საჭიროთ სცნო სექციების ამუშავება კლუბებში; მათი ხელმძღვანელების შერჩევა და წევრების ჩაწერა უნდა სწარმოებდეს სურვილისამებრ.

ჩვენი ვალია ეს დადგენილება ცხოვრებაში გავატაროთ.

ბ. უჩანეიშვილი.

„ლურჯ-ხალათიანები" ქ. სიღნაღში

ადგილობრივი მუშათა კლუბის ახალგაზრდა ნიჭიერი ხელმძღვანელი მიხეილ იარალის ინიციატორობით შესდგა „ლურჯ-ხალათიანები"-ს დასი თავისი ცოცხალი გაზეთი,—„წითელი შოლტი"-თ. პირველი დადგმა გაიმართა ა. წ. 24 ივლისს. ნაჩვენები იქნა: მოწინავე „მარში", „ევროპის პრესა", „ხუცესთა ტრესტი", „გამფლანგველი", „მომჭირკომი", „სიღნაღის ამბები" და „გამოთხოვება".

დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. წარმოდგენამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. ყოველი სეანსი ტაშის გრიალით და „ვაშას" ძახილით მთავრდებოდა. პირველი პროგრამა განმეორებულ იქნა 29 ივლისს. ხალხი შედარებით წინაზე უფრო მეტი მოაწყდა საკლუბო დარბაზს.

მე-2 გამოსვლამ უფრო დიდად მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და დასტოვა მეტი შთაბეჭდილება.

ცოცხალმა გაზეთმა „წითელი შოლტი"-თ დაიკავა პირველი ადგილი ქ. სიღნაღის მუშათა კლუბის სცენაზე და მიიქცია საზოგადოების ყურადღება მიუხედავათ იმისა, რომ ეს „...შოლტი" ბევრ ადგილობრივთაგანს ღირსეულად მოხვდა ზურგზე და მოხვდება, ალბად, მომავალშიც.

სასურველი იქნება, რათა ადგილობრივი საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის გამგეობამ, რაც შეიძლება ხელი შეუწყოს ყოველმხრივ და გაადიდოს ამ ახალ დასელების მუშაობის ფარგლები მაზრის მასშტაბით და აგრეთვე გაკეთებულ იქნას მოხსენება მისი მნიშვნელობის შესახებ.

ცანავა.

მუშათა ქრონიკა

მესამე თამბაქოს ქარხანაში

— **სპეც. ტანსაცმლების დარიგება.** მესამე თამბაქოს ქარხნის მუშებს, 1-ლ აგვისტოდან დაურიგდა სპეც-ტანსაცმელები.

— **რძე შავ მუშებს.** ყველა იმ შავ მუშებს, რომლებიც მუშაობენ მტვერიან ალაგას, მესამე თამბაქოს ქარხნის ადმინისტრაცია ურიგებს უფასოდ დღეში ორ ფინჯან რძეს.

— **პროდუქციის გაუმჯობესებისათვის.** მესამე თამბაქოს ქარხნის ადმინისტრაცია ქარხკომის დამოუკიდებლად ასამართლებს მუშებს. ის დაუშვებელათ სცნო ქარხკომმა და მიიღო ზომები, რომ შემდეგში მან არ ჩაიდინოს ასეთი მოქმედება.

— **საუზმის დროს მუშაობის აკრძალვა.** მესამე თამბაქოს შრომის დაცვის კომისიამ ხელით პაპიროსის გამკეთებლებს აუკრძალა საუზმის დროს მუშაობა.

— **მოჭადრაკეთა წრე.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დაარსდა მოჭადრაკეთა წრე. წრეში ესწრებიან კლუბის წევრი კავშირის წევრები. ამით სარგებლობა შეიძლება ყოველდღე საღამოს 5 საათიდან.

— **მაგიდების შეძენა.** ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ მოჭადრაკეთა წრისთვის შეიძინა 10 ცალი მაგიდა.

— **ბაღის შეკეთება გათავდა.** პლეხანოვის სახელობის კლუბის ბაღის შეკეთება დამთავრდა.

— **ჩაწერა გრძელდება.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში წევრების ჩაწერა გრძელდება.

— **კედლის გაზეთი.** საქონლის სადგურის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მორიგი მეოცდაშვიდე ნომერი „წითელი შოლტი„-ს სახელწოდებით.

განათლების ფრონტზე

სამოსწავლო წლის დაწყების წინ

ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილებაში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მომავალი სამოსწავლო წლისათვის. ამჟამად განყოფილებაში მუშავდება სკოლების მტკიცე ქსელი, სკოლების განსაზღვრული ტიპით, ჯგუფების და სეფებების რაოდენობით.

მუშავდება აგრეთვე პროფტექნიკური სკოლების და სპეციალური კურსების პროექტი. ამ მუშაობის შემდეგ განათლების განყოფილება შეუდგება შკოლმედების რეორგანიზაციის პროექტის შედგენას.

განათლების განყოფილების მიერ უკვე შემუშავებულია დებულება იმ პირთა კვალიფიკაციის შემოწმების შესახებ, რომელთაც სურთ პედაგოგიურ მუშაობას მოჰკიდონ ხელი. პედაგოგიურ სამსახურში შესვლის მსურველებმა გამოცდა უნდა ჩააბარონ საზოგადოებათა მეცნიერებაში, ბუნებისმეტყველებაში, ქართულ და რუსულ ენებში. გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოდან.

თბილისის ყველა შრომის სკოლებსა და ყველა საშუალო სასწავლებლებში სამოსწავლო წელი დაიწყება 16 სექტემბრიდან. გამოცდები კი სექტემბრის დამდეგიდან განათლების განყოფილების მიერ დამზადებულ ცირკულიარის თანახმად მასწავლებლები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სასწავლებელში 5 სექტემბრისათვის.

◆

სასოფ. სამ. სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

მეორე სხდომა

საქართველოს სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები

(ამხ. ხოფერიას მოხსენება)

მომხსენებელმა ვრცელი ანალიზი გაუკეთა სასოფლო-მეურნეობის ყველა-დარგების მდგომარეობას საქართველოში და მოიყვანა სტატისტიკური ცნობები სასოფლო-მეურნეობის ზრდის შესახებ წარსულ წლებთან შედარებით.

ამხ. ხოფერია აცნობს კონფერენციას სასოფლო-სამეურნეო მუშაობის მორიგ ამოცანებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასწავლებლებმა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: **ლეჟავამ, მიქაძემ, ჭუმბურიძემ** და **ტყეშელაშვილმა.**

მოხსენების გარშემო მისაღებ რეზოლუციის რედაქციის გამომუშავება კონფერენციამ დაავალა სპეციალურ კომისიას.

მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობა

(ამხ ბიბილაშვილის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით, საქართველოში ვენახების სივრცე უდრის 25.000 დესეტინას და იძლევა დაახლოებით 5.000.000 ვედრო ღვინოს.

10.000 დესეტინაზე მოდის 40% საუკეთესო პირველხარისხოვანი ღვინო, 10.000 დეს-ზე 35% კარგი ღვინო, ხოლო 5.000 დ-ზე 20%-ტი ჩვეულებრივი სასმელი ღვინო. საერთო ღირებულება 5.000.000 ვედრო ღვინისა უდრის—15.750.000 მანეთს.

შემდეგ მომხსენებელმა დაწვრილებით შეეხო მევენახეობის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობაში.

მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მიმდინარე წელს ნოსირის სანერგეში იქნება გაშენებული ვაზის ახალი ნერგები.

ვაზის ახალი სანერგეების მოწყობა აუცილებელია აგრეთვე აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა 4.000.000 მან. სესხი მევენახობა-მეღვინეობის საქმის გასაფართოებლად საქართველოში.

მოხსენების გარშემო კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

საბინაო მშენებლობა

თბილისის საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობების მიერ აშენებულია ქალაქის სხვადასხვა რაიონებში, უმთავრესად განაპირა უბნებში (ვაკე, ნაძალადევი, ლენინის რაიონი და სხვ.) მთელი რიგი მუშათა სახლები. ამ ამხანაგობათა წევრები ჩასახლდენ უკვე 60 ბინაში. უმთავრესი ნაწილი ახლად აშენებულ სახლებისა ორ ბინიანია. მომავალში განზრახულია მრავალბინიანი სახლების აშენება, რაც გაცილებით უფრო იაფი დაჯდება.

საბინაო კოოპერაცია

თბილისის აღმასკომსა და ადგილობრივ საბინაო კოოპერაციას შორის დადებულია შეთანხმება იმ სახლების საიჯარო ვადის შესახებ, რომლებიც ქალაქის აღმასკომმა გადასცა საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებს. ასეთი სახლების რიცხვი უდრის 200. იჯარის ვადით თითოეულ ამხანაგობისათვის მიღებულია ხუთი წელიწადი. ძალაშია დარჩენილი აღმასკომის პირობა, რომ საბინაო ამხანაგობებმა მის განკარგულებაში დასტოვონ 10%-ანი ნატურალური საბინაო ფონდი. საიჯარო ქირა უდრის თითეული სახლის შეფასების 1%.

სესხი საბინაო ამხანაგობებს

თბილისის კომუნალურმა ბანკმა გადასდო 150.000 მანეთი თბილისის კოოპერატიულ საბინაო ამხანაგობებისათვის მათი სახლების რემონტისათვის.

პროფკავშირებში

სატარიფო თათბირი

მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილება იწვევს რესპუბლიკანურ სატარიფო თათბირს.

მთავარი საკითხი, რომელიც განხილული უნდა იქნეს თათბირზე არის საკითხი კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახალი დადების საშემოდგომო კამპანიის ჩატარების შესახებ. სატარიფო-ეკონომიური განყოფილება ამზადებს ამ საკითხის ირგვლივ საჭირო მასალებს ხელფასის მდგომარეობის შესახებ. ამ მასალების მიხედვით თათბირმა უნდა მისცეს პროფესიონალურ კავშირებს დირექტივა იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნილებები უნდა იქნეს წაყენებული ხელფასის მხრივ კოლხელშეკრულებათა გადასინჯვის დროს.

თათბირი იქონიებს აგრეთვე მსჯელობას საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ, რომ გამომუშავებული იქნეს ამ მუშაობის გაცხოველებისათვის და დეფექტების თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობას საკონცესიო წარმოებაში. ეს საკითხიც სდგას თათბირის დღის წესრიგში.

სასტიკი ბრძოლა შრომის დეზერტირების წინააღმდეგ

სიმულიაციას, (შრომის დეზერტირობას) რომ ზარალი მოაქვს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის—ეს დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. სიმულიაცია ძირს სცემს ჩვენს წარმოებებში და დაწესებულებებში შრომის ნაყოფიერების ზრდას, ხელს უშლის ჩვენს წარმოებებში შრომის ნორმალურ მსვლელობას და ქმნის მრავალ გაუგებრობას. საბჭოთა ხელისუფლებამ დროზე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და ჩატარებულ იქნა პროფორგანიზაციების ფართე მასებში კამპანია სიმულიაციის აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ღონისძიებები იყო გამოყენებული სიმულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველად მაინც აქა-იქა ჩვენ წარმოება-დაწესებულებებში კიდევ აქვს ადგილი სიმულიაციას. კიდევ მოიპოებიან აქა-იქ ბოროტი ელემენტები, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას არარად უყურებენ და გაურბიან მის ზრდას. არ შეგვიძლია არ უარვყოთ ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში, რომ ცოტა ბრალი ამ შემთხვევაში ჩვენ ზოგიერთ ექიმებს არ დაესდოთ რომელნიც გულგრილად ეკიდებიან ამ საკითხს განსაკუთრებით სიმულიაცია გაძლიერებული ელფერით გვევლინება გაზაფხულის პერიოდში. მაშინ, როდესაც იწყება სიცხეები, ყველას უნდა წავიდეს საგარაკოთ, არის ის ავადმყოფი თუ არა.

საჭიროა შევაგნებინოთ ყველას, რომ ამით ჯერ ისინი სცემენ ჩვენ წარმოებებში შრომის ნაყოფიერების ზრდას და მეორე მხრივ ზედმეტ ბარგად აწვებიან ისინი დამზღვევ სალაროს, რომელსაც გარდა ამისა, მრავალი უმუშევრები ყავს დასაკმაყოფილებელი.

ჩემის აზრით, საჭირო იქნება ამ საკითხზე ერთხელ კიდევ ჩატარებული იქნას კამპანია მუშკომების და ადგილკომების მიერ მუშა-მოსამსახურეთა ფართე მასაში, რომ ნათელ იქნას ყველასათვის. თუ რა ბოროტებას ქმნის მუშურ გლეხურ სახელმწიფოში სიმულიანტი, რომელიც გვევლინება, როგორც შრომის დეზერტირი.

ლიხაშხოელი.

ქიმიკოსთა კავშირში

საქ. ქიმიკოსთა პროფკავშირის ცენ. გამგეობის უკანასკნელი სხდომა შესდგა 5 აგვისტოს. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ამხ. არაქელოვის მიერ ბათომში და ბორჯომში ჩატარებულ მუშაობის შესახებ, 2) პროვინციაში ს.-შ. კომისიების მუშაობის გამოკვლევა, 3) კულტმუშაობის გეგმის ცვლილება, 4) კავშირის სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, 5) მუშათა კლუბის აშენება და 6) მიმდინარე საკითხები.

ცენ.-გამგეობის დადგენილებით ამხ. არაქელოვი გაემგზავრა ბათომში და ბორჯომში საკავშირო მუშაობისათვის, სადაც მოწვეულ იყო საერთო კრებები, რომლებზედაც მოსმინეს ფ. ქ. კ. და ც.-გამგეობის ანგარიშები. ც.-გამგეობის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და გამოტანილ იქნა ზოგიერთი წინადადებები მომავალ მუშაობისათვის. ფ. ქ. კ. მის კომისიას მუშაობისათვის ინსტრუქციის მისაცემად მოწვეული იყო ფ. ქ. კ. მე-4—პლენუმი, რომელზედაც დაისვა საკითხები საწარმოო კომისიების ახალ დებულების შესახებ, უმუშევართა დახმარებაზე და სხვ.

ც.-გამგეობამ მოიწონა ამხ. არაქელოვის მიერ ჩატარებული მუშაობა ბათომში და ბორჯომში. სხდომამ აღნიშნა რა, ბორჯომის მინის ქარხკომის სუსტი მუშაობა დაადგინა:—6 თვის გასვლის შემდეგ დაისვას გენერალური ანგარიში და ქარხკომის გადარჩევის საკითხი.

პროვინციაში ს.-შ. კომისიების მუშაობის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ დასახელებული კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სხდომამ წარდგენილი დასკვნები კომისიების მუშაობის შესახებ და დაადგინა გადაიგზავნოს ადგილებზე სახელმძღვანელოდ.

სამუშაოების გეგმა და ხარჯ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა.

ც.-გამგეობამ კლუბის აშენება მიზანშეწონილად ჩასთვალა.

კულტმუშაობის გეგმის ცვლილების შესახებ სხდომამ მიიღო ს. პ. ქ. ს. შენიშვნა და დაამტკიცა დამატებითი გეგმა.

კავშირის ბიბლიოთეკის წესიერად დაყენების მიზნით სხდომამ გადასდო 100 მ. ქართულ და სომხურ წიგნების შესაძენად.

ც.-გამგეობის სხდომამ დაადგინა აგრეთვე აღიძრას შუამდგომლობა ს. პ. ქ. ს. სატარიფო-საეკონომიო განყოფილების წინაშე ორთაჭალის რაიონში აფთიაქის დატოვების შესახებ.

ქ. შ.

პროფკავშირების ქრონიკა

აღმშენებელთა კავშირში

— **სამარკო წესი.** აღმშენებელთა კავშირის ცენტრ. გამგეობის დადგენილებით, პირველ აგვისტოდან შემოღებულია საწევრო ანარიცხების აკრეფა მარკების საშუალებით.

— **წარმომადგენელი საგეგმო კომისიაში.** აღმშენებელ მუშათა კავშირის ცენტრ. გამგეობამ საქ. საგეგმო კომისიაში თავის წარმომადგენლად ამხ. ლ. აგლაძე მიავლინა, მის მოადგილედ—ამხ. სულავა.

— **ქუთაისის განყოფილების მოხსენება.** აღმშენებელთა კავშირის ცენტ. გამგეობამ მოისმინა ქუთაისის სამაზრო განყოფილების თავმჯდომარის ამხ. **გიგაურის** მოხსენება მუშაობის შესახებ. ცენტრ. გამგეობამ აღნიშნა მიღწევები ორგანიზაციულსა და კულტურულ დარგებში. ამავე დროს აღნიშნული იქნა სისუსტე ხელქვეით უჯრედების ხელმძღვანელობის საქმეში. მუშაობა საერთოდ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

სამთამადნო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში

— **საფინანსო ანგარიშების საწარმოებლად.** სამთამადნო მუშაკთა კავშირის ც.-გ. წინადადება მისცა ადგილკომებს, საფინანსო ანგარიშები აწარმოონ სამთვიური ჟურნალების მიხედვით.

— **ლექციების მოსაწყობად.** სამთამადნო მუშაკთა კავშირის ც.-გ. მოისმინა ინჟენერ ტეხნიკოსთა ბიუროს წარმომადგენლის ამხ. **თოფაძის** მოხსენება ლექციების მოწყობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მუშები დაინტერესებულნი არიან ლექცია-საუბრებით და ინჟ. ტეხნ. სექციის ბიურო ამ საქმეს მოაწყობსო.

კავშირმა დაავალა ყველა ქარხნებისა და მაღაროების კომიტეტებს მიიღონ ზომები ლექციების მოსაწყობად.

— **თბილისის ქვე-რაიკომის დაარსების საკითხი.** სამთამადნო კავშირის ცენტრ.-გამგეობამ იმსჯელა თბილისის ქვე-რაიკომის დაარსების შესახებ. გამგეობამ საჭიროდ სცნო ქვე-რაიკომის დაარსება, საკითხი საბოლოოდ დასამტკიცებლად გადატანილი იქნა კავშირის მორიგ პლენუმზე.

— **მომჭირნეობის რეჟიმის გატარება.** სამთამადნო კავშირის ცენტრ. გამგეობამ გაატარა მომჭირნეობის რეჟიმი.

— **უმუშევართა დასახმარებლად.** კავშირმა 581 მან. გადასდვა უმუშევარ წევრების დასახმარებლად.

— **მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ განყოფილების თანამშრომელთა გადარიცხვა.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ც. გამგეობამ მიმართა სამთამადნო მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობას მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ განყოფილების თანამშრომელთა მათ კავშირში გადარიცხვის შესახებ. სამთამადნო კავშირის ცენტრ. გამგეობა ამ მიმართვას დაეთანხმა.

დუშეთის სამპროფბიუროში

— **კავშირის საწევრო ანარიცხების დავალიანება.** დუშეთის მაზრაში არსებულ კავშირის ზოგიერთ წევრებს დიდი ხანია არ შემოუტანიათ საწევრო გადასახადი. დუშეთის სამპროფბიურომ დაავალა ადგილობრივ კავშირების სამაზრო განყოფილებებს მიიღონ ზომები საწევრო გადასახადის დავალიანების ალსაკვეთად, თუ ისინი საწევრო გადასახადს არ შემოიტანენ, გარიცხული იქნან კავშირიდან.

— **კინო-აპარატი დუშეთის პროფკავშირებისათვის.** დუშეთის სამპროფბიურომ ადგილობრივი კავშირებისათვის შეიძინა კინო-აპარატი. ფასები კინო-სეანსებზე შემდეგია: კავშირის წევრთათვის—30 კაპ., ბავშვებისათვის—20 კაპ. არა კავშირის წევრთათვის—40 კ. პირველი სეანსიდან შემოსულ თანხის ნახევარი გადადებული იქნა ინგლისში გაფიცულ მუშების დასახმარებლად.

ამიერ.-კავკ. ცაკში

ზომები უკანონო ზომა-წონის ხმარების წინააღმდეგ

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცაკებს ერთი თვის ვადაში სისხლის სამართლის კანონთა კოდექსში შეიტანონ სოციალური დაცვის ზომები უკანონო წონა-ზომის ხმარების წინააღმდეგ.

გლეხობის დავალიანების დასაფარავად

გლეხობაზე გაცემულ სათესლე სესხის თავის დროზე დაფარვის მიზნით. ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სახელმწიფო სათესლე სესხის გადაუხდელობისათვის ქონების (გარდა კარმიდამოსი) აწერა და გაყიდვა ხდება თემის და დაბის ალმასკომის დადგენილებით.

ასეთი დადგენილება თემის და დაბის ალმასკომმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამაზრო ალმასკომს და, თუ ამ უკანასკნელის მხრივ 10 დღის განმავლობაში დადგენილება უარყოფილ არ იქნა, იგი სისრულეში უნდა მოვიდეს.

რკინის-გზის სადგური ზუგდიდთან

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა ქ. ზუგდიდის ეკონომიური ცხოვრების განსავითარებლად აუცილებლად სცნო შავი ზღვის რკინის-გზის ხაზის ამ ქალაქთან მიახლოვება.

საქ. ცაკში წარდგენილ ორი ვარიანტიდგან ამიერ-კავკასიის ცაკმა მოიწონა ვარიანტი, რომლის მიხედვით რკინის-გზის სადგურის აგება განზრახულია ზუგდიდიდან ორ ვერს ნახევრის დაშორებით ახალ-სენაკის გზა-ტკეცილზე.

ამ საკითხის შესახებ ა.-კ. ცაკის მიერ სათანადო შუამდგომლობა არის აღძრული საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე.

ახალი პრეპარატი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფთიაქის პროვიზორმა რომან ანდრონიკაშვილმა გამოიგონა პრეპარატი, რომელიც შეზავებულია ნოვოკაინის და სუპრარენინისაგან.

ანდრონიკაშვილის მიერ გამოგონილი პრეპარატი იხმარება კბილის ამოღებისას ტკივილების მოსასპობლად.

ეს პრეპარატი არის ყოველმხრივ შემოწმებული და ნაცადი ჯერ ფიზიოლოგიურად ცხოველებზე, ბაყაყებზე და კურდღლის ბაჭიებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიურ ლაბორატორიაში პროფ. მოსეშვილის მიერ და შემდეგ კლინიკიურათ გამოცდილი ავადმყოფებზე თბ. სახ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში ექ. ვ. ჭიჭინაძის მიერ. აღნიშნული ცდებიდან და დაკვირვებიდან გამოირკვა, რომ ნოვოკაინის და სუპრარენინის ხსნარს აქვს დიდი მნიშვნელობა კბილის სნეულებათა პრაქტიკაში. გამოირკვა, რომ ადგილობრივად დამზადებულ პრეპარატებთან შედარებით თავისი ღირსებით ანდრონიკაშვილის მიერ გამოგონილი პრეპარატი გაცილებით უფრო მაღლა სდგას.

ქიმიური ანალიზს დროს გამოირკვა, რომ ფარმაკოლოგიურად პრეპარატი დასახულ მიზანს აღწევს.

ჯანსახკომთან არსებულ სამედიცინო-სამეცნიერო საბჭოს მიერ ანდრონიკაშვილის პრეპარატი მოწონებულია.

სათანადო ორგანოების მიერ ანდრონიკაშვილს ნება მიეცა დაარსოს შესაფერი ლაბორატორია და დაამზადოს ეს პრეპარატები.

მოიჯარადრეები და სოც.-დაზღვევა

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებამ გადასწყვიტა აღძრას უმაღლეს ორგანოების წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ გამოცემული იქნეს დადგენილება, რომლის ძალით ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს აეკრძალება მოიჯარადრისათვის ბეს უკან დაბრუნება, თუ მასზე ირიცხება სოციალური დაზღვევის ანარიცხების დავალიანება.

ხელფასის მხრივ ეს საკითხი უკვე დადებითად არის გადაჭრილი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გამოაქვეყნა დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ მოიჯარადრეებთან საბოლოო ანგარიშის გასწორება უნდა ხდებოდეს მხოლოთ მაშინ, როდესაც მოიჯარადრე წარმოადგენს ოფიციალურ საბუთს იმისას, რომ მან მთლიანათ გაუსწორა მუშებს ანგარიში.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. თელავში გაარჩია დარჩო მღებრიშვილის საქმე.

მღებრიშვილს ბრალდებოდა თავისი ცოლის მოკვლა.

1925 წ. აპრილის თვეში მღებრიშვილმა ცოლათ შეირთო კეკე სოლომონიშვილი, რომელსაც პირველი ქმრის სიკვდილის შემდეგ დარჩა საკმაოდ დიდი ქონება. მღებრიშვილი მიუხედავათ კეკეს თხოვნისა, 5 თვის განმავლობაში არ ტარდებოდა რეგისტრაციაში, ცოლის ქონებას ჰყიდდა და საერთოდ ქალს ცუდათ ეპყრობოდა. ბრალდებულის მშობლები შვილს უნერგავდნენ ცოლის სიძულვილს და ხშირად მიმართავდენ მას:—„კეკე სოლომონიშვილი ცუდი ქალია, ის ბებერია და დარჩოს უკეთესი ცოლი შეირთოს". ამის შემდეგ ბრალდებულმა განიზრახა ცოლის მოკვლა; მან გასული წლის სექტემბრის თვეში, გაიტყუა კეკე სოფ. ტურის ციხეში და თავისი მხეცური განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ სოფ. ტურის ციხეში, მას დახვდენ ყაჩაღები და მისი ცოლი მოჰკლეს, ხოლო მან თვითონ მოახერხა ყაჩაღების ხელიდან გაქცევა.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებული ყურადღებას არ აქცევდა ოჯახის საჭიროებებს და საერთოდ ცოლთან ცუდ განწყობილებაში იმყოფებოდა. გამოირკვა, რომ მღებრიშვილმა მკვლელობა ჩაიდინა ცოლის ყოფილი ქმრის ქონების დასაკუთრების მიზნით.

სასამართლოს კვლევა - ძიებით გამოირკვა, რომ კეკე სოლომონიშვილი იქნა მოკლული არა ყაჩაღების, — არამედ თვით მღებრიშვილის მიერ.

სასამართლომ ბრალდებულ მღებრიშვილს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ბოროტმოქმედება ა.-კ. რკინისგზების ელექტრო. ტექნიკურ საწყობებში

გატაცებულია და გაფლანგული რამოდენიმე ასეული ათასი მანეთის ღირებულების ქონება.

სატრანსპორტო - საგზაო საგანგებო კომისიამ ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრა.

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ა.-კ. რკინის გზების სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირის და ელექტრო-ტექნიკის დარგის საწყობიდან სისტემატიურათ ხდებოდა სხვადასხვა ხელსაწყოების და მასალების ნამალევათ გატანა. „დაკარგულ" ხელსაწყოების და მასალების სია იმდენად ვრცელია, რომ მისი მოყვანა შეუძლებელია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საწყობიდან გადამალული იქნა 3.000 ლამპის ბადე, 299 ელექტრონის ლამპა, 730 მეტრი ელექტრონის მავთული, 230 მეტრი ზონარი, 75 ფუთი წმინდა სპილენძი, რამოდენიმე ათეული ფუთი მინა, 15 ფუთი ცინკი, ფოლადი, ზეთი, საათები, ხე-ტყის მასალა და სხვ. გატაცებული ქონების ღირებულება რამოდენიმე ასიათას მანეთს შეადგენს.

სახალხო ქონების გაფლანგვაში ღებულობდენ მონაწილეობას ელექტრო-ტექნიკის სახელოსნოების და მისი საწყობის ადმინისტრაცია: სახელოსნოების უფროსი—ვას. **ტყეშელაშვილი**; საწყობის ყოფილი გამგე ვას. **მარტიშჩენკო**; საწყობის უკანასკნელი გამგე—სერ. **კლიმიაშვილი**; საწყობის მუშა **დ. გუგუშაძე**, მონტიორი **ნესტორ ლეჟავა**. ამათ „ეხმარებოდენ"—მუშა **მამედ-ოღლი-რაზგო**; მკალავი მუშა **მამედ-ოღლი**, სპეციალისტი ტყვიის და სპილენძის გადადნობის საქმეში; ვაჭრები—**ტიმოფეევი და ლოლაძე.**

ყველაზე მეტი „ღვაწლი" ამ „საგმირო" საქმეში მიუძღვის კლიმიაშვილს და მარტიშჩენკოს „კომბინაციი" კეთდებოდა ოსტატურათ. საწყობის გამგე ადგენდა მოთხოვნილებას სხვადასხვა მასალებზე და ხელსაწყოების შესახებ. ამ მოთხოვნილებებს ადასტურებდა სახელოსნოების უფროსი **ტყეშელაშვილი.**

საწყობის გამგე მუშების თანხლებით მიდიოდა მთავარ საწყობში, გამოჰქონდა იქიდან მასალები და ხელსაწყოები და მიჰქონდა... არა საწყობში, არამედ გუგუშაძის და ლეჟავას ბინაზე, სადაც იყო მოწყობილი ნაქურდალის საწყობები. საქონლის ნაწილი „ინახებოდა" მარტიშჩენკოსთან, რომელმაც უკანასკნელ ხანებში, იგრძნო რა საფრთხე, გადაიტანა იგი სპეციალურათ არჩეულ კერძო ბინაზე.

აღსანიშნავია. რომ მუშაობის დროს ეს კამპანია განგებ ასტეხავდა ხოლმე ჩხუბს, რათა დაენახვებიათ გარეშე ხალხისათვის, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან. მაგრამ მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველანი იყრიდენ თავს ქალაქ გარეთ, უფრო ხშირად, თეთრ დუქანში, სადაც „ისვენებდენ".

რის შეძმასაც ვერ ახერხებდენ, იმას ანდომებდენ თავიანთ „ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას". მაგალითად, კლიმიაშვილმა კაპიტალური რემონტი გაუკეთა თავის საკუთარ სახლს, ასევე მოიქცა ტყეშელაშვილიც.

რამოდენიმეჯერ მოხდა საწყობის რევიზია, მაგრამ ბოროტმოქმედება ვერ აღმოაჩინეს. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ტიმოფეევი და ლოლაძე, რომლებიც ყიდულობდენ ნაქურდალ მასალებს, ხშირათ ახერხებდენ ამ მასალების ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს მატერიალურ დარგში გასაღებას.

ა.-კ საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიამ მთელი ბოროტება გამოამჟღავნა და ბოროტმოქმედნი დატუსაღებულნი არიან. გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა საქონელი მხოლოთ 20.000 მანეთის ღირებულებისა.

ქრონიკა

თბ. ალმასკომში

— **შვიდწლედების გადაკეთება.** ალმასკომმა დაადგინა 1926—27 სასწავლო წლისათვის მაზრის შვიდწლედები გადააკეთოს პროფსკოლებათ.

— **კომისიის დაარსება.** ალმასკომთან დაარსდა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დაათვალიეროს და დააწესოს ალმასკომის ყველა დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატები და სადაც ეს შესაძლებელი იქნება, საქმისათვის ზიანის მიუყენებლად, მოახდინოს შტატების შემცირება.

— **ცეცხლის მქრობელი რაზმები.** დღემდე თბილისში არსებობდა სამი ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა რაიონებში, ეხლა განზრახულია დაარსდეს მეოთხე ცეცხლის მქრობელი რაზმი.

— **ტრამვაის ხაზი.** უკვე დაიწყო მუშაობა და სექტემბრისათვის დამთავრდება ტრამვაის ახალი ხაზი, რომელიც გაივლის ახლად გაფართოებულ შუა ბაზრის ქუჩიდან აბანოებამდე და იქიდან შეუერთდება ორთაჭალის ხაზს.

— **მასწავლებელთა საყურადღებოთ.** ალმასკომის განათლების განყოფილებამ აცნობა ყველა მის ქვემდებარე სასწავლებელთა მასწავლებლებს, რომ უკანასკნელნი უნდა გამოცხადდენ ადგილებზე არა უგვიანეს 5 სექტემბრისა.

— **სპეციალური წიგნი.** ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველო სცემს სპეციალურ წიგნს, რომელშიაც განმარტებული იქნება ბინის საკითხები, ახალი საბინაო ტარიფის ცხოვრებაში გატარების გასაადვილებლად.

ჯანსახკომში

— **შუამდგომლობა.** კურორტების სამმართველომ აღძრა შუამდგომლობა, რომ კურორტების სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმე გადაეცეს მას, ვინაიდან კურორტებზე კოოპერატივების ქსელი ვერ არის სათანადოთ ძლიერი.

— **20 აგვისტოსთვის** სავსებით დამთავრდება ბორჯომის წყალით სამკურნალოს მოწყობა, ნაწილობრივ სამკურნალო ეხლაც მუშაობს.

სხვადასხვა

— **სანოვაგის ფასები.** ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ განყოფილების ცნობით, 1 აგვისტოდან თბილისში სოფლის ნაწარმოებ სურსათ-სანოვაგეზე ფასები დაკლებულია 4 პროცენტით და ქალაქისაზე 2 პროცენტით.

— **მასალების შემოტანა.** საქართველოში ახალ საწარმო დაწესებულებათა ასაშენებლად 1926—27 წ. შემოტანილი იქნება 5.745.613 მან. სხვადასხვა მასალები.

— **ბილეთების ხელზე გაყიდვის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა კომისარიატი ამუშავებს დადგენილებას, რომლითაც აკრძალული იქნება სხვადასხვა გასართობებზე დასასწრებლად თეატრის ბილეთების ხელზე გაყიდვა.

ხელოვნება

— **სალიტერატურო საღამო.** კვირას, 15 აგვისტოს კოჯორში გაიმართება სალიტერატურო საღამო ია ეკალაძის, გ. ქუჩიშვილის, გ. ტაბიძის, გრ. ცეცხლაძის, ლ. მაჟავარიანის და სხვათა მონაწილეობით.

— **ჭადრაკი მუშათა კლუბებში.** საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა ახალი დებულება მუშათა კლუბებში ჭადრაკის თამაშის შესახებ.

შემთხვევები

წიგნების იძულებით გავრცელებისათვის

მილიციამ აღმოაჩინა, რომ მოქ. თ. ჩიქვანაია აწარმოებდა წიგნების იძულებითი გაყიდვას, რის შესახებაც შედგენილი იქნა ოქმი და საქმე გადაეცა 2-ე უბნის სახალხო მოსამართლეს.

ქურდების აღმოჩენა

მაისის შუა რიცხვებში სად. თბილისის საწყობიდან დაიკარგა 2 შეკვრა ფართლეულობა. დაზარალებულმა სასამართლოს წესით აიღო ა.-კ. რკინის გზების სამმართველოდან ფართლეულობის ღირებულება 712 მანეთი. ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

ასეთივე შემთხვევას ქონდა ადგილი 2 აგვისტოს. დაიკარგა ისევ ორი შეკვრა ფართლეულობა. ა.-კ. სატრანსპორტო-საგზაო საგანგებო კომისიამ სასწრაფოთ მოახდინა კვლევა-ძიება და ქურდები—მტვირთავები—ჰ. რამიშვილი, ა. გაგიბერიძე, ვ. გეგეჭკორი და კეშელავა—აღმოჩენილ და დატუსაღებული იქნენ.

მათ ყალბი დოკუმენტებით მოუხერხებიათ აღნიშნულ ფართლეულობის საწყობიდან გატანა.

— **ბინის გაქურდვა.** 12 აგვისტოს ფანჯრის მინის გატეხის საშუალებით გაქურდეს ვ. ქართველიშვილის ბინა (წყნეთის ქ., № 13), საიდანაც წაღებულია 200 მან. სხვადასხვა ნივთები.

— **ქურდობა.** 12 აგვისტოს გაქურდულია თეატრის შესახვევში № 5-ში მცხოვრები ა. ლალიაიანცის ბინა საიდანაც წაღებულია სხვადასხვა სადალაქო ხელსაწყოები.

— **205 მან. ამოცლა ჯიბიდან.** 12 აგვისტოს პუშკინის ქუჩაზე მიმავალი ი. ვსინეცს, ჯიბიდან ამოაცალეს 205 მან., ჯიბგირი არამ დალტიანცი შეპყრობილ იქნა ეჭვით.

— **სადგინოს გაქურდვა.** დ. ცატუროვის სადგინოდან (ბატარეის ქ. № 6) ფიცრის გამოგლეჯის საშუალებით მოპარულია ცხენების სხვადასხვა მოსართავები 28 მან. ღირებულების.

— **თავის დაჭრა.** სართიჭალაში რძის ქარხნის გამგემ ა. ჩაპონცკიმ თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა სამართებლით. თავის მოკვლა ჩაპონცკის იმიტომ განუზრახავს, რომ ქარხნის ფულები გაუფლანგავს.

რკინიგზიდან

დამატებითი მატარებელი

შაბათს, 14 აგვისტოს, საღამოს 5 ს. 15 წ. თბილისიდან ბათომში გავა დამატებითი სამგზავრო მატარებელი.

დისციპლინის სადარაჯოზე

ივლისის განმავლობაში ა. კ. რკინისგზების სამმართველომ დაადება დისციპლინარულ-ადმინისტრატიული სასჯელი რკინისგზების 125 აგენტს.

მადლობა ხიფათის აცილებისათვის

ა. კ. რკინისგზების სამმართველოს ბრძანებით მადლობა გამოეცხადა სად. შორაპნის საყუდის შემანქანეებს კანდელაკს და კვირიკაძეს. იმისათვის, რომ მათ 20 აპრილს სად. სალიეთში ხიფათს გადაარჩინეს მატარებელი № 253, რომელიც შეცდომით მიღებული იქნა მატარებელ № 24 მიერ დაკავებულ ხაზზე.

ჯულფა-ბაქოს გზაზე

ჯულფა-ბაქოს გზაზე სამგზავრო მიმოსვლის გაცხოველების გამო, ამ გზის სამმართველომ აღძრა ა. კ. რკინისგზების სამმართველოს წინაშე შუამდგომლობა, რათა მას დაეთმოს დამატებით ხუთი დახურული [illegible].

ტელეფონის ქსელი

ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველომ შეუდგა ტელეფონის ქსელის გაყვანას სამხ. ოსეთში. პირველ რიგში მოწყობილი იქნება ქალაქის ტელეფონის ქსელი სამხ. ოსეთის ცენტრში ქ. ცხინვალში. ცხინვალიდან რადიუსებით გაყვანილი იქნება ტელეფონის მოკლე ქსელი. სატელეფონო კავშირი ცხინვალსა და გორს შორის ეწყობა ორ მავთულიან სისტემაზე.

ცხინვალში სატელეფონო ქსელის მოსაწყობათ ცხინვალის ქალაქის ალმასკომმა დაუთმო უფასოთ ვიწრო რკინის გზის რელსები. ტელეფონები სამხრეთ-ოსეთში დადგმული იქნება ალმასკომებში.

კინო-სურათები

მუშათა კლუბებისათვის

საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა კავშირების ცენტრ. გამგეობებს და საქართველოს ყველა კლუბიის გამგეობებს, მუშათა კლუბებისთვის შეარჩიონ ისეთი სურათები, რომლებიც იდეურად მისაღები იქნება მუშებისათვის. პროფსაბჭო იმუშავებს და ამ დღეებში დაგზავნის ადგილებზე ასეთი კინო-სურათების სიას.

პროფსაბჭო წინადადებას იძლევა აგრეთვე შეამცირონ მინიმუმამდე აფიშების და პლაკატების რიცხვი. ამის მაგივრად კლუბის გამგეობა აცნობებს მასებს ახალი სურათების შესახებ სამრეწველო დაწესებულებებში და კლუბის შიგნით და გარეთ—პლაკატების გაკვრით.

რაც შეეხება კლუბებში შესასვლელ ფასებს, პროფსაბჭო წინადადებას იძლევა, აუცილებლად გადასინჯულ იქნეს ფასები. შესავალი მაქსიმალური ფასი წევრებისათვის უნდა განისაზღვროს 15 კაპეიკით. პროფკავშირთა წევრებისათვის 25 კაპეიკით. გარეშე ხალხი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან მუშათა კინოებში.

პროფსაბჭო წინადადებას აძლევს კლუბების ადმინისტრაციას ნუ გამოიკიდებენ მაინც და მაინც საზღვარ-გარეთის სურათებს და ნუ დასტოვებენ უყურადღებოდ საბჭოთა კინო-მრეწველობისა და სხვა იდეოლოგიურად მისაღებ სურათებს.

მუშა ხელის მომზადება

სახ მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: ვინაიდან ს. მ. უ. ს. ტრესტები დიდათ არიან დაინტერესებულნი მუშახელის მომზადებაში, პრინციპიალურად ცნობილ იქნას, რომ უმაღლეს პროფტექნიკურ განათლების ფონდში შესატანი ანარიცხები მოხმარდეს აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს და პროფტექნიკურ კურსების მოწყობას.

პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია ამხ. ერზინკიანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს ტრესტების მიერ უმაღლეს პროფტექნიკურ ფონდში შესატან თანხების რაოდენობა და აგრეთვე ისიც, თუ რომელი ტრესტი უნდა იქნეს განთავისუფლებული აღნიშნულ გადასახადისაგან.

ტრამვაის ახალი ხაზი

წინასწარი მუშაობა ტრამვაის ხაზის გასაყვანად შუა ბაზრის ქუჩაზე უკვე დამთავრდა. თავისუფლების მოედნიდან დაწყებული თათრის მოედნამდე ქუჩა გაფართოებულია. ქუჩამ მიიღო ევროპიული სახე. პუშკინის ქუჩის და შუაბაზრის ქუჩის კუთხეში მდებარე დიდი სახლის წინანდელი ფასადი სრულიად აღებულ იქნა და ამჟამად სახლს აქვს ქართულ სტილზე აგებული ფასადი. მთელი ქუჩის გასწვრივ აგებულ იქნა უმთავრესად ორსართულიანი კოხტა სახლები, რომელთაც სრულიად გამოსცვალეს ქუჩის სახე. წინასწარი მუშაობის დამთავრების შემდეგ ტრამვაის სამმართველო შეუდგა მუშაობას ტრამვაის ხაზის გასაყვანად. სამუშაო ადგილზე უკვე მოტანილია რელსები და სხვა საამშენებლო მასალა.

მუშაობა ხაზის გასაყვანად დამთავრდება ორი კვირის განმავლობაში.

არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განხორციელებული იქნება თბილისის დიდი ხნის წადილი: ქალაქის განაპირა უბნები—ავლაბარი და ორთაჭალა უმოკლესი ტრამვაის ხაზით დაუკავშირდება ქალაქის შუა გულს.

ბრძოლა ხანძართან

ფოსტა - ტელეგრაფის სამმართველოს მიერ გადადებულია ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობის შესაძენათ 5.580 მანეთი სომხეთისათვის, 30.555 მან. საქართველოსათვის და 56.760 მან. ადირბეიჯანისათვის.

საშენაწერო დაზღვევა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, 1926—27 საოპერაციო წლიდან შემოღებული იქნება სასოფლო სამეურნეო კულტურების სავალდებულო საშენაწერო დაზღვევა სეტყვისაგან დავალებისა საშენაწერო დაზღვევა შემოღებული იქნება მთელ აღმოსავლეთ-საქართველოში (ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, გორის, თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში) და სამხრეთ ოსეთში.

სამეცნიერო გამოკვლევითი მუშაობა

საკავშირო საგეგმო კომისიის წინადადებით საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა გამოიმუშავა და საკავშირო საგეგმო კომისიას წარუდგინა სამეცნიერო კვლევა ძიების გეგმა უახლოესი სამი წლის განმავლობაში. გეგმის მიხედვით საქართველოს განათლების კომისარიატმა სამეცნიერო გამოკვლევითი მუშაობისათვის გამოითხოვა 388.500 მანეთი.

სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს დაწესებულებისათვის გამოთხოვილია—156.000 მანეთი, უმაღლეს სასწავლებლისა და მუშფაკებისათვის—825.000 მანეთი; სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დაწესებულებებისათვის — 70.000 მანეთი.

მეცნიერება და ტექნიკა

საავტომობილო გზა ოკეანეზე

დაიწყო აშენება ერთ-ერთი უდიდესი გზის. გაივლის 180 ვერსის მანძილზე ატლანტის ოკეანეზე. ამ გზის მიზანია მანძილის შემოკლება შეერთებული შტატებიდან ფლორიდით კუნძულ კუბაზე.

ფლორიდის ნახევარ-კუნძულიდან სამხრეთით, ატლანტის ოკეანესა და მექსიკის ყურეს შუა გაფანტულია პატარა კუნძულები. ეს კუნძულები შეერთებული იქნება ხიდებით, რომლებზეც გაივლის საავტომობილო გზა.

საავტომობილო გზის გაყვანის დამთავრება განზრახულია 2½ წლის განმავლობაში. ზოგ ადგილას მანძილი კუნძულებს შორის იმდენათ დიდია, რომ ავტომობილში მჯდომი ვერაფერს, გარდა წყალისა, ვერ დაინახავს.

გამძლეობის გამოცდა

პარიზში გაიმართა მოტოციკლისტების გამძლეობის გამოცდა. პარიზის ქუჩებზე მოაწყვეს მოტოციკლების შეუჩერებელი გადარბენა 24 საათის განმავლობაში. პირველობა მოიგო მოტოციკლისტმა **მირომ**, რომელიც იჯდა „საიძიბის" სისტემის მოტოციკლზე, მან 24 საათში გაიარა 1700 კილომეტრი. როგორც „ფიგარო" იუწყება, მირო გადარბენის შემდეგ 24 საათის განმავლობაში უგრძნობოთ იყო.

ქუჩების მწმენდავი ავტომობილი

ქუჩების გაწმენდა სიბინძურისაგან—ქალაქების გაჯანსაღების და ეპიდემიების რიცხვის შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა. ჩვენში ქუჩებს წმენდენ მეეზოვეები ხელის ცოცხის საშუალებით, უცხოეთში კი—უკვე დიდი ხანია შემოღებულია ქუჩების გაწმენდა მანქანებით.



აქვე მოყვანილ სურათზე ნაჩვენებია ამერიკული ქუჩების საწმენდი ავტომობილი. ქუჩებში გავლის დროს ეს მანქანა ხვეტავს მთელ ნაგავს, აგროვებს მას ყუთში და მიაქვს ქალაქს გარეთ. საათში ასეთ ავტომობილს შეუძლია 25.000 კვ. მეტრის გაწმენდა და გარდა ამისა მთელი ეს მუშაობა ათჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ხელით ხვეტის დროს.

მანქანის მოწყობილობა ასეთია: ავტომობილს ორივე მხრიდან აქვს ორ-ორი ჩოთქი, რომლებიც ავტომობილის მოძრაობის დროს ბრუნვენ და ნაგავს ავტომობილის კოფოს ქვეშ აგროვებენ. უკან მოთავსებულია ცილინდრისებური ჩოთქი, რომელიც გვერდითი ჩოთქებით მოხვეტილ ნაგავს ყრის ამწევი მექანიზმის — ელევატორის ლენტზე, საიდანაც ნაგავი ყუთში იყრება.

მშრალი ქუჩის დახვეტის დროს შესაძლებელია მტვერი დადგეს. ამიტომ ავტომობილზე დადგმულია ჭურჭელი წყალით და ქუჩა მოხვეტის წინ ირწყვება.

მანქანის ყველა მექანიზმები — ჩოთქებით და ელევატორი მოძრაობაში მოჰყავს ავტომობილის მოტორს. ქუჩების საწმენდ ავტომობილს მართავს ერთი კაცი.

როგორც ვხედავთ, ამ მანქანას შეუძლია ქუჩებზე ყველა აუცილებელ სამუშაოების შესრულება მოძრაობის დაუბრკოლებლად.

ნარევი

მოსახლეობის მოძრაობა ევროპაში

ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა შედარებითი ცნობები მოსახლეობის მოძრაობის შესახებ ევროპაში (1924 წელს).

გერმანიაში დაბადებულთა რიცხვი 1000-ზე 27,5-დან (1913 წ.) შემცირდა 20,4-დე (1924 წ.). ეს იმას ნიშნავს, რომ დაბადებათა რიცხვი გერმანიაში შემცირდა 26 პროცენტით და სარეკორდო დონეს მიაღწია მთელს ევროპაში.

თითქმის ასეთია დაბადებათა პროცენტი ინგლისში. 15 პროცენტით შემცირდა დაბადებათა რიცხვი შვეციაში, შოტლანდიაში, ნორვეგიაში, დანიაში და ფინეთში; 12—15 პროცენტით ნაკლებია—ჰოლანდიაში, ბელგიაში და იტალიაში. ისპანიაში დაბადებათა რიცხვი არ შემცირებულა. დაბადებათა მცირეოდენი ზრდა შემჩნეულია საფრანგეთში.

სიკვდილიანობა შემცირდა ინგლისში და სკანდინავიის ქვეყნებში, ძლიერ მცირედ შემცირდა გერმანიაში. შვეციაში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში და იტალიაში სიკვდილიანობა ძლიერ შემცირდა. სიკვდილიანობის პროცენტი ძველ დონეზე დარჩა ბელგიაში, ისპანიაში და საფრანგეთში.

უფრო საყურადღებოა დაბადებათა რიცხვის გადამეტება სიკვდილიანობის რიცხვზე.

ყველაზე კარგი მდგომარეობაა ამ მხრივ ჰოლანდიაში, დანიაში და ნორვეგიაში. გერმანიაში დაბადებათა სჭარბობა სიკვდილიანობასთან შედარებით 12,5 პროცენტიდან (1913 წ.) 1000 მცხოვრებზე შემცირდა 8,2 პროცენტამდე (1924 წ.). მაგრამ იგი მაინც მეტია, ვიდრე ინგლისში, სადაც ჭარბობა უდრის 6,6 პროც., შოტლანდიაში (7,4 პროც), ბელგიაში (6,7 პროც.), შვეციაში (6,1 პროც.), ავსტრიაში (6,6 პროც.) და უნგრეთში (6,2 პროც.). ჰოლანდიაში დაბადებათა ჭარბობა უდრის 15,3 პროც., იტალიაში—12,1 პროც., დანიაში—10,6 პროც., ნორვეგიაში—10,4 და ისპანიაში—9,8 პროც. უკანასკნელი ადგილი ამ მხრივ უჭირავს საფრანგეთს, სადაც დაბადებულთა რიცხვი მხოლოდ 1,9 პროცენტით სჭარბობს გარდაცვალებულთა რიცხვს.

გამოგონების მოპარვა

პარიზსა და კალეს შუა ფრანგ გამომგონებელ ინჟენერ მარტის მოპარეს მის მიერ გამოგონებული წყალ ქვეშა ნავის ნახაზები. გაზ. „ფიგარო"-ს ცნობით, ბოროტმოქმედებმა ქლოროფორმის საშუალებით დააძინეს ყველა მგზავრები, რომლებიც იმ ვაგონში იმყოფებოდენ რომელშიც მარტი იჯდა, ორი საათის განმავლობაში ჩხრეკდენ ისინი ვაგონს და როცა ნახაზები იპოვეს, მიიმალენ. ბოროტმოქმედთ სხვა არაფერი წაუღიათ.

„ანგელოზების ფაბრიკა"

ნიუ-იორკის პოლიციამ დააპატიმრა ვიღაც რუსი-ემიგრანტი ფედორ კირში, რომელიც ცირკებსა, ბალაგანებს და მათხოვრებს აწვდიდა ბავშვებს. ღარიბი მცხოვრებლებს კირშთან „აღსაზრდელათ" მიჰყავდათ თავიანთი ბავშვები. კირში ასწავლიდა მათ მოწყალების თხოვნას, უმტვრევდა ძვლებს, რომ—გაეხადა ისინი აკრობატებათ და „გველკაცებათ". პოლიციის ცნობით კირშს 300-ზე მეტი ბავშვი დაუსახიჩრებია.

„სულიერი მამის" მხეცობა

კორეაში დიდი აღშფოთება გამოიწვია ერთი ამერიკელი მისიონერის საქციელმა. ამ მისიონერმა, რომელმაც თავის ბინაზე დაიჭირა ქურდი ბავში, უკანასკნელს ორივე ლოყაზე გახურებული რკინით ამოაწვა სიტყვა „ქურდი". მოსახლეობა მოითხოვს მისიონერის გაძევებას კორეიდან.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ჩემი დაბადების წიგნი დაკარგულია, როგორ მივიღო მეტრიკული ამონაწერი დაბადების შესახებ

კითხვა

დავიბადე 1911 წელს 6 ივლისს ირკუტსკის გუბერნიაში ქ. ირკუტსკში. იქვე მოვინათლე იმავე წელს 11 ივლისს. 1921 წელს დავბრუნდით სამშობლოში. ეხლა დავამთავრე შვიდწლედი და მივდივარ სხვაგან სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ადგილობრივი ალმასკომი მეტრიკას ჩემთვის არ იძლევა, რადგანაც მათ სამეტრიკო წიგნში არ ვწერივარ და ამ თემში მონათლული არა ვარ, არამედ იქ, სადაც დავიბადე. განცხადება რომ გავგზავნო იქ, სადაც მე დავიბადე,—ეს ეწყობა, მაგრამ ის სამეტრიკო წიგნი, რომელშიაც მე ვსწერივარ, დაკარგული იყო მაშინაც, როდესაც მე ჩვენი ოჯახის შემადგენლობით დავბრუნდი საქართველოში. მყავს კიდევ ერთი და, რომლის წლოვანება ვიცი (1920 წ. 12 აგვისტოს დაიბადა).

როგორ მოვიქცე, რომ მივიღოთ მე და ჩემმა დამ მეტრიკა.

ჩიბათის თემის მცხოვრები გლეხის შვილი
პავლე გოგიჩაიშვილი.

პასუხი

დეკრეტი № 28-ის მუხ. 21, 52 და 106-ის თანახმად, თუ ქორწინების ან და დაბადების წიგნები დაიკარგა, ან როგორმე დაიღუპა, ან და სხვა რაიმე პირობების გამო დაინტერესებულ პირთ არა აქვთ საშუალება მიიღონ საჭირო ცნობები თავიანთ ქორწინების ან დაბადების შესახებ, მაშინ მათ აქვთ უფლება თავიანთი ბინადრობის მიხედვით შეიტანონ სათანადო განცხადება მოქალ. მდგომარეობის აქტების ჩაწერ განყოფილებაში („მმაჩ"-ში) ან სახალხო სასამართლოში და მოწმეების საშუალებით დაამტკიცონ თავიანთი ქორწინების, ან დაბადების ადგილი, წელი, თვე, დღე.

პირადად თქვენ გირჩევთ მიმართოთ განცხადებით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს და მიიღოთ მისგან დადგენილება თქვენი დაბადების ადგილის და დროის შესახებ, რის შემდეგ „მმაჩ"-ი ვალდებულია გაგატარონ თქვენ დაბადების წიგნში და მოგცეთ ამონაწერი დაბადების დროის შესახებ.

ვის მივმართო და როგორ მოვიქცე

კითხვა

მე ვმსახურობდი გამსახლების ფურნის მეკუჰნავედ 1925 წლის 1-ლ ნოემბრიდან. ამა წლის 2 მარტს ფურნის გამგე ჩემ მიერ იქნა ბოროტმოქმედებაში დაჭერილი, რის გამო იგი მისცეს პასუხისგებაში. მე კი მის საქმეზედ ვიყავი დაკითხული მხოლოდ მოწმედ. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციამ მომხსნა სამსახურიდან ამა წლის 5 მარტს. არავითარი ანგარიში ჩემთან არ გაუსწორებიათ. ყოველივე ამის შემდეგ შევიტანე საჩივარი შრომის სასამართლოში, რომელმაც აღმადგინა ჩემი თანამდებობაზედ და მომისაჯა, როგორც მიუღებელი, ისე განაცდური დღეების ხელფასი. აღმასრულებელი ფურცელი გადაცემული მაქვს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოში. მიუხედავად ამისა, საპატიმრო ადგილების მთავარ მართველობამ ფულის ანგარიში ნაწილობრივად გამისწორდა და სამსახურზე დაბრუნებაზე უარს მეუბნება.

ამის შემდეგ მათ მოვსთხოვე აღმასრულებელი ფურცელი, მინდოდა გადამეცა სასამართლო აღმასრულებელისათვის, მაგრამ ამაზედაც უარი მითხრეს. იგი ბუღალტერიაში არის დართული.

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ ვის უნდა მივმართო ამის შესახებ და უფლება აქვთ თუ არა მითხრან უარი ჩემ ძველ თანამდებობაზე, თუ კი იმ დაწესებულებაში, სადაც მე ვმსახურებდი მუშაობა ისევ სწარმოებს.

ამბროსი კვაჭაძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის პარ. „ე"-სა ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1926 წ. 16 იანვრის განმარტებისა ადმინისტრაცია ვალდებულია იმავე დაწესებულებაში მოგცეთ თქვენ თანაბარი ხელფასიანი და კვალიფიკაციის სამუშაო. ადმინისტრაცია ვალდებულია აგრეთვე მოგცეთ თქვენ გაცდენილ დროის განმავლობაში ხელფასი. აღმასრულებელი ფურცლის დაბრუნება თქვენ მოითხოვეთ სასამ. შრომის პროკურორის საშუალებით; ფულის გადახდევინება ასეთ შემთხვევაში ხდება აღმასრულებლის მიერ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 23

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა

10 ივლისი, 1926 წ.

იმ ავადმყოფობათა სიის შესახებ, რომელნიც ხელს უშლიან მუშაკთ აწარმოონ მუშაობა კვების საწარმოებაში ან რომელთა მეოხებით მუშაკნი უნდა დროებით იყვნენ გადაყენებულნი სამუშაოსგან კვების საქმეში

საქ. ს. ს. რ. შრომის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მიერ 1925 წლის ივნისის 5-ს თარიღით „კვების დარგში მომუშავეთა სამედიცინო შემოწმების შესახებ" (შრ. კანონთა კრებული 1926 წ., გვ. 648) მეორე მუხლის განსავითარებლად, საქ. ს. ს. რ. შრომის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა დაადგინეს: დამტკიცებულ იქნას იმ ავადმყოფობათა სია, რომელნიც ხელს უშლიან მუშაკთ აწარმოონ მუშაობა კვების საწარმოებებში ან რომელთა მეოხებით მუშაკნი უნდა დროებით იყვნენ გადაყენებულნი სამუშაოსაგან კვების საქმეში:

1. ავადმყოფობანი, რომელთა დროსაც უნდა იყოს აკრძალული მუშაობა კვების საწარმოებებში:

ა) კეთრი;

ბ) ჭლექი (ტუბერკულოზი) ორგანოთა გახსნილ დაშავებების დროს (ფილტვების ჭლექის მესამე ხანა);

2. ავადმყოფობანი, რომელთა დროსაც მუშაკნი კვების საწარმოებებში უნდა გადაყენებულ იქნან სამუშაოსაგან მორჩენამდის, ან გავრცელებისათვის საშიშარ მოვლენათა გაქრობამდის:

1) ტუბერკულოზის ღია წყლულები და ხვრელები, მჭამელი სხეულის ღია ადგილებზე;
2) ფილტვების ტუბერკულოზი ნახველში ბაცილების გამოსახვით;
3) ათაშანგი სენის გადამდები ნიშნებით:
4) აქტინომიკოზი—დაწყლულებით და ხვრელებით ღია ადგილებზე;
5) ღია დაჩირქებული წყლულები და ხვრელები;
6) რინოს კლერომა;
7) დაჩირქებული სურდო;
8) დაჩირქებული ბრონხიტი;
9) განავალის ხვრელი;
10) ფილტვების განგრენა;
11) შარდისა და განავალის შეუკავება;
12) მწვავე (მწვავე) სუსუნატი;
13) თვალის სუსუნატი და თვალის ყოველგვარი ანთება გადამდები ხასიათის;
14) ტრახომა;
15) რბილი შანკირი;
16) კანის ავადმყოფობანი ხელისა და სახის მნიშვნელოვან დაზიანებით.

3. თუ რომელიმე მუშაკის შემოწმების და დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ მათ ახლო ხანში გადატანილი აქვთ რამე გადამდები ავადმყოფობა, მაშინ უნდა ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევის გზით გამოირკვეს მისი ბაცილოსნობა და უკანასკნელის მოსპობამდე მუშაკნი არ უნდა იქნან დაშვებული სამუშაოზე.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარის მოადგილე **მორჩილაძე.**
საქ. ს. ს. რ. ჯანმრთელ. სახ. კომისარის მაგ. **აბზიანიძე.**
შრომის დაც. გან. გამგე **გოგინაშვილი.**
შეთანხმებულია ს. პ. კ. ს. მდივანი **ფანცხავა.**
1926 წ. 10 ივლისი.

---

12 აგვისტოს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელათ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და საუკეთესო მეგობარი

დათიკო ალექსანდრეს-ძე ლორთქიფანიძე

რის გამო გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა მწუხარებას პლატონ და ფატულია ქლიქები, ირაკლი და ლიუდმილა ავალიშვილები, პარმენ მგალობლიშვილი. გამოსვენება 15 აგვისტოს, კვირას, საკუთარი ბინა განჩარნის ქ. № 18. 3259

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხ—ბის გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 12 აგვისტოს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ—ბის თანამშრომელი, 1-ლი მაღაზიის ნოქარი

დავით ალექსის-ძე ლორთქიფანიძე

რომლის ცხედარის გამოსვენება მოხდება კვირას, 15 ამა აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარი ბინიდან, განჩარნის ქ. № 18. დასაფლავება იმავე დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3254

მეუღლე ფილოსი სიმონის ასული, შვილები მარო მიქაშავიძისა, თამარ ახობაძისა და ახლრო კვაჭაძე, სიძენი ალექსანდრე მიქაშავიძე და არტემ ახობაძე შვილიშვილებით ნიკოლოზ და ნოდარ მიქაშავიძენი, ოთარ და ვახტანგ ახობაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ

ექვთიმე გიორგის-ძე კვაჭაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას, 15 აგვისტოს სოფ. ლიხაურში 3265

უზომოთ დამწუხრებული მეუღლე არსენ სიმონის-ძე ხავთასი შვილებითურთ, სიდედრით, ცოლისძმები—პავლე, ილიკო, და მიშა,—და თამარა—რაზმაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორეთა და

მარიამ (ვარინკა) ხავთასი

გამოსვენება, საკუთარ ბინიდან ბრიგადირის ქ. № 11, წმინდა ნინოს სასაფლაოზე, შაბათს, 14 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. 3258

ღრმად დამწუხრებული მიადორა, ირაკლი, ძარიამ, გრიგოლ და ბაზულია ჩიგოგიძეები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 11 აგვისტოს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი საყვარელი—პირველის ქმარი, ხოლო დანარჩენების მამა დამსახურებული სოფლის მასწავლებელი

იასონ იესეს-ძე ჩიგოგიძე

დასაფლავება მოხდება სოფელ ვაქირში 14 აგვისტოს. 3261

საზაფხულო **აპოლო** (ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო **ეთერი** (სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნოლე
ნ. 1613 0—10

დღეს, ამერიკის პოპულიარული მსახიობები დოროტეა დალტონ და მილტონ სილსი სურათში **„ველური კატა"** მხატვრ. დრამა 7 ნაწილად.
ანონსი: ორშაბათიდან—„ზ ე ი ნ ა ბ და რ ა მ ლ ი კ ა" ჩქარა—„მ ა ნ დ რ ე ნ"

დღეს კინო ეთერში და ნოლეში
ერთდროულად
ШАХ и МАТ
ამერიკის საუკეთესო კინო-მსახიობების მონაწილეობით
პრისცილა დინ („მათხოვარი სტამბოლიდან")
უოლეს ბირი („რობინ გუდ")
რაიმონდ გრიფიტ (ავტომობილი № 13)

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

წინადადებას აძლევს ქვემო აღნიშნულ განცხადებების შემკრებ აგენტებს:

1) **სერგეი ივ. კროტკოვს,**
2) **მიხეილ კრივორუჩკოს,**
3) **ხალათოვს,**

გაასწორონ მთავარ კანტორასთან ყოველგვარი ანგარიშები, ამა აგვისტოს 20-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსნილი იქნებიან სამუშაოდან და მათი საქმე გადაეცემა სათანადო ორგანოს.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.
3—2

საჯარო ვაჭრობა

თბილისის ქალ. ლომბარდთან არსებული **სააუქციონო კამერა** აცხადებს, რომ კვირას 15 აგვისტოს დილის 11 საათზე სასახლის ქ. 3, ეზოში სახფინკომის გადასახადების ასანაზღაურებლად საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ხალიჩები, ფარდაგები, კედლის საათები, ტანისამოსის შკაფები და მრავალი სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 1671

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით **მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

ს.ს.ს.რ. ლითონტრესტი ს.მ.უ.ს.
საბჭოთა ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის), 115
ა. წ. 6 აგვისტოდან
ნიშნავს
ძველი მოწყობილობის გაყიდვას
სახარატო, სარანდავო და სახვრეტი ჩარხები, უვარგისი სახურავი, სხვადასხვა ინვენტარი, საჯაგო (обозное) ქონება და სხვ.
გასაყიდი ქონების ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე
ქონების აღწერილობასთან გაცნობა შეიძლება ლითონტრესტის კომერციულ განყოფილებაში (საბჭოთა ქ. № 115) დილის 8 საათიდან 11 საათამდი ამხ. მეხრიშვილთან.
ნ. 1672

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი
აცხადებს საყოველთაოდ, რომ
ალმშენებელთა კონტორის
„ვრუზსტროი"-ს წესდება
დამტკიცებული 1924 წელს აგვისტოს 13
გაუქმებულია ა. წ. 9 აგვისტოს ნ. 1670

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს**, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**. რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

მიწადმოქმედთა სასოფლო-სამეურნეო შრომის არტელის
„ბაღის შრომა"-ს
საზოგადო კრება

დანიშნულია არტელის ერთ-ერთ კოლექტივის ბაღში კოლანოვის ქ. № 7 (ამხ. მიხა ნადარეიშვილთან), გამგეობის ბინაზე კვირას 15 მარიობისთვეს, დილას 9 საათიდან. **დღის წესრიგია შემდეგი:** 1. გამგეობის მოხსენება, 2. საბჭოს და მისი პრეზიდიუმის არჩევნები; 3. არტელის საბჭოს მომავალი მუშაობა და ბრძოლა მებაღემებოსტნეების რიგებში მყოფ, კულაკებს და მათი ორგანიზაციების წინააღმდეგ, 4. სესხის საკითხი და ბანკის წარმომადგენლის განცხადება კრებაზე, 5. ახალი წევრების მიღება, 6. მიმდინარე კითხვები. კრებას შეუძლიათ დაესწრონ არა არტელის წევრები — მებაღე-მებოსტნენი, თვით მშრომელნი. არტელის წევრების დასწრება სავალდებულოა და ვინც მათში არ დაესწრება, გაფრთხილების თანახმად, ჩაითვლებიან რა გარიცხულათ, სია მათი, სახელი და გვარით გამოქვეყნებული იქნება გაზეთში.

გამგეობის თავმჯდომარე **მურავიოვი.**
ნ. 1667 2—1. მდივანი **რუხაძე.**

ენისელის მთლიანი კოოპერატივის გამგეობა

აცხადებს, რომ მის მიერ მიცემული მინდობილობის ფურცელი 2 იანვარს 1925 წ. № 206. ცეკავშირის თელავის განყოფილების გამგის ამხ პროკოფი ჩარგეიშვილის სახელზედ 1-ლ ივლისიდამ ა. წ. გაუქმებულად ითვლება. ქვ. № 3267

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ნ. მავზაროვი

ამით აცხადებს, რომ 17 აგვისტოს 1926 წ. სადგურ თელავში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქალ. თბილისის კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთი"-ს ქონების გასასყიდათ. ქონება აღწერილია სიღნაღის მაზრის ალმასკომის ვალში 15000 მან. რაოდენობით, თანახმად სასამართლოს ბრძანების გაცემულის სიღნაღის უბნის სახალხო სასამართ. მიერ 3 აგვისტოს ა. წ. № № 1276, 1277. სია გასაყიდი ქონებისა: 1, ერთი სართულიანი ქვიტკირის შენობა დახურული კრამიტით, სადაც იმყოფება „კახეთი"-ს კანტორა ერთი ოთახით, ორი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო; 2, ერთი ქვიტკირის მარანი კრამიტით დახურული, გვერდზე ერთი საწყობი და 13 ცალი ქვევრი-ტევით 1730 ვედროსა; 3, ნამყენის გამოსაყვანი სათბური ქვიტკირისა დახურული შუშით თავის ფეჩებით და კუთვნილი მოწყობილობით, ოცი ცალი მუხის ბუტები — ტევით 2985 ვედროსა და სხვა. ნ. 1668

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 19 აგვისტოს 1926 წ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვანო და ილიკო გუდუშაურის მოძრავ ქონებას: ძროხებს შეფასებულს 600 მანეთად, არშაკ ხეჩუევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 4438 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ქვ. 3264

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ექიმი **ჯალალოვი**
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეზხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23. შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან **გარაკ მანგლისში.** 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

დავკარგე სამედიატორო სასამართლოს შეთანხმების ხელწერილი ჩემს შვილს აკოფა ანდრიას-ძე ქავთარაძეს და ნინა გიორგის ასულის ზარიძის შორის, სახლის გაყოფის შესახებ ვაკეში. (ხელწერილს ხელს აწერენ სამედიატორო სასამართლოს წევრები ლადო ხანობაშვილი და იოსებ ხიზანაშვილი. გაცხადებ გაუქმებულად. ნინა გიორგის ასული ზარიძისა. 3260

დავკარგე ღვინის გადმოზიდვის ნებართვა № 504, გიორგი ქინქლაძის სახელზე, ჩ. გ. 3266

დავკარგე მედ-სან-შრომის კავშირის წიგნაკი № 5803, ელისაბედ ბახტაძის სახელზე, ჩ. გ. 3262

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 1149, მოცემული ბანძის სამხ. მაგიდის მიერ, ლავრენტი პაპლეს-ძე ყურუასახელზე, ჩ. გ. 3267

დავკარგე უვადო პასპორტი № 189, მიხეილ ბესარიონის-ძე მიმინოშვილის სახელზე, ჩ. გ. 3267

დავკარგე პირადი საალრიცხვო ბარათი ფ. № 3, მოცემული ბანძის უბნის სამხ. მაგიდიდან იაკობ აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3267

დავკარგე ცხენის ნასყიდობის მოწმობა № 50, პირადობის წიგნაკი № 827, ვანო სიმონის-ძე კურდღელაძის სახელზე, ჩ. გ. 3267

დავკარგე სანგარიშო წიგნაკის ტალონი № 122, მოცემული ოზურგეთის მაზრის დამზღვევ სალაროსაგან, ანეტა ბოლქვაძეს სახელზე, ჩ. გ. 3256

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი გრიგოლ დავითის-ძე ბოშიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3263

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 7025, არკადი ცხვედიანის სახელზე, ჩ. გ. 3257

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68